

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

სოფიკო ყულეჯიშვილი

ფრიდონ ხალვაშის პროზა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ინგა შამილიშვილი

ბათუმი
2018

ნაშრომის სტრუქტურა:

შესავალი-----	3
თავი I–ფრიდონ ხალვაშის რომანების პრობლემატიკა-----	11
§ 1. „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“-----	11
§ 2. „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“-----	20
თავი II - ფრიდონ ხალვაშის დრამატურგია-----	30
§1. „ხიხანის ძახილი“-----	30
§2. „გადარჩენილი უკვდავება“-----	38
§3. „ვაზის ტირილი“-----	40
თავი III–ფრიდონ ხალვაშის მემუარული პროზის რამდენიმე ასპექტი-----	45
თავი IV-ქალი ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში-----	62
თავი V- ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკა-----	67
თავი VI-ეროვნული ცნობიერების საკითხი აჭარაში ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების მიხედვით-----	81
ზოგადი დასკვნები-----	92
გამოყენებული ლიტერატურა-----	98

შესავალი

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება - „სამშობლოს სიყვარულისა და ხალხის ერთგულების სიმღერაა, - აცოცხლებს ჩვენი ქვეყნის წარსულს, ქებათა-ქებას ასხამს დღევანდელ დღეს, უმღერის უფრო ბედნიერ მომავალს” (ხ.ბერულავა, თ.ჯანგულაშვილი, გაზ.„წიგნის სამყარო“, 12 აგვისტო, 1975წ.).

„მიხარია, რომ სამასი წლის სიჩუმის შემდეგ, ჩვენი ტკბილი საქართველოს უძველესმა მრავალწამებულმა მხარემ ისევ ამოიღგა ენა და მისმა შვილებმა თავიანთი მოკრძალებული სიტყვის სანთლები ქართული მწერლობის დიდ ტაძარში აანთეს”, - იგონებს თავის ბიოგრაფიაში მწერალი(მურვანიძე, 1988:2).

მწერალმა იმთავითვე აღიქვა თავისი ხალხისა და კუთხის ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, შეძლო მისი მხატვრული წარმოსახვა. რეალობის სწორად აღქმამ, საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი პრობლემატიკით დაინტერესებამ, სამშობლოსადმი უსაზღვრო ტრფიალის, არსებულის კონტრასტულ-გრძნობადმა გამოსახვამ, თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომის დიდმა უნარმა და პოეტურმა ოსტატობამ განაპირობეს მისი შემოქმედების ორიგინალურობა.„როცა მე დავიწყე, მაშინ მწერლობა ჩვენს აჭარაში ძნელი იყო და იშვიათი. ჩვენებურ მწერალს ტანჯვაგამოვლილი მშობელი არემარე ავალეხს თქვას ის, რაც სიტყვაწართმეულმა, დაობლებულმა წარსულმა ვერ თქვა” - ამბობს მწერალი (ხალვაში, 2000:57).

ფრიდონ ხალვაში ქართული მწერლობის იმ დიდ წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც განსაზღვრეს ლიტერატურის გზა და ხასიათი, სიტყვითა და საქმით ვალი მოიხადეს ერის წინაშე.

„ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება მზით განათებული ყვავილნარით მოჩანს ძველი მესხეთის ლურჯ ცისქვეშეთში. იგი აჭარელი ქართველობის შემოქმედი სულისა და შთაგონებული მამულიშვილობის მადლითაა აღბეჭდილი, უშუალო და გულითადი, პოეტურად მთრთოლვარე და შთამბეჭდავი სიტყვის ექო ამ სახელოვანი მწერლისა თავისებური ინტონაციითა და თბილი ლირიზმით გაისმის ქართული მწერლობის საბრძანებელში და თან მოაქვს კამკამა მზით აზურმუხტებული მიწის სურნელი, სხალთის, ხიხანისა და

კახაბრის გულის სევდაცა და სიხარულიც“ იწერებოდა 1988 წლის გაზ. „კომუნისტის“ ფურცლებზე.(გ.ციციშვილი, შ.ფორჩხიძე, გაზ.„კომუნისტი“, 21 მაისი 1988).

„ვინც ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებას იცნობს, ვინც მისი სულის სარკვეში ჩაიხედავს, უთუოდ შეიგრძნობს რაღაც გაუმხელელ, იდუმალ სევდას. ეს გაუმხელელი გულს მოჯარული კაემანი მწერლისა, ფიქრია მშობლიურ მხარეზე, მის ჭირვარამგამოვლილ ხალხზე და ამ ცნებათა მისეულ აღქმას, გაგებასა და მკითხველამდე მიტანას მამულიშვილური ჟღერადობის დამაბული მაღალი რეგისტრები ახლავს მუდამ“ - წერს ელგუჯა მადრაძე (ხალვაში, 1976:5).

„ფრიდონ ხალვაში დაიბადა 1925 წლის 17 მაისს ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. ხუთი და-ძმა იზრდებოდა ხელმოკლე ოჯახში. პოეტის მამა - იშილ ხალვაში თავისი დროისათვის განათლებული კაცი იყო. საქართველოს კუთხეებშიც უმოგზაურია, ყველგან ჰყავდა ძმადნაფიცი და მეგობარი. ჭკუასაკითხავი მთის კაცი იყო, ყველას დამრიგებელი, სამართლიანი, შრომისმოყვარე, ჭაპანწყვეტით უძღვებოდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს, სადაც მიუხედავად სიღარიბისა, ყოველთვის ხალისი და ხვალის რწმენა სუფევდა.

ოჯახის ჭერი სავსე იყო ჭირნახულით. იქ ხმებოდა „აპოხტი და რეჰან-ომბალოც“. როგორც პოეტი ამბობს, მზრუნველი მამა - „შვილებს უვლიდა, ღმერთს ლოცავდა, თავს იწყევლიდა“....

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იგონებს პოეტი დედას, - აიშეს, გოგიტიძის ქალს. სიცოცხლით სავსე ქალი ყოფილა, ძალზე თბილი და მგრძნობიარე, თავისი დროის კვალობაზე საკმაოდ განათლებული, კითხულობდა არაბულად.

ოჯახში ყველამ იცოდა წიგნის ფასი და მნიშვნელობა. პატარებს ლექსებიც უყვარდათ. მთაში გავრცელებული ხალხური პოეზიის ნიმუშები და-ძმებმა ზეპირად იცოდნენ და ხშირად პაექრობასაც გამართავდნენ ხოლმე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვებში პოეზიის სიყვარულის გაღვივებას. აღნიშნულის შესახებ ფრიდონ ხალვაში თავის ავტობიოგრაფიაში შენიშნავდა:

„მშობლები ხშირად დამსვავდნენ გაჩაღებულ ბუხართან ზამთრის დიდ ღამეში და ხმამაღლა მაკითხებდნენ ილიასა და აკაკის პოემებს. დიახ, განსაკუთრებით უყვარდათ ლექსად დაწერილი ამბავი, მრავალჯერ წამაკითხეს „აკაკო ყაჩაღი“, „თორნიკე ერისთავი“ და „დიმიტრი თავდადებული“ (მურვანიძე, 1988:10).

ხალხური ხელოვნებისაკენ სწრაფვა ტრადიციული იყო ოჯახის წევრთათვის. პოეტის უფროსი ძმა ხეზე კვეთილობის საუკეთესო ოსტატი იყო. ხელმარჯვე ოსტატს რა არ გამოსდიოდა ხელიდან. დები ქსოვდნენ, ქარგავდნენ, ხატავდნენ. ასეთმა გარემომ, ბუნებრივია, თავისებური ბიძგი მისცა პოეტის სწრაფვას შემოქმედებისაკენ.

ფრ. ხალვაში ჭაბუკობაშივე ჩააფიქრა საქართველოს წარსულმა და აჭარის ბედმა: „ხშირად ჩავუფიქრებოვარ, გავუტაცნივარ აჭარის ბედს, მის წარსულს, გულს მიკლავდა უცხო და ძველი გადანაშთების განუკურნავი ტკივილები რომ ჯერ კიდევ იგრძნობოდა... და შემებრალა აჭარა, რომლის წარსული თანდათან გავიცანი, მომინდა რითიმე ცოტათი მაინც მივხმარებოდი ამ უძველეს მოწინავე ქართულ მხარეს, რათა იგი კვლავ გატოლებოდა უფრო წინ წასულ სხვა კუთხეებს. მომინდა ჩემი სიტყვით ყოველივე ამის შესახებ მესაუბრა ჩემს მეზობლებთან. ასეთი საუბარი კი მხოლოდ პატიოსანი სიტყვით (შემოქმედებით) შეიძლებოდა“.

მომავალი მწერლის შემოქმედებით ფორმირებაში არანაკლები როლი ითამაშა მშობლიური სოფლის, გეგელიძეების ულამაზესმა ბუნებამ, ამიტომაც გასაკვირი როდია, რომ პოეტის შემოქმედებას შორეული ბავშვობიდან შემოდგომის ასაკამდე მოყოლებული სწორედ მშობლიური მთები ასაზრდოებს მისი მოარული ნისლებით, დაქანებული ყვავილოვანი ფერდობებით, მოჩხრიალე ნაკადულებით და ხევში გადმომქუხარი მთის მდინარეებით.

პირველდაწყებითი განათლება პოეტს მახლობელ სოფელ ცხმორისში მიუღია. აქვე დაუსრულებია შვიდწლიანი სკოლა და სწავლა ქედის პედაგოგიურ სასწავლებელში გაუგრძელებია, რომლის დასრულებისთანავე ცხმორისის სკოლაში დაუწყო მასწავლებლობა. აქვე წვევია სიყვარული და ოჯახიც შეუქმნია.

იმ დროიდან მოყოლებული სიხუცემდე პოეტი და პროზაიკოსი ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა.

შემოქმედებით ზრდასთან ერთად საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობაც ეზრდებოდა და აი, გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1957 წელს, მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი ლიტერატურული კურსების დამთავრების შემდეგ იგი გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორად ინიშნება. 1958 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანია, არის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი. 1979 წელს წიგნისათვის „ასი მზე დედის გულისა“, მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელწიფო პრემია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე. ბათუმის თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმებოდა ფრიდონ ხალვაშის პიესები, რომელთაგან ცალკე აღნიშნვის ღირსია უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარელთა გამირული ბრძოლის ამსახველი „ხიხანის ძახილი“. მწერლის კალამს ეკუთვნის რომანები: „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „ზღვა ბათუმიდან იწყება“, „ომრი“, „საყვედური“ მცირე ფორმის მოთხრობები, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები(მურვანიძე, 1988:11).

იმ დროიდან მოყოლებული, ფრიდონ ხალვაშის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილია რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა, საგაზეთო და საჟურნალო სტატია, რომლებშიცსწორად არის წარმოჩენილი მწერლის შემოქმედებითი გზა და მოქალაქეობრივი მრწამსი, შენიშნულია მისი ლირიკის უმთავრესი მოტივები და მხატვრული აზროვნების თავისებურებანი.

ფრიდონ ხალვაშის მხატვრული სიტყვა მისი თანამედროვეების ყურადღების მიღმაც არ დარჩენილა. რევაზ მიშველაძე წერილში „ანდერძად დაგვირისტებული შემოქმედება“ მწერალს მეოცე საუკუნის ქართული

ლიტერატურის კლასიკოსად მოიხსენიებს და ასახელებს იმ მთავარ არგუმენტებს, რაც მას ამის საფუძველს აძლევს.

„კლასიკოსი ჰქვია მწერალს, რომელსაც შეუძლია ათასობით მკითხველი ერთი გრძნობით აღანთოს, ერთ მუშტად შეკრას.

ფრიდონ ხალვაშის ნაკალმარს ეს მაღლი დიახაც მოსდგამს.

კლასიკოსი ჰქვია მწერალს, რომლის მხატვრული აზროვნება თვითმყოფადია. ნასესხები თემებითა და პრობლემებით კი არ ყელყელობდა, საკუთარი სათქმელი, მისეული სახეები და ორიგინალური ფერებით მოჩითული ლიტერატურული საუფლო ჰქონდა.

ფრიდონ ხალვაშის ფრაზა და თხრობის სტილი დაკვირვებულ მკითხველს სხვისაში არ აერევა.

კლასიკოსი ჰქვია მწერალს, რომელსაც საზოგადო მოღვაწის მანტია მოუსხამს, თავის ქვეყანას უვლის და გუშაგობს, აფხიზლებს და ერის თავისუფლებისათვის წმინდა ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობს“ (ბიბილეიშვილი, 2012:5).

ერთ-ერთი მთავარი ღირსება, რომელსაც გამოყოფს კრიტიკოსი მწერლი თავისი კუთხის, თავისი ქვეყნის მოჭირნახულებობაა. ერისკაცობაა, რომლის მთავარი საფუძველი ქვეყნისათვის ნიშვნელოვან პერიოდში საქვეყნო საქმის კეთება გახლავთ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ღვაწლი, რომ ფრიდონ ხალვაშმა შეძლო ქართულ ლიტერატურაში აჭარა წარმოეჩინა მთელი სრულყოფილებითა და მრავალფეროვნებით. მან შეძლო საზღვარგაღმა დარჩენილი ქართველების ტკივილი გაეზიარებინა და მემლექეთის მონატრება ეჩვენებინა მკითხველისათვის, რაც ფრიდონამდე არავის გაუკეთებია.

ფრიდონ ხალვაშს თანამედროვენი „ჭემმარიტების მოწესედაც“ მოიხსენიებენ. „ის ჩვენზე მეტს ხედავს? ეს ხომ ისედაც ვიცით. არაერთხელ დავრწმუნებულვართ: ერთი ნაბიჯით წინ არის. იქ დგას, სადაც არის ნიშანი, სიმბოლო, ისტორია, ჭემმარიტება.

გონების ენაზე მეტყველებს, შინაგან სიტყვას ენდობა მხოლოდ. ფრთხილია და დაკვირვებული. მასში ცოცხლობს ეროვნული ინტელექტის

უძველესი ფორმაცია, რომელიც „ზოგად“ ქართველებში ატავიზმის სახითაა არის შემორჩენილი.

„ჭემმარიტების წესი“ - აი, მისი აზროვნებისა და მოქმედების საფუძველი. ამან შექმნა მისი შემოქმედებითი ყოფიერება. ამიტომ არის მუდამ ახალი, ამიტომ იმყოფება მუდამ იქ, სადაც არის“ (ლიტერატურული საქართველო, 2005:20 მაისი).

ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების კვლევა. შემოქმედებისა, რომელიც გამოირჩევა როგორც შინაარსობრივი, ასევე ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილი დაწერილა მწერლის შემოქმედებაზე, ცალკე წიგნი მიუძღვნა მის ცხოვრებასა და შემოქმედებას იური ბიბილეიშვილმა („ჭოროხის ხვაშიადი“), 80-იან წლებში შეიქმნა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც მწერლის მთლიან შემოქმედებას მოიცავდა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ერთიანი მეცნიერული კვლევა ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებისა, კონკრეტულად კი მისი პროზისა მაინც არ მომხდარა.

სწორედ აქედან გამომდინარე *საკვლევი თემისმიზნად დავისახეთ* გვეკვლია ფრიდონ ხალვაშის პროზის ძირითადი ასპექტები. მას მოუწია ორ სხვადასხვა ფორმაციაში ეცხოვრა და ემოლვაწევა, მაგრამ მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, მისთვის უმთავრესი მაინც მშობლიური კუთხიდან დანახული მთლიანი ქვეყანა იყო. მის პროზაში მთელი სიმწვავით იქნა წარმოჩენილი ის ტკივილი, რაც მის კუთხეს, მის ქვეყანას აწუხებდა. ფორმაციების შეცვლამ ღირებულებათა გადაფასება გამოიწვია, მაგრამ მისთვის მთავარი ღირებულება უცვლელი დარჩა. უკვე ჭარმაგი მწერალი თავის ნაწერებში სხვაგვარ აქცენტებსაც გვთავაზობს, საკუთარი ცხოვრების შეფასებასაც გვაწვდის, ამ მხირვ გამორჩეულია მისი მემუარული პროზა, რომელშიც მწერალი არც თამამ ლიტერატურულ ექსპერიმენტებს ერიდება. ყოველივე ეს კი გვადლევს

საფუძველს ვიმსჯელოთ და თანამედროვე მეთოდოლოგიით ვიკვლიოთ ფრიდონ ხალვაშის პროზა.

ნაშრომის *მეცნიერულ სიახლეს* წარმოადგენს ის, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აჭარაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩებოდა. ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაც არ გახლავთ გამონაკლისი. მიუხედავად ცალკეული წერილებისა და პუბლიკაციებისა, მისი შემოქმედება არ ყოფილა სისტემატიზებულად შესწავლილი. რა თქმა უნდა წინამდებარე ნაშრომით ჩვენ ვერ წავუყენებთ სრულყოფილების პრეტენზიას, მაგრამ იგი იქნება ფრიდონ ხალვაშის პროზის ანალიზის პირველი პრეცედენტი, რაც მის შემდგომ კვლევას დაუდებს საფუძველს.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიად განვსაზღვრეთ მასალათა თავდაპირველი შეგროვებისა და მათი ანალიზის მეთოდი. ისტორიული მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა წარსული მოვლენები და გაგვეკეთებინა მათი ობიექტური შეფასება. შედარებითი მეთოდი, რომელმაც ისტორიულ მეთოდთან კავშირში მოგვცა სხვადასხვა მასალათა ურთიერთშედარების საშუალება. ზოგიერთ შემთხვევებში მივმართეთ მასალებზე დაკვირვების მეთოდს, რამაც მასალათა მოპოვების საშუალება მოგვცა და ამ მიმართებაში გამოვიყენეთ ე.წ. აღწერილობითი კვლევა. ამ ყველაფერს დავაფუძნეთ შეფასებითი კვლევა სისტემური ანალიზით. რასაც ცალკეული ნაწილების კვლევის საფუძველზე საბოლოო ერთიან შედეგებამდე მივყავართ. კვლევა განხორციელდა ფრიდონ ხალვაშის მხატვრული პროზის, დრამატურგიისა და მემუარისტული პროზის ანალიზის საფუძველზე. შესწავლილი და გამოყენებული იქნა ლიტერატურის კრიტიკოსთა და მწერლის თანამედროვეთა მიერ გამოქვეყნებული წერილები და პუბლიკაციები. თეორიული ნაშრომების შესწავლამ საფუძველი მოგვცა გამოგვეტანა ძირითადი დასკვნები.

სწორედ ამის საფუძველზე შევძელით სადისერტაციო ნაშრომში გამოგვეყო საკვლევი თემის თავისებურებები და განგვეხორციელებინა მისი იდეური ანალიზი.

მოსალოდნელი შედეგები, რომლებსაც საკითხის კვლევის მოკრძალებული მცდელობიდან მოველით, არის იმედი, რომ იგი მცირედენ წვლილს მაინც შეიტანს ერთიან ქართულ ლიტერატურულ პროცესში ამ კუთხის მოკალმეთა როლისა და ადგილის საკითხის შესწავლაში. საკვლევი თემატიკის აქტუალურობა პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული მოსალოდნელ შედეგთან, რომელიც ფრიდონ ხალვაშის მხატვრული ნააზრევის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ნაბიჯია და გარკვეულ როლს შეასრულებს მწერლის ადგილისა და როლის განსაზღვრაში როგორც უახლესი პერიოდის ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში.

თავი

ფრიდონ ხალვაშის რომანების პრობლემატიკა

§1 „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“

ფრიდონ ხალვაში თავის ნაწარმოებებში საკუთარ განცდებსა და გრძნობებზე დაფუძნებულზე გვესაუბრება. ერთ-ერთი ასეთი მწვავე თემა სარწმუნოებისა და ეროვნული იდენტობის საკითხი გახლავთ. ამის მიზეზი მის მშობლიურ მხარეზე ოსმალთა სამასწლიანი ბატონობა იყო, რომლის იარები ბოლომდე ჯერ კიდევ არ დაამებულა. ამ ტკივილს არაერთი ნაწარმოები უძღვნა მწერალმა, მაგრამ ყველაზე მძაფრად იგი წარმოჩინდა რომანებში „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“ და „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“. ორივე მათგანი ერთ თემაზეა შექმნილი და თითქოს ერთი მეორის გაგრძელებად გვევლინება.

მწერალმა მრავალმხრივ, გონივრულად, ჩვეული ოსტატობით გასცა პასუხი დასმულ კითხვას, რომელიც საუკუნეზე მეტია აწვალებდა საქართველოს, მით უფრო მუსლიმან ქართველობას.

რომანებში მწერლის თვალით დანახული და განცდილი არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია დასმული, ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ მთავარ პერსონაჟად, ორივე რომანში, ავტორს საკუთარი თავი წარმოუჩენია.

წერილში „მწერალი ექიმია ცოვრებისა“ (გაზ. „აჭარა“. 2006. 19 მაისი,) 81 წლის ფრ. ამბობს: „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონა“ - რეალობა და ფანტაზია შეკავშირებულია. რომანში „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ ის პიროვნება, რომელიც თავის თავზე საუბრობს მე გახლავართ. მეტწილად რა მოვლენებსაც აღვწერ, რეალურია. მას მხატვრული სამოსელი მიჰყვება.

მხატვრული სამოსელი აცოცხლებს ნაწარმოებს, კაზმავს რეალობას.”

„აჭარაში დაბადებული კაცი ქართულ მწერლობაში რომ შეაბიჯებს, მისი „ბაგაჟი“ ტრაგიკულ ტვირთს იტევს - იგი ატარებს სამშობლოსგან მოწყვეტილი ნაწილის დაბრუნების სიხარულსა და წარსულის ტკივილს. ბავშვობიდან ამ ზღურბლზე ვიდექი. 20 წლის გახლდით. სოფლიდან გაუსვლელი ბიჭი ვიყავი.

არ იცი იდეოლოგიური მიმართულება, ეროვნული იდეალები. და უცებ, აგერ ტყის პირას წამოგცდება ასეთი ეროვნული მუხტით დატვირთული სტრიქონები. ჩანს, რომ სხეული და სისხლი გრძნობს შენი კუთხის, შენი ხალხის, უძველესი ქართველი ხალხის ბედს, რომელიც საუკუნეებით მოწყვეტილი იყო სამშობლოს.

სამშობლოს სიყვარულში ბევრი ვთქვი, ბევრიც დამრჩა სათქმელი, რომელსაც მომავალი თაობები შეავსებენ.

75 წლის სიონში მოვინათლე. ნათლია უწმინდესი და უნეტარესი ილია II იყო. ეს იყო ჩემი მეორედ მოსვლა, მეორედ დაბადება. მას შემდეგ თავს უკეთესად ვგრძნობ. ბევრი რამ სიღრმისეულად დავინახე, მეტად განვიცადე, ვფიქრობ, რომ სამშობლო და მრწამსი ყველაფერზე წინ დგას. მრწამსი ქრისტიანობისა.

ძალიან ბევრი ჩვენი კუთხის შვილებს ხან თათარს უწოდებს, ხან სხვა ხალხი ვგონივართ. მეზობელი თურქები კი სხვაგვარად გვითვალწუნებენ.

ახლა თურქეთთან ნორმალური ეკონომიკური, პოლიტიკური, კეთილმეზობლური ურთიერთობაა, მაგრამ წარსულის ცოდვები მაინც არ გვავიწყდება. მრწამსის გამოცვლა დიდი ცოდვაა. მსოფლიოს მრავალი დამპყრობი ახსოვს, მაგრამ ეროვნული თვითმყოფადობა აჭარის მსგავსად არსად არ შელახულა.

ჩემი შემოქმედება, ლექსი, პოემა, პიესა, მოთხრობა, რომანი ეროვნულობასა და ხალხს ემსახურება.”

„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა”, რომანი-მონოლოგი, ეპოქის შვილის აღსარებაა. ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, შუქრის, წინ დიდი და რთული გზა აქვს გასავლელი; ეს ავტორისეული გზაა, ამიტომაც აცხადებს თამამად: „არა, არ მინდა იმ ბიჭზე ასე შორიდან ვილაპარაკო. მირჩევნია ახლავე გავამხილო: ის ბიჭი მე ვიყავი”- წერს კრიტიკოსი ჯუმბერ თითმერია წერილში - „ დაბრუნება თავისთავთან ანუ...”

პროფესორი იური ბიბილეიშვილი, მონოგრაფიაში „ჭოროხის ხვაშიადი” , ამავე რომანის საინტერესო შეფასებას გვთავაზობს: „ფრიდონ ხალვაშის რომანი

„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა” - თავისუფლების სულისკვეთებითაა დაწერილი და, მწერალი მასში ფართო თვალსაზრისით ხატავს ადამიანის მისწრაფებას დემოკრატიული თავისუფლებისადმი. საგულისხმოა, რომ ეს რომანი 80-იანი წლების შუახანებში იქმნებოდა და იმ დროს თავისუფლება მხოლოდ კომუნისტური თვალსაზრისით იყო მიღებული. მიუხედავად ამისა, მწერალი, თუ ის ნამდვილი შემოქმედია, უნდა იყოს ხალხთან და არა ოფიციალურ იდეოლოგიასთან. ხალხი ყოველთვის საჭიროებს დაცვას. მწერალი ის ერთადერთი ძალაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ ორბიტაზე მოძრაობს და საჭიროების შემთხვევაში ოპოზიციაშიც აღმოჩნდება ხელისუფლებასთან, მაგრამ ეს ოპოზიცია მწერლისა სწორედ ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული და უნდა ასრულებდეს იგი ჭეშმარიტად თავის ისტორიულ მისიას, ხელს უწყობდეს პრობლემის მოგვარებას.” - ფრიდონ ხალვაშმა ეგ შეძლო თავისი მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე.

რომანში გასული საუკუნის 20-30-იანი წლების აჭარაა აღწერილი.ესაა ნაწარმოები, რომელშიც ზუსტადაა ასახული ეპოქის ატმოსფერო, სული, რეალური სოციალური მოვლენები და მათთან რომანის მთავარი გმირის ემოციური, - ხან ტკივილებიანი, ხან კი სიხარულით განათებული - დამოკიდებულება.

ხომ უკიდევანოდ და გაუსაძლისად უჭირდა აჭარელს მეფის რუსეთის დროს, მაგრამ ასევე უჭირდა სოციალიზმის არსებობის პირველ ათეულ წლებშიც. ფეხშიშველა და ჩამოფხრეწილი შარვლით დადის პატარა შუქრი - „ბიჭს წელქვეშ არ ეცვა. მარტო ტილოს დამოკლებულ-დაჯდურკული პერანგის დაფრეწილი ბოლოები ჭიპთან უპორწიალებდა,” (ხალვაში, 2000:7)და არც არავინაა სოფელში კარგად ჩაცმული, ყველაზე უკეთესი ფეხსამოსი ქალამანია და უფრო უკეთესი „პაგრიშკის ქალამანი”, სოფელის უმთავრესი საჭმელი ლობიოა, ომის წლებში კი წიფლის ქერექსაც მიირთმევს.

კოლექტივიზაციამ უფრო გაუჭირვა სოფელს. გლეხებს მიწები ჩამოართვეს და რაც დაუტოვეს, ის რომ შეენარჩუნებინათ, ყოველდღე უნდა

ემუშავათ კოლმეურნეობაში, საიდანაც შრომადღეზე არაფერს აძლევდნენ, რასაც გამოიმუშავებდნენ, გადასახადებს ძლივს ყოფნიდა.

თითქოს უკეთ აეწყო სწავლის საქმე, ყველა სოფელში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, სადაც მთელი ენთუზიაზმით მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული პედაგოგები, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალი იყო ხოჯის ავტორიტეტი, რომელმაც როგორც ცოდვის ნიშანი, დაამსხვრია ჩონგური. დღის მეორე ნახევარში ისევ მედრესეში უნდა ევლოთ პატარებს. „ასე იყვნენ შეთანხმებული მთავრობა და ხოჯა: „სკოლა დიდი წინააღმდეგობების ვითარებაში დაარსდა, ხოჯა-მოლები წინააღმდეგი იყვნენ, სოფელში ქართული სკოლები გაეხსნათ. ისინი ღამ-ღამე ჩამოივლიდნენ მოსახლეებს და საშინელ სურათს უხატავდნენ. ამინებდნენ მორწმუნე გლეხებს, თუ ბავშვი სკოლაში გაუშვით, ის გაგიაურდება, მუსლიმანობას გაუდგება და ოჯახი ცოდვიანი შეიქმნებაო. ცოდვიან ოჯახს ღმერთი გაწირავს. ყველა უბედურება თავს დაგატყდებათ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, საიქიოში უსათუოდ ჯექვნებში (ჯოჯოხეთი) დარუჯვა მოგელითო. სკოლის წიგნებში ისეთი რამეები წერია, იგი მუსლიმანს არ წარმოეთქმება, იმისი ერთხელ წაკითხვა და ზეპირი განმეორება ასი წლის ნალოც-ნაკითხს გადახოცავს-გადარეცხავსო. ტკივილით ეწურებებოდათ გულები პატარებს, ძალიან უნდოდათ სოფლის ბავშვებს სკოლა, სწავლა. რაც მთავარია, მათ ხიბლავდა იმის საოცარი შეგნება, რომ წიგნში მათთვის გასაგებ მშობელ ენაზე, სოფლის გლეხების სალაპარაკო სიტყვებით, იქნებოდა მოთხრობილი ყველაფერზე და ყველაფერი. მედრესეში კი მხოლოდ არაბულად ეზბერაი (ზეპირად) ამეორებინებდნენ და, საბოლოოდ, „აზუბრებინებდნენ“ ლოცვითავე. ამასთან ერთად, მეორე, მესამე წელიწადს უკვე იწყებოდა არაბული წერა-კითხვის სწავლება. თუმცა იშვიათად ვინმეს ცოდნოდა ეს წერა-კითხვა.”

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხოჯების ძალადობის პარალელურად ავტორმა გაბედა ეჩვენებინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალადობა. ვინც კომუნისტურ შაბლონს ვერ მოერგება, მას იჭერენ, იჭერენ

სიმღერისათვის, თუთუნის გაყიდვის მცდელობისათვის, ყველაზე ამაზრზენი კი ისაა, რომ თემში გამართული ზეიმობის დროსაც დაიჭირეს არაერთი პიროვნება, ერთს კი რამდენიმე წუთის წინ შვილი რომ დაუჭირეს, აიძულებენ ავიდეს რკინის ხიდზე და იცეკვოს. ისიც ადის და ცეკვავს.....

რომანებში ასახულია შუქრის დრამატული, მეტიც, ტრაგიკული ბავშვობისა და სიჭაბუკის ის ეპიზოდები, რომლებიც ცხოვლად დააჩნდა მის სულს.

რომანის დასაწყისშივეა მინიშნებული აქ ასახული დროის ფათერაკიანობა, რაც ნათლად ჩანს შუქრის მონოლოგიდან: „ის, შემოდგომის ერთი დღე, მოწყვეტილ, დამჟღნარ ყვავილივით მუხლლებზე მიდევს, დავცქერი და მეყურება დიდი ხნის ჩანაქროლი ქარების ფშუტუნი. პირველი რაც ახლა მაგონდება იყო ის, ეზოში გასულს ბაბამ რომ დამიძახა:---შედი, ჭო, შინ, სალახანა ტყვია არ მოგხდეს. - ამწია და უშუშებო ფანჯრიდან სექვიან ოთახში შემავდო.ჭუჭრუტანიდან ეზოში ვიცქირებოდი. საიდანღაც სროლა ისმოდა“(ხალვაში, 2000:8-9) ამას მოჰყვა მამის - ალის დაპატიმრება. მას რუსების განდევნის მსურველი მოჯანყეების თანამოაზრეობა დააბრალეს, შემდეგ კი მისი სასწაულებრივი დაბრუნება - „არ ვიცი რამდენი დღის შემდეგ, ერთ საღამოს მამაჩემი დაბრუნდა. იგი ფეხაკრეფით, უხმაუროდ და, თითქოს, უხალისოდ შემოვიდა სახლში. ახლა ვიგონებ იმ წუთებს და ახლა ვრწმუნდები, რომ მამას არ უნდოდა იმ ხანმოკლე პატიმრობიდან დაბრუნება შინაურ ზეიმად ექციათ. მაშინ უკვე სიხარულით ყველანი ხმამაღლა ავტირდით.”(ხალვაში, 2000:12).

ფრ. ხალვაში მარტო კი არ გამოხატავს იმ სინამდვილეს რაც მან ბავშვობაში განიცადა, არამედ ხედავს იმ ზნეობრივ საყრდენს, რაზეც იყო აღმოცენებული საქართველოს სიყვარული. ესაა წინაპრების ტრადიციებისადმი ერთგულება, წარსულის ცოდნა, ქრისტიანობისადმი მოკრძალება და ზრუნვა, ხინოდან გადმოსული ნიჟარაძის დედაბერი მთელი სიცოცხლის მანძილზე უვლის ეკლესიის ნაშთებს. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო რომანის ერთ-ერთი ეპიზოდი „საყდარი.“ აქ მთელი სიცხადით იკვეთება აჭარის რელიგიური წარსული, ნიჟარაძის დედაბერი - სხვა დროში, სხვა მემლექეთში,

სხვა დუნიაში მლოცველი ქალი, მაგრამ გასაგები ჩვენებურ ენაზე, რომელსაც „ჩვენ რომ სუყველაი ქრისტიანები ვიყავით მაშინ იქიდან ალბათ მაგარი რწმენა წამოყოლია“ ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი:

„— ჩვენ, ბავშვები, აქ საყდარში, რომ ამოვძვრებოდითო, – ამბობდა მამაჩემი, – ძველი საყდრის ჩამონანგრევ ქვებში ჩამჯდარი დედაბერი დაგვხვდებოდაო. ის დედაბერი, ამბობდნენ, ასოცდათორმეტი წლის ყოფილა. ძველი ჩვენი რწმენა, ქრისტიანობა, ბოლომდე შემოუნახავს, არ გამუსლიმანებულა. თურქებს და გამუსლიმანებულ ადგილობრივთ ამ საწყალი დედაბრისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. აღარაფრად ჩაუთვლიათ, იგი ნიჟარაძეთა დიდნენი იყო, ნიჟარაძეები ხინოდან გადმოსულები არიანო იტყოდნენ.

ხინოში კი დიდი ეკლესია ყოფილა ძველად, ჩვენ რომ სუყველაი ქრისტიანები ვიყავით მაშინ და იქიდან ალბათ მაგარი რწმენა წამოყოლია იმ დედაბერს. დახავსებული, დახვეული, დამურგული, ბოხჩასვით გამოკოჭილი დედაბერი იყოთვალშიც აღარ უჩანდა, ყურშიც აღარ ეყურებოდა. ეტყობოდა, მარტოდმარტო, ხელისცეცებით, შეჩვეული გზაბაწრით ახოხდებოდა საყდრამდე, მონახავდა იმ ძველი საყდრის მოფანტულად შემორჩენილ რამდენიმე ქვას, თვითეულ მათგანს ხელს მოუსვამდა, მოეფერებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და რაღაც ლოცვების ჩურჩულით იმ ქვათა შორის ჩაჯდებოდა.

თვით საყდარი კი კაიხნის წინათ, აქაურობის დაპყრობისთანავე, რწმენაშეცვლილ აქაურთ დამპყრობელთა თავგამოდებული, ერთგული დახმარებით, ნებაყოფლობით დაუშლ–დაუნგრევიათ და ჩვენი ძველების ხელით გაწიწკინებულ–გაპატოსნებული ქვები ამ გორის ძირში ჩაუზიდიათ, ჯამე–მედრესეს ასაგებად რომ ეხმარათ. ა, გადახედე, ჯამეზე წელქვეშაი ხომ სულ გათლილი ქვითაა (წელზედაია მარტო ხისა)? ჰოდა, ის ქვა ამ საყდრის კედლებში ეწყო თავის დროზე.

ის, ნიჟარაძის დედაბერი, თავის თავს ელაპარაკებოდა რაღაცებს. ჩვენი არც ესმოდა და არც ჩვენ გვეტყოდა რამეს. იგი სხვა დროში, სხვა მემლექეთში, სხვა დუნიაში ცხოვრობდა, იქ იყო მისი წმინდა სამყოფი სავანე და სამოთხე, ის იმ

დაკარგულ ძველს შესტიროდა, იმისი სჯეროდა, იმას ემსახურებოდა. მარა ერთი კია, მისი ლოცვა–კითხვა ჩვენთვისაც, ბაღნებისთვისაც, გასაგებ ჩვენებურ ენაზე იყო და არა უცხო არაბულზე, როგორც მერე მუსლიმმა მოგვიტანა.

კარგა დაბნელებამდე, აქ, საყდრის ნანგრევების ხავსმოდებულ ქვებში, დაბობლაობდა ის დედაბერი და ქრისტე–ფეილაძეებს ემსახურებოდა. აქ მაინც საყდარი ეგულებოდა, აქ ეს ალაგი საყდრად სწამდა. ის რამდენიმე ქვა თურმე იმ დედაბრის ხათრით დატოვეს აქა, აღარ წაართვეს, დაუტოვეს. მოუსვას ხელი საყდრის გრილ, ძველ, ხაოიან ქვებსა და ილოცოს თავისებურადო.

იქ, დაბლა, კოჭორის ძირას, ახალაშენებულ ჯამეში, ჯუმის სალოცავად მოსულ მამაკაცთა გუგუნის სულ უფრო მატულობდა, ჰოდა, იქ ქალის ჭაჭანებაც არსად იყო. გასაგებია, ქალი მამაკაცთან ერთად ხომ ვერ ილოცებდა ჯამეში. ქალი ხომ მამაკაცთა შორის ვეღარ გამოაჩენდა სახეს, იგი იმათმა მოტანილმა ჩადრმა დაფარა და დაიფარა. ამ გორას ირგვლივ, ფერდობებზე ძველ მესაყდრეთა მიერ მიმორგული ბზები ჟარჟვალობს ახლაც. აი, ხედავთ, რამდენია და რაფრათაა გადელელებული ის ბზები? ეგენი საყდრის გარშემო იყო დარგულ–მოშენებული, მერე კი ჯამეს შერჩა. ჯამეს სულ აღარ სჭირდება ბზა. ბზის შტო მაღლის ნიშანი იყო წინა რელიგიობაზე. ლოცვასავით უხმოდ შრიალებდა ქარში, მაგრამ თქმით თითქოს ბევრს ამბობდა. იგი წმინდა მცენარედ, სიცოცხლის ხედ, სულის სინედლედ ითვლებოდა, მერე ეკალ–ბარდი მოედო ბზის ბუჩქებს. დაიჩაგრა, დააღარიბა, და დაიპყრო იგი.

საყდრის დედაბერი საყდრის ნანგრევებშივე მოკვდაო. იმ დღეს, საღამოზე, შინ რომ აღარ მისულა, მოუძებნიათ და ღამით აქ, ქვებს შორის უნახავთ გარდაცვლილი. აქვე დაუმარხავთ, ნასაყდრალზეო. ასე აღუსრულებიათ ანდერძი იმ დედაბრისა.

საყდარი დასტურ გამორჩეულ ადგილზე დაუდგამთ დალოცვილ ჩვენს ძველებს....." (ხალვაში, 2000:43-45) ასეთი ვრცელი ამონარიდი იმიტომ მოვიტანეთ, რომ მასში სრულყოფილადაა წარმორჩენილი არსებული გარემო, მის მცხოვრებთა შინაგანი სამყარო და რწმენის მათეული, განსხვავებული გაგება, რომელიც განსაკუთრებულობას მატებს აჭარის მაღალმთიანეთს.

ეპიზოდის დასკვინთ ნაწილში მწერალი საოცარი ოსტატობით ხატავს პერსონაჟთა სულიერ დამოკიდებულებას-ადგილობრივ ტოპონიმებში შენახულმა ქართულის სიყვარულმა, წაუქცეველი წარსულის მძლავრმა სიცოცხლემ უნდა აცოცხლოს ეროვნული თავისთავადობის დღევანდელი იმედი და გადაარჩინოს მშობელი ქვეყნის ხვალისდელობაც. „მართალია, ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდ, - ამბობდა მამაჩემი, - მაგრამ, განა ამ მთა-გორების სახელებს რომ ვიმეორებ გულში, იგი ჩვენი ისტორიის წაკითხვას არ ნიშნავსო? აჰა, გახედეთ, ნახეთ, გაიმეორეთ: გადაღმა იმ ხეობის ალაგებს ბერთვენახები ჰქვია, ქვეით ბარში, ზედიზედ არიან: ლიე, შამბაური, გობაი, წილობანი, ჭანჭახი, ხობობაი, ნაპურვალაი, სამირულაი, საქერქაი; მერე, ზეით: ლელვათაი, ნაასლევი, ნაბაკევი, გვიმბირი, ნამინდვრევი, ჭერულები, გვანცა, მელიკალო, ყორნალა, საქორიათი, აკეანეთი, ღომაი, ბეთლემი, ჯვარმინდორი... აჰა, ამ სახელთა უბრალო ჩამოთვლა ჩვენი ისტორიის კითხვა არააო?“

ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე თვით ისლამისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გაჩენა.

აჭარელი პატივს სცემს ისლამს, მაგრამ ეჭვი კლავს უცხო ენაზე ლოცვის გამო: „რაც თავმოსტრილი ვარ, ჯამეში ვიარები, ჰამა ხოჯის ნათესვი ლარში ღერ სიტყვასაც ვერ ვიგებ. ტყვილა ვუქანებ თავს და ამინს ვიძახი. რათნა იხმაროს ამფერი ჩუტი ამინი ღმერთმა?! მათქმევინოს ჩემ ენაზე და ნახავს, რა გულსაც ამოვაცოლებ“. ეს ის პრობლემა გახლდათ, რომელიც უცხო ენაზე, გაუგებარ ენაზე მსახურებას ახლდა თან და რაც არ გამოხატავდა ღვთისადმი გულით აღვლენილ ლოცვას.

„უცხო რელიგიამ ქართველი ხალხი შუაში გააპო, ზოგი გადაღმა დავრჩით, ჰოდა, გაიმასქნილებს გვეძახიან, ახლა ჭკვას თუ ვიხმართ, ახლა ჭკვას თუ ვიხმართ, ალაჰსაც საქართველოსთვის ვამუშავებთ“ - ამ თამამ აზრს ახმოვანებს ერთ-ერთი პერსონაჟი და ამით ავტორი თავის სათქმელს ეუბნება მკითხველს.

ჯერ კიდევ მაშინ, გასული საუკუნის 30-იან წლებში, ასე დამოდღვრა მამამ შვილები: „ჩვენ ღისა ფეილამბერამდე ისინი ვიყავით, ვინცა ვართ დღეს, -

ქართველები... რა ენაზეც ლაპარაკობთ, ის ხართ. ესნა იცოდეთ შვილებო” (ხალვაში, 2000:190).

ასეთი დამოდღვრა აჭარულ ოჯახებს ისტორიულად მოსდგამდა, ასე იარა საუკუნეები ოსმალურ უღელქვეშ.

დიდი მღელვარებითა და სევდითაა დახატული თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრის ეპიზოდები: „თურქეთელ ქართველებთან შეხვედრებმა ჩემი ცხოვრება პირფესვიანად შეცვალა. თითქოს მომავალი საქართველო დავინახე, რაღაც დიდი იმედები, დიდი ფიქრები ჩამისახლდა სულში და გულში.” „ის სადამო, სტამბულში, ორი საქართველოს შეხვედრის სადამოდ იქცა“ - ვკითხულობთ ერთ-ერთ ეპიზოდში.

ამაღელვებელი პასაჟებითა და საინტერესო დაკვირვებით ფრიდონ ხალვაში პირიქითა საქართველოში დარჩენილ თანამემამულეთა უკიდევანო დარდზე დაგვაფიქრებს. ერთი ასეთი გულდარდიანი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი,მუსა ბურსელი იგივე ახმედ მელაშვილი იყო, „მუდამ დარდიანი, მუდამ დაძაბული, ფუსფუსა, ნაღველმორეული, თვალეზღამებული, მაგრამ ღრმა შინაგანი სინათლით პირმონათებული, ხმელ-ხმელი, სუსტი, შავთვალეზღამებული, ძუნწლიმილიანი, და ყოველი გაღიმებით სხვათა გულებში თითქოს მთელი გაზაფხულის მომყვანი. გულიანი, უღალატო, გმირი ქართველი, ასე თავგანწირულად, თმენით და ჭირთაგამლებით რომ დგას შორეთში თავისი ხალხის უკვდავ, დიდ საქმეთა უტეხ დარაჯად. ზოგიერთ ქრისტიანზე უფრო ქართველი, რომელშიც მთელი მუსლიმანური საქართველოს ტკივილი შერწყმულიყო.” კაცი, რომელმაც სადაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველა...ეს ის ახმედ მელაშვილია, რომლის აქტიური ძალისხმევის შედეგად თურქეთში პირველი ქართული ჟურნალის – „ჩვენებურების” გამოცემა გახდა შესაძლებელი, კაცი რომელსაც საქართველოს სიყვარულით შვილებისთვის ქართული სახელები: თამარი და იბერია შეურჩევია და იქ ბურსაში, თურქეთთა ნადედაქალაქევეში მაგიდაზე ედო წიგნი „საქართველო”.

ამაღელვებელი და საინტერესოა ეპიზოდი ბედისწერით, შორეულ, მშვენიერ, სევდიან ბურსაში, სახელმოხვეჭილი პოეტის ნაჯდომ ციხის ქალაქში,

თურქეთის პირველ ნადედაქალაქეში, სადაც ყოველ ნაბიჯზე, სამშობლოსაგან მოგლეჯილ ნამუჰაჯირალთა, მუსლიმან ქართველთა ნათქვამ მშობლიურ სიტყვას გაიგონებ, აი, იმ ბურსაში, საბოლოოდ და ერთადერთხელდა მწერლის, აფლიკვინებულ მამიდასთან შეხვედრა, რომელსაც მთელი ცხოვრება უცხოობაში გაუტარებია, თავისი ბედი თავად გადაუწყვეტია, მოხუცი მამის თხოვნის და შეგონების მიუხედავად - „ერთიმეორის დაკარქვა გვაკლია ჩვენ?! ძვილაი ჩვენ-ჩვენ კერებზე ცეცხლი მოვანთეთ, ძვილაი ერთმანეთი მოვძებნეთ, ძვილაი ამ ჩვენმა, სხვისი ქუსლით გაჭეჭყილმა აჭარამ, პაწაი სული ამეითქვა, ძვილაი თავისი თავი იცნა, ძვილაი თავისი მემეღექეთი, თავისი ნენეი თავისთან დეიგულა, ძვილაი ჩვენი სისხლის და ხორცის ხალხთან ერთად ვართ და ახლა კიდო აქედან სხვაგან-სხვაგან გევიქც-გამოვიქცეთ?!“ ნახევარ საუკუნეზე მეტია თურქეთში ცხოვრობს, მაგრამ სიკვდილთან მიახლოებული „შინ“ დაბრუნების სურვილს შეუპყრია: „მე მაიცნა წევდე ჰაცხა... - იმეორებდა მამიდა. - იქ მინდა, ისევ, იცით? იქ, შინ. ახლა მალე მეც დევხარჯები, ვიცი და... იქ მინდა, ნენე-ბაბას ძვლებთან ჩამფლათ ჰაცხა. ეს ერთი თხოვნა მაქვს ყველასთან. იქ მინდა ნენე-ბაბას ძვლებთან ჩამფალით... მეტი ააფერი და“, თუმცა სურვილი სურვილად დარჩა.

„ხოლო შინ, რომ დავბრუნდი და რამდენიმე წელიწადი გავიდა, შემაზრზენი ამბავი შევიტყვეთ. ბურსაში, დილით, თავის სახლის კარებთან, ვიღაც უცნობებმა ავტომატის ჯერით დახვრიტეს კრებულ „გურჯისტანის“ ავტორი და სამი ტყვიით მძიმედ დაჭრეს მისი ვაჟი, ივერი...“(ხალვაში, 2000:62) თითქოს საბედისწერო გახლდათ შეხვედრა ახმედ მელაშვილთან.

§ 2 – „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“

რომანი „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“, თითქოს რომანის „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ გაგრძელებას წარმოადგენს. წინა რომანის მთავარი პერსონაჟის - შუქრის ცხოვრება ახალ სიბრტყესა და სივრცეში

მიედინება, მისი საფიქრალი აქ უფრო ღრმაა. ამ რომანის მთავარი პერსონაჟია „შიო, მთელი ბაღლობა შუქრის სახელით, რომ გამოირბინა.“ ეს რომანიც შუქრი-შიოს განვლილი ცხოვრების გზის, ოღონდ მისი უკვე ახალი მონაკვეთის რეტროსპექტიული ჩვენებაა: „ხანი გადის, წარსული კი თითქოს უფრო მიახლოვდება... ყოველი მოგონება სიამისმომგვრელიცაა და მწუხარების მომტანიც... შუქრი, იგივე შიო უკვე „შეძველებულ თავის გაზიკს საჭეში ჩაბლაუჭებოდა, მრეჭი, დაღრეკილი გზა ბორბლებქვეშ ისევ მირბოდა უკან, როგორც განვლილი წლები.“

აქაც („შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“) რეალური, ნამდვილი ამბებია რომანის ქარგად გამოყენებული.

ნაწარმოების სიუჟეტი თურქეთსა და აჭარაში იშლება და ავტორიც, რომლისთვისაც ასეთი მახლობელი და მტკივნეულია ეს საკითხი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თავად განიცდიდა მშობლიური კუთხისათვის მიყენებულ ჭრილობებს, საკუთარი ტკივილითა და განცდილით გვესაუბრება. ავტორის გრძნობებს პერსონაჟთა სატკივარიც ეხმიანება და ერთ საერთო კითხვად ყალიბდება - განსაზღვრავს თუ არა სარწმუნოება ეროვნულობას და შეიძლება თუ არა მაჰმადიანის ქართველობა.

საქართველოს მწერალთა დელეგაცია ეწვია თურქეთს. დელეგაციაში აჭარაში დაბადებული და გაზრდილი მწერალი შიო შავაძაცაა.

ფრიდონ ხალვაშმა მაშინდელი შეხვედრები ჩვენებურებთან, მაშინ გადაბმული მუდმივი სიყვარულის ძაფები გამოიყენა მთავარი თემის გასაშლელად.

შიო შავაძე „ხომ ერთადერთი იყო ქართველ ლიტერატორთა, ანდა, ვთქვათ გულგახსნილად, - თურქეთში პირველად ჩასულ ქართველ მწერალთა შორის, ერთადერთი არათბილისელი, ერთადერთი არაქრისტიანულ ქართულ ოჯახში აღზრდილი ლიტერატურის კაცი“... და საოცრად ამაღელვებელია, ჟრუანტელის მომგვრელია ამ „არაქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი ლიტერატურის კაცის“ შეხვედრები თურქეთელ ქართველებთან – „ქართული ენის შვილ მუსლიმან მოძმებთან.“

ამაღელვებელი პასაჟებითა და საინტერესო დაკვირვებით ფრიდონ ხალვაში პირიქითა საქართველოში დარჩენილ თანამემამულეთა უკიდევანო დარდზე დაგვაფიქრებს. ერთი ასეთი გულდარდიანი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი, მუსა ბურსელი, იგივე ახმედ მელაშვილი გახლავთ, რომელშიც - „მთელი მუსლიმანური საქართველოს ტკივილი შერწყმულიყო“. კაცი, რომელმაც სადაც აკრძალეს საქართველო იქ იქართველა...“ ეს ის ახმედ მელაშვილია, რომლის აქტიური ძალისხმევის შედეგად თურქეთში პირველი ქართული ჟურნალის - „ჩვენებურების“ გამოცემა გახდა შესაძლებელი.

მეცნიერი ნინო მურვანიძე, თავის მონოგრაფიაში, საინტერესოდ ახასიათებს ახმედ მელაშვილის პერსონაჟს: „უაღრესად პასუხსაგები მამულიშვილური მისია დააკისრა განგებამ ახმედ მელაშვილს, რომელიც პატიოსნად, უენოდ, ყოველგვარი ხარკისა და ჯილდოს გარეშე ემსახურებოდა ამ საერო საქმეს, თანამომძეთ შორის მხოლოდ ქართულს, ეროვნულს თესავდა, საქართველოსა და ქართველობისადმი ღრმა სიყვარულს აღვივებდა, ქართულ ეროვნულ კულტურასა და დედა ისტორიას აცნობდა ახლად წამოჩიტულთ, ქართულ სახელებს არქმევდა ახალშობილთ, ქართულ ტრადიციებზე აქორწინებდა ოჯახის შექმნის მსურველთ, მის ყოველ მიხვრა-მოხვრასა, მცირე თუ დიდ საქმეში მუდამ „კვნესოდა სამემლექეთო“... ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ძმებს დედომემლექეთი არ დავიწყებოდათ. რის გამოც კიდევ გამოასალმეს იგი წუთისოფელს ისე მზაკვრულად და მიპარვით, როგორც ერისა და მამულის სიყვარულში დაფერფლილი მრავალი ქართველი, მოკლეს რწმენისა და შეუცვლელობისათვის, ერისა და მშობელი ხალხის სიყვარულის არდავიწყებისათვის და ამ სიყვარულის თაობებში გაღვივებისათვის“... „გათავდა, მორჩა, ერთი ცოტნეც მიწას მიბარდა, უსამშობლოდ ვინც სამშობლოს ნამუსს იცავდა“ (მურვანიძე, 1988:78).

„შიო ყველაზე მეტი სისხლხორცეულობით და კიდევ რაღაც სხვა უსახელო, გამოუცნობი გრძნობებით განიცდიდა უცნობ თანამომძეებთან შეხვედრას. იმ, მთლად მუსლიმანურ სამყაროში გაჩენილ-აღზრდილ ქართველთა ყოველ გამოხედვაში, ყოველ ნათქვამ სიტყვაში, აზრში, ფიქრში,

თვით უბრალო გაღიშებაში თუ იმათ შუბლებზე გადარჩენილ სევდა-სიხარულთა ანარეკლებში, შიო უმწვავესი წვით თავის საკუთარ გულის და გონის გამოძახილებს იჭერდა”.

მოცემულ ეპიზოდს კრიტიკოსი ჯუმბერ თითმერია ასეთ შეფასებას უკეთებს: „ჩემთვის საოცრად დიდი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი, ისტორიული დატვირთვა აქვს ამ დეფინიციას - „ქართული ენის შვილი მუსლიმანი მოძმეები“- ეს ფაქტის, მოვლენის არა მარტო ემოციური, არამედ ზუსტი განსაზღვრაა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების ხაზგასმით. დიახ, ჩვენთვის, მართლმადიდებელი ქართველებისთვის, ყველაზე მთავარი, ყველაზე ძვირფასი ის გარემოებაა, რომ თურქეთელი მუსლიმანი ქართველები სწორედ, რომ „ქართული ენის შვილები“ არიან! შეუძლებელია შიო შავაძეს - „სამუსლიმანო საქართველოს“ ღვიძლ შვილს, - თუ მართლმადიდებელ ქართველებს თანაბრად არ აუჩქროლდეთ სისხლი, თანაბრად და ნეტარად არ გაუხშირდეთ გულისძგერა, როცა ხედავენ და ისმენენ, რომ „ეგრეთწოდებული მუსლიმანი, მაგრამ გადასარევი ქართველები თითქოს უფრო ხმამაღლა, უფრო აშკარად, ყველას გასაგონად, ყველასაგან მოურიდებლად, უშიშრად და, თითქოს გამომწვევადაც, ლაღად, საზეიმოდ იმეორებენ:

„-ჩვენ აბა რაი, აბა, - ქართველები ვართ, ჰო”.

ან კიდევ:

„- ჰა? ჩვენ? კაი ვართ, კაი ვართ... ალლაჰ, ალლაჰ, გეხვეწები, იმფრათ ნუ მომკლავ, ერთი თვალით არ დამანახვო გურჯისტანი, - ჩემი ნენე-ბაბავათანი, საქართველო...”

ან, მოვუსმინოთ, თუ როგორ მიმართავს ქართველი მოლა ჩამოსულ განათლებულ თანამემამულეებს:

„- ამდენი პოეტები ხართ, ჰოდა ყურანის ქართული თარჯიმი (თარგმანი) რომ ვქნათ, რა იქნება? ჰო, ქენით ეს მაღლი და ვამუშავოთ ისლამი საქართველოსთვის”.

„და როცა ამას ხედავ და ისმენ, თავისთავად ცხადი ხდება შენთვის, რა პასუხიც უნდა გაეცეს მიუკიბ-მოუკიბავად დასმულ კითხვას: შეიძლება თუ არა

მუსლიმანი იყოს ქართველი? “ (ხალვაში, 2000:564-565) - ვკითხულობთ ჯ. თითმერიას ერთ-ერთ წერილში „დაბრუნება თავის თავთან ანუ...“.

თუმცა ქართველი ყველგან ქართველია და ის უპირველესად საქართველოს შვილია.

ვნახოთ, როგორ ფიქრობენ იქ და აქ, მდაბალნი და მაღალნი ამა ქვეყნისანი.

თითქოს არასოდეს უგრძვნია შიოს ეჭვიანი დამოკიდებულება, იგი მუდამ სითბოთი და მოფერებით ჰყავდათ დედაქალაქში მიღებული, მაგრამ „იყო მაინც ხანდახან შებურულ-შემალული რაღაც... სხვადასხვა სარწმუნოების ქართველთა ქართველობაში, რაიცა ზოგჯერ აქა-იქ მწარედ, ტკივილის მომგვრელად იჩენდა თავს“. და აი, მუსლიმანი ქართველი მწერლის მიმალულ ტკივილს მალამოდ მოეფინება ბურსაში შეხვედრილ ქართველთა წარმოთქმული გადარჩენილი ქართული სიტყვა.

„ეფენდი, მე მოლა ვარ, მოლა, ჰამა მაგარი ქართველი ვარ, ესნა იცოდეთ მემელექეთელმა ქართველებმა“, - ეუბნება სტუმრებს ბერიკაცი, რომელიც ღმერთს ევედრება, ისე არ მოკლას, თვალით არ ანახოს ნენე-ბაბავათანი, გურჯისტანი.

ქართველი და მოლა? თითქოს გასაკვირი იყო....

„რაი ეფენდი? აბა, არ შეიძლება მუსლიმანი იყოს ქართველი“? - ეკითხება მოლა კარლოს, რომელიც ხარხარით იღებს შეკითხვას, მაგრამ სხვები შეცბნენ, - იქაური და აქაური სახელმწიფო „მსტოვრების“ თვალი კრძალავს თავისუფალ თემებზე საუბარს.

მაგრამ ტკივილი მაინც არ იმალება, ამიტომაც არაერთხელ ითხოვს გმირი ისლამის წიგნის ქართულად თარგმნას. მოგვიანებით გამოჩნდა, რომ ამ აზრს იზიარებდა ქართული ეკლესიის წინამძღოლიც.

კრიტიკოსი თ. აბულაძე სამართლიანად აღნიშნავს: „ცალკე განსჯის საგნად არ მინდა ვაქციო აჭარის ავტონომიურობის თემა, სხვათაშორის, ეს საკითხი წინა რომანშიც წარმოჩნდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ არც თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს მოსწონთ ამგვარი დაყოფა,“ და მოიყვანს ციტატას: „თქვენ, იქ ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველები

ერთიმეორესთან კარქათ ვერ ხართ? აბა, ორი ჰუქუმეთი (მთავრობა) რატომ გყვანან? ერთი-თბილისში, მეორე-ბათუმში?” - კითხულობს მუსა ბურსელი, რომლისთვისაც ქართული საქმეა ცხოვრების მიზანი, წიგნებს და სურათებს აგროვებს, ქართულად სიმღერის ნებას არ აძლევენ და ქართული ცეკვის გუნდით ემსახურება საქართველოს სიყვარულის პროპაგანდას, შვილებისათვის ივერი და თამარი დაურქმევია, არქივში მიგნებულ ქართულ მასალებს კი შიოს ატანს სამშობლოში მეცნიერებზე გადასაცემად.

ლოგიკურია, ასეთ კაცს აწვალებს კითხვა, რატომ არ შეიძლება იყოს მუსლიმანი ქართველი?

შიომ მისი კითხვა აქ, ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკს, კიტას დაუსვა, რომელიც თურქოლოგიცაა და კარგად უნდა ერკვეოდეს საკითხის არსში.

„ეს რთული საკითხია... ეს თვითონ გამუსლიმანებულებმა უნდა დაამტკიცონ საქმით. მაგრამ აქ ბევრი რამაა გასარკვევი, მათი ალაჰი მისცემს ნებას ქართველობისას?” - ცდილობს პასუხის გაცემას კიტა და შემხვედრი კითხვით ამთავრებს.

„ოდეს ადამიანი გაექცეს თავის ძმას, თავის დედ-მამასა... წყვილია დმა დააბნელოს”. - წერია ყურანში. აქ ჩანს, რომ „ყურანი” არ უჭერს მხარს თავისიანის უარყოფას, მაგრამ მაინც ვერ გაიგო კიტამ. „რაც გულთან ვერ მიდის მუსლიმანობა და ქართველობა ერთად... პირადად თქვენზე არაა ლაპარაკი, ჩემო შიო... მაგრამ ვიყოთ გულახდილნი, ხომ არიან სხვანაირად რომ ფიქრობენ და სწამთ?” თანდათან აზუსტებს სათქმელს იგი და იხსენებს მაგალითს: ქობულეთში ჰკითხა თურმე ბერიკაცებს, ხომ ხართ ქართველებიო და უპასუხეს: არა, ძიავ, ჩვენ მუსლიმანები ვართო.

„ჰოდა, - გააგრძელა კიტამ, - იქ რაღა იქნება, იმოდენა ისლამური ქვეყნის ქართველობაში? რა უნდა ეშველოს ამას ყველაფერს? როგორ ახლა, იქაური მუსლიმანი ქართველი ივარგებს ვითომ ქართველად? ისინი გათურქებული არიან”.

„მე თქვენი დონის ქართველი მოღვაწის ამნაირი მსჯელობა უფრო მაშინებს, ვიდრე ის, რაც ქობულეთის ვაგზალთან იმ ბერიკაცებმა გითხრეს, ბატონო კიტა, თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ქართველი გლეხკაცი, დედამიწაზე რაც მუსლიმანია, ყველას თათარს ეძახის. თქვენ ამნაირ გაგებად დაშვება გეკადრებათ“- ამოსკდა აჭარელის გულიდან ნათემნი, ნაწვალეები, რიდიოთ თუ შიშით დაბეჟსნილი პასუხი. ისევ მღელვარებით აგრძელებს შიო-ფრიდონი: „ოსმალო ქრისტიანობის სინონიმად თუ სანაცვლოდ ქართველობას იყენებდა, რათა მის მიერ ძალით გამუსლიმანებულ, დაპყრობილ მოსახლეობაში, საკუთარი ერის მიმართ სარწმუნოებრივი უნდობლობა დაეთესა.

აი, იმ ფარული, მალული, შიშნარევი საუკუნის პროპაგანდის თუ თავში კეტიოთ ჩაჭედილი დოგმის ნარჩენი განმეორდა იმ ბერიკაცის ნათქვამში...

აბა, გეკითხათ იმ ბერიკაცისთვის ასე: ბიძიებო, თქვენ თურქები ხართ? აბა, საინტერესოა რას გეტყოდა. აჰ, არა, ძიავ, თურქი არა, მუსლიმანი ვარო, გეტყოდა. იმას, საუბედუროდ, ჰგონია ქართველობა მხოლოდ ქრისტიანობას ნიშნავს, რაც ცოდვად აქვს შეგნებული და იმის ეშინია”.

საფუძვლიანი ახსნაა, მაგრამ მაინც ვერ ჩაწვდა ბოლომდე კიტა: „ვალთაროთ სინამდვილე, რეალობა მაინც უფრო ჯიუტი, უხეში და მოუთვინიერებელი რამ არისო”.

თურქოლოგი და ცეკას განყოფილების გამგე ვერ იგებს პრობლემის არსს... თუმცა ბევრმა გაუგო ჩვენებურებს, შიოს კი სჯერა მუსა ბურსელისა: „ნუ გამინებთ მუსლიმანობა, პირიქით, მოვიშინაუროთ და ვაქართველოთ თავის მუსლიმანურ რწმენასთან ერთად; შემოვუშვათ ქართულ საქმეებში და ამით თვით ისლამიც საქართველოსთვის ვამუშაოთ”....

„ზოგიერთი მარტო თავის ქრისტიანულ წარმოშობას თვლის ქართველობის უმაღლეს ნიშნად, ქართველობისთვის კი იოტისოდენადაც არაფერს აკეთებს”. თუმცა საკითხავია, ვინ უფრო დიდი ქართველია....

ცალკე ეპიზოდად შეიძლება გამოიყოს თურქი ზეჟერიასა და მუსას დიალოგი. სტამბოლის ერთ საიდუმლო არქივში მომუშავე, თურქი ზეჟერია,

ისტორიის შესანახში ისეთ რამეებს წააწყდება, რომ ქართველებზე წარმოდგენა ეცვლება და მოგვიწოდებს, რომ ქართველობას მოვლა, გადარჩენა და გამრავლება სჭირდება.

ზექერიას, სისხლხორციტ თურქს, მეტად მოკიდებია ქართველის ყოფნა-არყოფნის სევდა-გენია და გაუთავისებია... ზექერიას მონათხრობში, ქართველი ერის, დიდი სიყვარული და პატივისცემა იკვეთება: „ქართველები საინტერესო ხალხი ხართ. თქვენი თქვენებურათ ყოფნა, თქვენი თავის და თავისთავადობის შენახვა-შენარჩუნება, არა მარტო თქვენთვის, თურქებისთვისაც, და თუ გნებავთო, მთელიკაცობრიობისთვისაც, საჭირო, გამალამაზებელი, გამამრავალფეროვნებელი ერი ხართო. უთქვენობა ძალიან დაეტყობოდა კაცობრიობასო.

„ოსმალს ვადანაშაულებ და ბრალს ვდებ არა მარტო იმაში, რომ თავისი ფიზიკური ძალის უპირატესობის წყალობით დასაპყრობ-ჩასაყლაპავად ჯიჯგნეს და ჯიჯგნეს გურჯისტანი, არამედ იმიზე, დაკავებულ მიწებზე მცხოვრებ თქვენებურებს მათი ძველი რელიგიაც რომ ძალით შეუცვალესო. ეს იმფერი ცოდვაა, დაპყრობაზე, უფრო მეტი დაპყრობააო. ამით ოსმალოებმა, არა მარტო გაანახევრეს გურჯები, როგორც ერი, არამედ დააზარალეს თავისი თავიც, თავადაც ხომ მომავალი განათლებულ-ცივილიზებული კაცობრიობის შემადგენელი იქნებოდნენ? ჰოდა, იქ შეტანილი თქვენი წვლილი ხომ მათი ზიარიც იქნებოდა? რომ პირველარჩეული რელიგიით, მართლმადიდებლობით, რაც როგორც შევატყვე, უკეთ მოერგო თქვენს ენას, ყოფას, ბუნებას და იდეალს, რაც სინამდვილეში თქვენთვის ეროვნულ იდეოლოგიად იქცა, გურჯობა ფიზიკურად შუაში, რომ არ გახლეჩილიყო, ამ პირველარჩეულ სასულიერო სამსახურით, იმ პირველადებულ საგანმანათლებლო-საკულტურო ძალისხმევის ტემპით, გაცილებით მეტს შეიძლებდა თავისთვის და ამით მთელი ადამის მოდგმისთვისო. გურჯმა სულ უნდა იცოცხლოსო “(ხალვაში, 2000:413-414)-საუბრის დასასრულს დასძენს ზექერია.

რომანში პრობლემის გახსნის და გადაწყვეტის საინტერესო ცდაა მოლასა და მღვდლის ურთიერთობა... ისინი ქართველები არიან და სხვადასხვა რწმენის

გამო არ უჭირთ ურთიერთობა, უყვართ ერთმანეთი და ერთად ლოცულობენ: „ეფენდი, მე მოლა ვარ, მოლა. ჰამა მაგარი ქართველი ვარ, ესნა იცოდეთ მემლექეთელმა ქართველებმა. აქ სტამბულში, ერთი ქართული კათოლიკების ქილისაა (ეკლესია), იქაც ვიარები, მღვდელი მყავს იბრეთი, გადასარევი ძმაკაცი და, ე, იმასთან ვლოცულობ. ე, ის იაკობაი მღვდელი რომაა, მე და ის ერთად ვლოცულობთ იმ ქილისაში ქართულად. არ ვიცოდი, ასე გემრიელი თუ იყო და თუ ამფრათ იქნებოდა ქართული ლოცვა! სიტყვები ვითამ ხაოიანია, - ჭიბოშანივით მფხანს გულს” - ამ ძველქრისტიან ქართველებში სამმა მწუხრიანმა საუკუნე ზოგი ქრისტიანი მუსლიმან ქართველად აქცია, თუმცა როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „არ მაშინებს სარწმუნოების სხვადასხვაობა, მთავარია ის, რომ სისხლით, ენით, ისტორიით ერთნი ვართ”.

მტკიცება იმისა, რომ შეიძლება მუსლიმანის ქართველობა... რომ მუსლიმანობა ხელს არ უშლის და არ კრძალავს ქართველობას ფრიდონ ხალვაშის რომანებში ძალუმად შეიგრძნობა. შემთხვევითი არ არის გელათში - ქართველ მეფეთა სალოცავზე, ქართველი მღვდილისა და ქართველი მოლას შეხვედრა. მათ შორის საუბარი ასე წარიმართება: „- მუსლიმანი, მოლა, თანაც ასეთი ქართველი? პირველად ვხედავ, ეს მიბრძანეთ, ბატონო, თქვენ თვითონ გწამთ თქვენი ქართველობა? როგორაა, მუსლიმანობა ქართველობის ნებას იძლევა?” ჰკითხავს მამა გიორგი მოლა ქიბარს, რაზეც ღიმილით უპასუხებს მუსლიმანი, მაგრამ ქართველი მოლა: „ეს ძალიან მართალი რამე მკითხეთ ახლა თქვენ, ბატონო მამა გიორგი... აქობამდე, მუსლიმანი და ქართველი ერთად არ გამოითქმოდა. ქართველი გიაურს, ურწმუნოს ნიშნავდა. გაქართველდაო, ვინცხაზე რომ იტყოდნენ, ნიშნავდა ის კაცი წახდა, გაგიაურდა, ურჯოლო გახდა, ღმერთის რწმენას ფეხი დააბიჯა. იმნაირს აღარავინ მიეკარებოდა. ახლა, ამ ბოლო ხანებში, განათლებამ რომ პაწ-პაწაი ისტორია-ქითაბებში ჩაგვახედა, მივხვდით, რომ ქართველობა ეროვნებას ნიშნავს და არა ქრისტიანობას, თანაც იმ ხალხის სახელია იგი, ვისი ჯილაგიც თვითონ ჩვენ „მუსლიმანი გურჯები” ვყოფილვართ.

ქრისტიანობა და მუსლიმანობა, მემრე, გვიან მოსულა. პირველად, თავიდან ჩვენ ხალხი - ქართველები გავჩენილვართ. აჰა, ეს რომ გავიგეთ, მაშინ ხელმეორედ დავიბადეთ ჩვენ იქაური, გადაღმელი მუსლიმანი ქართველები, - დააწყო და დააწყო აზრები და სათქმელები მოლა ქიბარმა, მამა გიორგი მოიხიბლა. ხელები გაშალა და იქვე, დავით აღმაშენებლის საფლავის თავზე, ქართველი მღვდელი ქართველ მოლას მოეხვია.”

ქიბარმა „კურცხალი“ ვერ შეიკავა... მამა გიორგის კი არ უნანია ეს გადახვევა, ფიქრობდა, რომ ნამდვილად მოიწონებდა აღმაშენებელი, სხვადასხვა სარწმუნოების ორი ქართველის ჩახუტებას.

ეპიზოდის კულმინაცია კი, ამ ქართულ წმიდა ქრისტიანულ ტამარში მუსლიმანის ლოცვა იყო.

მხურვალე იყო მოლა ქიბარის ლოცვა: „- ალაჰ, ალაჰ, დიდო ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, - მიე ამ მიწას ზეთ რომ ფეხი მიბიჯია ახლა, მიე ამ მიწას და მიწის შვილ ხალხს ძალა და უკვდავება. არ მილოცია ამ მიწაზე არასდროს. ახლა მშობლიურ ბალახზე, მშობლიურ მიწაზე შუბლს დავდებ, მიიღე ეს ჩემი ნამაზი, ჩემი მემლექეთის გადარჩენის ლოცვად, ალაჰ! - დაიმუხლა, შუბლი დაადო გელათის ჩრდილებში მობიბინე ბალახს, მეტხანს დაყოვნდა დამუხლული და დამხობილი; თითქოს თავის საკუთარ, დიდი ხნის ნანატრ მამულს კაკალ გულში ემთხვია და ისე ეამა, ვეღარ თმობდა...“ (ხალვაში, 2000:518)

აქ კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს, რომ ქართველობა კაცის ეროვნებას ნიშნავს და არა ქრისტიანობას, აქ უფრო მკაფიოდ გაეცა პასუხი რომანის მთავარ კითხვას, რომ შეიძლება მუსლიმანის ქართველობა, თუ სულით ქართველი ხარ, განა ბევრია ისე უსაშველოდ ქართველი, როგორც მოლა ქიბარი, რომელიც აღმაშენებლის საფლავზე მლოცველი თავის ალაჰს, ამ მიწისა და ხალხის უკვდავებასა და სიძლიერეს სთხოვს....ეს გახლავთ საოცარი, პირდაპირი პასუხი კითხვისა, რომელიც რომანის სათაურშივეა გაცხადებული

ეს რომანები გახლავთ სხვა რელიგიით მიყენებული განცალკევებულობის ტკივილის მომუშება, რაც შემდგომში მწერლის პიროვნულ მრწამსად ყალიბდება: „იმედი, დათმობა, მოთმინება, გატანა, პატიება...

დედასაქართველოსგან ასეული წლობით მოწყვეტილი კუთხის შვილი შეგნებული ცხოვრების ყოველდღე ვცდილობდი რამენაირად დამეჩქარებინა სხვა რელიგიით მიყენებული განცალკევებულობის ტკივილის მოშუშება. ბევრი მოქიშპე, მოძულე მყოლია. მტრობისათვის მტრული პასუხი არ გამიცია. ამისთვის გამამტყუნეს, მაგრამ თავად ვირწმუნე - ამით ბევრი მოვიგე”, - წერდა ფრიდონ ხალვაში, რომელიც წარმოშობით საქართველოს ძირძველი კუთხიდან, ლაზეთიდან იყო.

II თავი

ფრიდონ ხალვაშის დრამატურგია

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში მხატვრული ღირებულებითა და ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული ადგილი უჭირავს დრამატურგიას. მწერლობის ეს ჟანრი განსხვავებულია იმით, რომ ამბის თხრობა აქ მოქმედებებისა და დიალოგების მეშვეობით ხდება. ამდენად იგი განსაკუთრებულ ოსტატობასაც მოითხოვს ავტორისაგან. ის ფაქტი, რომ ფრიდონ ხალვაშმა შექმნა შეიძლება რაოდენობრივად მცირე, მაგრამ მხატვრული ღირებულებით დატვირთული პიესები კიდევ ერთი დადასტურებაა მისი შემოქმედებითი ოსტატობისა. ეს პიესები გამოქვეყნებისთანავე მოექცა ყურადღების ცენტრში და წლების მანძილზე არ ჩამოსულა დრამატული თეატრის სცენიდან, რაც ავტორის კიდევ ერთი აღიარება გახლდათ.

§1 – „ხიხანის ძახილი“

ფრიდონ ხალვაშის პიესა „ხიხანის ძახილი“ ეძღვნება დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებისათვის თავგანწირულ გმირებს, რომელთაც სახელოვანი სელიმ ხიმშიაშვილი მეთაურობდა.

სელიმ ხიმშიაშვილის თემა ქართულ მწერლობაში პირველად ფრიდონ ხალვაშმა შემოიტანა. ჯერ ლირიკული ლექსი მიუძღვნა გმირს სათაურით, „სელიმ ხიმშიაშვილი“. პოეტი სალოცავ ადგილებად ხატავს ყველაფერს, რაც სელიმ ხიმშიაშვილის სახელს უკავშირდება - ხიხანის ციხეს, სოფელ ბაკიბაკოს, სადაც ჯალათმა ფიზიკურად დაასრულა სელიმის სიცოცხლე, მაგრამ მისი საქმე დღესაც ცოცხალია.

„მაინც ავედი ხიხანზე,
იდგა ღმერთივით ამინდი.
ავედი, თითქოს წარსული
დავიახლოვე ამითი.
დავიახლოვე კიარა,
ვარბილე კლდეთა გრანიტი.
ავლაპარაკდი ბავშვივით,
ენა ახალად ავიდგი,
აქ ალვას გლეჯდა სელიმი,
მაგრამ ღალატმა გაყიდა.
და სასიკვდილოდ მიმავალს
არ უთქვამს - ყოფნა არ ღირდა.“ (ხალვაში, 2005:527).

სელიმხიმშიაშვილის სახეს და თემას გვერდი ვერ აუარამწერალმა რომანში „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“: „იჯდა ახალციხეს, ანუ ვითარცა ოსმალები ემახოდნენ - ახისხას და ეპყრა ოსმალოს მიერ დაპყრობილი საკუთარი სამშობლო. მაგრამ მტრის სამსახურში ყოფნა სელიმმა თავის სული კუნჭულებში ჩარჩენილ-მიმოთესილი ეროვნული თვითშეგნების ცოდვა-მადლთა სასწორზე დადო....“

მიუსიეს რუსებმა აგენტები, დაპირდნენ ოქროს. შემოგვიშვი ახალციხეში ჯარით და მოგეხმარებითო. შეუთვალა, თუ მოხმარება გინდანან, მომეცით მხოლოდ იარაღი, ფული და დანარჩენ საქნელს თავად ვიზამო; იცოდა, რუსს რომ შემოუშვებ, რაც უნდა სამმო მისიით შემოვიდეს, მერე ველარ გადენი. ქართველს არ შეეძლო დახმარება, რუსისა კი არ უნდოდა და ამიტომ არ ინდომა

და სელიმი მარტო შეეჭიდა ორასწლიან ოსმალურ უბედურებას” (ხალვაში, 2000:418-419).

სელიმ ხიმშიაშვილის პირველი დრამატული სახეც ფრიდონ ხალვაშმა შექმნა პიესაში „ხიხანის ძახილი“. ეს გახლავთ ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად. დრამის მთავარი გმირის და მამულისათვის თავდადებულ სხვა პერსონაჟთა ტრაგედიას წარმოქმნის შეურიგებლობა საქართველოს მტრებისადმი. მართალია, ყველა სიკეთით სარგებლობს დიდგვაროვანი სელიმ ხიმშიაშვილი, მაგრამ ქვეყნის ინტერესებს ის ყველაფერზე მაღლა აყენებს. მშვიდად შეეძლოთ საკუთარი წუთისოფლის გატანა დაუთსა და სოფიკოს, მით უმეტეს - სულიკოს, რომელიც მემკვიდრეს მოესწრო, მაგრამ მათაც პირად ბედნიერებაზე მაღლა სამშობლოს წინაშე პატრიოტული ვალი დააყენეს. პიესაც დაუთის გულში სამღერი სიტყვებით იწყება:

„ამდენ დარდში დაიწვა

ჩემი შავი ბედიო.

ამდენ ნატვრა-ვაებას

როგორ შევაბერდიო.

აჭარა, ქართლ-კახეთი,

მესხეთ-ჯავახეთიო” (ხალვაში, 1959:6).

პიესის გამჭოლი ეროვნული იდეა სელიმ ხიმშიაშვილის მხატვრულ სახეშია განფენილი. შემთხვევითი არ არის, რომ ნაწარმოების ძირითადი სათაურის ქვეშ მეორე სათაური „სელიმ ხიმშიაშვილი“ დააფიქსირა ავტორმა.

სელიმის დახასიათებისას, დრამატურგი, პირველ რიგში, წარმოაჩენს გმირის ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებას. ქართველი დარბაისელი დიდგვაროვანის წესი არ არის მუხლმოყრილი და თავდადრეკილი მიიღოს თანამემამულე. კარგად აღზრდილი ქართველი დიდგვაროვანიადამიანის პიროვნულ ღირსებას პატივს მიაგებს. ამ თვისებებით დაჯილდოებულს ხატავს დრამატურგი თავის გმირს თურქი ასკერის, მუსტაფას მიღების სცენაში. სელიმთან შეხვედრის დროს მუსტაფა დაიჩოქებს. სელიმი წამოაყენებს და ეტყვის: „ადექი, ადექი და ისე მელაპარაკე... იცოდე, აქ შენ და მე ორივე კაცები

ვართ.”მუსტაფამ პირველად მოისმინა ასეთი ადამიანური სიტყვა და გაოცებული კითხულობს: „მე და შენ ორივე კაცები ვართ?” სელიმის მიერ ადამიანურმა მიღებამ თურქი ასკერი, რომელიც თურქეთის არმიის იუზბაშების ცემა-დამცირებას გამოექცა, ქართველი ხალხის ერთგულ მეგობრად აქცია და ხიხანის ციხესთან თავგანწირულ ბრძოლაში გვერდით დაუდგა ქართველებს: „მე აქ მოვკვდები, ჯობს. მე და შენ ხომ ორივე კაცები ვართ” (ხალვაში, 1959:28).

სელიმი ქართველი მოღვაწეა; როგორც პოლიტიკოსი, ის მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე აფასებს პოლიტიკურ მოვლენებს. ეს პოზიცია ზუსტად გამოხატა დრამატურგმა რუსეთთან საქართველოს დამეგობრებისტრაქტატისადმი (1783წ) სელიმის დამოკიდებულებით. სელიმი ეჭვის თვალთ უყურებს ტრაქტატს და მას რუსეთის მხრიდან საქართველოს დაპყრობის ცდად მიიჩნევს. აქ უნდა ამოვიკითხოთ თავად ავტორის პოზიციაც და თუკი გავითვალისწინებთ პიესას დაწერის თარიღს, 1957 წელს, მაშინ აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ მწერალი თამამად საუბრობს იმ საკითხზე, რომელზე ეჭვების გამოთქმაც გმირობის ტოლფასი გახლდათ კომუნისტურ ეპოქაში. ერეკლე მეფის წარმომადგენელთან - იოსებ მიშკარბაშთან შეხვედრის სცენაში სელიმი ამბობს: „აქ საქართველოს შორი მომავალია დანახული, მაგრამ დავძენ, რომ სიფრთხილე მაინც საჭიროა (პაუზა). რა გითხრა, იცით? დაპყრობისათვის ყოველთვის მარტო ხმაღსროდი ხმარობენ“ (ხალვაში, 1959:30). დრამატურგი კიდევ უფრო შორს მიდის და ეჭვის ქვეშ აყენებს ერთმორწმუნეობის სანდოობას რუსეთის პოლიტიკაში საქართველოსთან დამოკიდებულებაში. თავის დროზე ასეთი ეჭვი პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამოთქვა პოემაში „ბედი ქართლისა” და განაცხადა: „სახელმწიფოთა სჯულის ერთობა არარას არიგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს”. ფრიდონ ხალვაში 1957 წელს იმავე ეჭვს იმეორებს და საერთოდ გამორიცხავს სარწმუნოების ფაქტორს პოლიტიკაში. ეს იდეა ასეა გამოხატული სელიმისა და ერეკლე მეფის წარმომადგენლის, იოსებ მიშკარბაშის დიალოგში:

„იოსებ მიშკარბაში: „-აქ ყველაფერი დროზე აწონილი და გასინჯულია, მერედა, რუსეთი - მართლმადიდებელი... ერთი ეკლესია”..

სელიმ ხიმშიაშვილი: (ნამალადევი ღიმილით) „კი, რუსეთზე ნდობა ახლანდელ დროში ერთადერთი იმედია. თორემ მაგ ეკლესიებით რა სიყვარული გამოვა. ასე რომ იყოს, მე ახლა მექაში გასამგზავრებლად უნდა ვემზადებოდე, ჰოდა, საქართველო არ უნდა მენდობოდეს მე, ხომ? (იცინის)“ (ხალვაში, 1959:31).

სელიმ ხიმშიაშვილის ეროვნული სულისკვეთება სრულად ვლინდება მეფე ერეკლესადმი მის დამოკიდებულებაში. მეფე ერეკლეს ქართველთა სიმბოლოდ სახავს სელიმი. იოსებ მიშკარბაშის სიტყვებზე: „მეფე ძალიან შეწუხებულია აჭარის ბედით... იგი აჭარას საქართველოს ნაწილად თვლის”... სელიმი იტყვის: „მე მხოლოდ ეგ მაიმედებს, რომ ქართლში ჩვენზე ფიქრობენ. ძმა ძმისთვის, შავი დღისთვის”. – სელიმი აჭარის ბედს მთლიანად საქართველოს ბედს უკავშირებს და ამიტომ ამბობს: „ჩვენი ბილიკებიც იმ გზას უნდა შევუერთოთ”, ხოლო როცა შეიტყო ერეკლე მეფის გარდაცვალება, სელიმმა იგი ეროვნული უბედურების დონეზე გაითავისა და თქვა: „ერეკლეს სიკვდილი კაცის სიკვდილს არ ჰგავს. ეს უფრო სხვა რამეა... (პაუზა)”.

შთამბეჭდავად იხატება დრამატურგის მიერ სელიმის სახე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც. მოახლოებულ სიკვდილს თვალეში, რომ უყურებდა გმირისათვის ცნობილი გახდა: „რუსთა ჯარი ყარსში შედის... ქართველი და რუსი მეზარბაზნეები ახალციხეს მიადგნენ... აჭარაში ახალი აჯანყება იწყება”. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე, რასაც სელიმი სწირავდა სიცოცხლეს, საიმედო საფუძველზე იყო აღმოცენებული, რომ მას მომავალი ჰქონდა. მტრის ხელით სასიკვდილოდ გამზადებული სელიმი იღიმის, სულით არ ეცემა. ეს სასტიკად არისხებს მტერს – ბაბა ფაშას: „გაჩუმდი! რას გელიმება... დღეს შენ კვდები, მე კი არა! (მე–3 ასკერს) გადაეცი იქ, ცხენები შეკაზმონ. ამის თავი დღეს სტამბოლს წავა. ოჰ, ეგ შენი ღიმილი მწამლავს (სელიმის მხრებს ეხება), შენ გგონია, ამ ფართო მხრებს ლამაზად დაგიმარხავ მიწაში?... რას გელიმება–მეთქი! ამ ტანს ცხენის კუდზე გამოვაბამ და დავგლეჯ!”

სელიმი – მაშინ თავი აღარ მექნება, თორემ ისევ ამ ღიმილს დაინახავდი“(ხალვაში, 1959:70).

ამით სელიმმა ღიმილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უკანასკნელ იარაღად აქცია და წარმატებითაც იყენებს.

პიესა მთავრდება სელიმ ხიმშიაშვილის ცნობილი ისტორიული სიტყვებით, რომლითაც მან ჯალათებს მიმართა თავის მოკვეთის წინ: „თქვენ შეგიძლიათ ჩემს სხეულს ჩემი თავი მოაცილოთ, აჭარა კი საქართველოს სხეულს არ მოცილდება”(ხალვაში, 1959:70).

როგორც ვხედავთ ფრიდონ ხალვაშის „ხიხანის ძახილი” ყველა იმ თემაზე გვესაუბრება, რომელსაც მტკივნეულად განიცდიდა აჭარა და მთლიანად საქართველო. ეს ის ტკივილია, რომელიც „იარებით დამარულ“ მშობლიურ კუთხეს წლების მანძილზე სტკიოდა და მას არც მწერლის გულისტკივილი დაჰკლებია. ამ ყველაფერმა კი განაპირობა ის, რომ ეს პიესა დაბეჭდვისთანავეწარმატებით დაიდგა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრის სცენაზე. სელიმ ხიმშიაშვილის როლს განასახიერებდა საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე, ხოლო სპექტაკლი წლების მანძილზე არ ჩამოსულა თეატრის სცენიდან.

ფრიდონ ხალვაშის ამ ნაწარმოებსა და სპექტაკლს, იმ პერიოდში, ფართოდ გამოეხმაურა პრესა. ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ილია რურუა წერდა: „ხიხანის ძახილი” ნიჭიერი პოეტის პირველი ცდაა დრამატურგიაში... მთავარი ისაა, რომ ავტორმა შეძლო პიესისათვის მიეცა გულწრფელი პატრიოტული ჟღერადობა, ეგრძნო და ეჩვენებინა მშობლიური კუთხის წარსულში ის არსებითი, რომლის მიმართაც ადამიანები არასოდეს არ რჩებიან გულგრილნი. ეს არის ჯანსაღი პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითშეგნების, უსამართლობის, ჩაგვრის და ძალადობისადმი შეურიგებლობის მაღალი გრძნობა”.

მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ ის, რომ ფრიდონ ხალვაშმა ბოლო წლებში თავად გაუკეთა რედაქტირება 1959 წელს გამოცემულ პიესას და მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მასში. ოთხ მოქმედებად გაწერილი

ისტორიული დრამა ორ მოქმედებად გადააკეთა, ამოიღო მთელი რიგი დიალოგები, ჩასწორებები შეიტანა, როგორც შინაარსში, ასევე ისტორიული ფაქტებსა და პერსონაჟთა მეტყველებაში.

ბევრი დეტალი, სადაც სელიმ ხიმშიაშვილი ავტორს უარყოფითი რაკურსით ჰყავდა წარმოჩენილი, ავტორმა ამოიღო. მაგალითად მირზასა და თოფანის დიალოგში მას „მამაძალადაც“ მოიხსენიებდა. მთლიანად ამოიღო მეორე და მესამე სურათები, რომლებშიც მოქმედება გურიელის სასახლეში იშლება და ძირითადად რომანულ სენტიმენტებს შეიცავს. როგორც ჩანს ავტორს სურდა უფრო მეტი აქცენტი ისტორიული ფაქტების მნიშვნელობაზე გაეკეთებინა და თავიდან აეცილებინა ამბის გაწელილი თხრობა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პერსონაჟთა სახეებისა და მოქმედებათა გამძაფრების მიზნით ავტორს არაერთი ფრაზა თუ მოწოდება ჩაუმატებია. მაგალითად ხიხანის ბრძოლების აღწერისას სელიმს ათქმევინებს: „მე-სელიმ ხიმშიაშვილი ვარ! ვიცოცხლებ- ამ სახელით, მოვკვდები - ამით!“. თითოეული ეს ჩასწორება ერთ მთავარ მიზანს ემსახურება, უფრო გამოკვეთოს, მეტი სიღიადე შესძინოს სელიმ ხიმშიაშვილის სახეს და სიკვდილის წინ ნათქვამ მის ყველასათვის ცნობილ ფრაზას, „თქვენ შეგიძლიათ ჩემს სხეულს ჩემი თავი მოაცილოთ. აჭარა კი საქარველოს სხეულს არ მოსცილდება“, რომლითაც ამთავრებს პიესას, უფრო მეტი ექსპრესიულობა მისცეს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ავტორმა პერსონაჟთა მეტყველებაშიც შეიტანა შესწორებები და დიალექტიზმებით შეცვალა ლიტერატურული ენით დაწერილი პიესა. თავდაპირველ ვარიანტში მოხსენიებული ჰყავს თურქები, ხოლო რედაქტირებისას ყველგან ოსმალთი შეცვალა. ლიტერატურული ფორმების აჭარულით შეცვლით კი უფრო მეტი ხიბლი მისცა პიესას. (მაგ. შეცვივდნენ - შეხუხუნდნენ; უსმენენ - აყურებენ; ჯოჯოხეთი - ჯეჰნემი და სხვა).

ამ ყველაფრის ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მაშინ, როცა ავტორი პიესას ქმნიდა, გარკვეულწილად თავშეკავებული იყო, თვითცენზურასაც განიცდიდა და ერიდებოდა საკუთარი პოზიციების

პირდაპირ დაფიქსირებას. წლების შემდეგ კი თავად გადააფასა ყველაფერი, უფრო მძაფრად შეიგრძნო მშობლიური კუთხის ისტორიული ბედუკუდმართობით მიყენებული ტკივილი და თამამად თქვა სათქმელი, უფრო ღირსეულად წარმოაჩინა გმირის სახე და შეძლო თავისი ლოიალური პოზიცია უფრო მძაფრად და მკაფიოდ გამოეხატა. ამ პიესის მაგალითზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ფრიდონ ხალვაშის, როგორც ორ სხვადასხვა ფორმაციაში მოღვაწე შემოქმედის საზოგადოებრივი პოზიციასა და ღირებულებებზე.

§2 – „გადარჩენილი უკვდავება“

პიესა–ლეგენდა „გადარჩენილი უკვდავება“ აჭარაში გაგონილი ლეგენდის (გონიოს ციხესთან გამოუვლია შოთა რუსთაველს) საფუძველზეა შექმნილი და ხალხის ეროვნული შეგნების უკვდავების ჩვენებას ისახავს მიზნად. პროფოსორი იური ბიბილეიშვილი თავის მონოგრაფიაში „ჭოროხის ხვაშიადი“ (ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება) წერს: „პიესის დრამატულ საფუძველს ქმნის გადმოცემა ქრისტიანული ეკლესიის მიერ შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შერისხვის შესახებ. ამ გადმოცემას გარკვეული იდეოლოგიური დატვირთვა, მართლაც, გააჩნდა 1966 წელს, ათეისტური პროპაგანდის აღზევების პერიოდში, მაგრამ დღეს, როცა სინდისის თავისუფლება რეალობად იქცა, ხოლო ქართული მართლმადიდებლობა – ეროვნული თვითშეგნების ფრომირების ერთ–ერთ მთავარ ძალად, ამასთან, როგორც ანტონ I კათალიკოსის ბიოგრაფიის მკვლევარმა, პროფესორმა ალექსანდრე ფოცხიშვილმა დაადგინა, სრულიად უსამართლოდ ედებოდა თურმე ბრალი ქართულ ეკლესიას „ვეფხისტყაოსნის“ დევნაში, – მიგვაჩნია, რომ მსგავს დრამატულ საფუძველზე აგებული პიესა ხელს შეუწყობს ეროვნული იდეოლოგიის სრულყოფას“ (ბიბილეიშვილი, 2012:140).

პიესაში კარგად არის დახატული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისადმი“ საერთო სიყვარული. ხალხი მას ეროვნულ საუნჯედ

აღიარებს. ხალხის კრებისით სახეს გვიხატავს დრამატურგი ჯარჯის პიროვნებაში, რომელიც თავის ქართველობას რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ და თამარის ძლევამოსილ ლაშქრობებში საკუთარი მონაწილეობით გამოხატავს:

„რაც ღონე მქონდა ქვეყნისათვის დამიხარჯია,
ნეტარ თამარის დროშა მეპყრა და საქართველოს
ზღვარი პონტოდან გურგენამდე გამიტანია.
რუსთაველის ლექსი ლოცვასავით უბეში მედო,
დაღლილ–დაქანცულს, დაკოდილს და ხანაც დამშეულს
ბრძნული შაირი მანაყრებდა, როგორც ზარზმელი.
ანისში, როცა პეშვი სისხლი დამიქცევია,
თვალმინაბული გავაღებდი „ვეფხისტყაოსანს“
და სტრიქონების კონა, ვითა ჯადო–მაღამო,
მე იარებზე წამალივით დამედებოდა” (ხალვაში, 1985:496).

პიესა მთავრდება პალესტინაში მიმავალი შოთა რუსთაველის გონიოს მეციხოვნეებთან შეხვედრის ეპიზოდით. გონიოელებმა დაუდასტურეს გენიოს პოეტს სახალხო სიყვარული და პატივისცემა. საპასუხოდ რუსთაველი იტყვის:

„დღეს აქ ვიგრძენი, რომ ამაოდ გული მტკენია,
როცა მეგონა, სიტყვა არვის არა სმენია,
რომ წახდა მაღლი პატრონობის საქართველოს,
რომ დამრჩა ხმა ხმად უდაბნოსა შინ ღაღადისად.
რომ არვინ უწყის, როდის ან ვის გავახსენდები,
აქ კი ვიგრძენი, გულნაზ, აზათ, ხალხო კეთილო, –
ცეცხლი ნთებულა თქვენს გულებში მამულის ტრფობის
და ჩემს ქვეყანას სიყვარული არ დაღეგია...

ამას ვუმღერდი... ამან დამწვა, ამით აღვსდგები!” (ხალვაში, 1985:509)

პიესაში გაზიარებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, შოთა რუსთაველი მესხეთის მკვიდრია. ამიტომ დრამატურგი ათქმევინებს პიესის პერსონაჟს – შოთა რუსთაველს:

„მოგესალმებით, მშობლიური მესხეთ–კლარჯეთო,

შავშეთ–აჭარავ, შენ, გონიოს ამაყო ციხევ!” (ხალვაში, 1985:504)

ამ პიესით ავტორმა შეძლო ლეგენდისთვის ხორცი შეესხა და კიდევ ერთხელ დაედასტურებინა ის ეროვნული სულისკვეთება, რომელიც მუდამ აშკარად იგრძნობოდა აჭარაში და აქაურ მკვიდრთა განსაკუთრებული სიყვარული ქართველთა სულიერი საგანძურის მიმართ.

§3 – „ვაზის ტირილი“

პიესა „ვაზის ტირილი“ წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის თემაზეშექმნილ სამმოქმედებიან დრამას. იგი 1961 წელს დაიწერა და იმავე წელს წარმატებით შედგა მისი პრემიერა ბათუმის თეატრის სცენაზე. სპექტაკლის წარმატების ერთ–ერთი მიზეზად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ პიესის თემა ხაზგასმულად ეხმიანებოდა აჭარის მკვიდრთა ეროვნულ სიამაყეს, რომელსაც ვაზს, ქართველთა ეროვნულ სიმბოლოს ადარებს. პიესის მთავარი პერსონაჟი მურად სარაძე ზამთრის დიდთოვლობასთან დაკავშირებით, ვაზის გამძლეობის გამო იტყვის: „ჩვენებური ვაზი ადამიანს ჰგავს. ამოჩეხეს, ამოთხარეს. გადათუთქეს. მარა მაინც არ გადაშენდა, ფესვი არ მოკვდა. აჭარელიც ასეთი არაა? ენა ვერ ამოაძვრეს, თვარა სხვა ყველაფერი წაართვეს. რა იცოდნენ, რომ ენამ ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრე გადაგვირჩინა – ისიც ჩვენსავით ჯიუტია და ძლიერი”(ხალვაში, 1961:57). დამერწმუნებით ამ მცირე ამონარიდში მწერალმა ოსტატურად შეძლო ეჩვენებინა მისი მშობლიური კუთხის მკვიდრთა ხასიათი, მათი განსაკუთრებული სიძლიერე და მშობლიური ფესვებისადმი ერთგულება.

მართალია 60 წლის მურად სარაძე თავისი ასაკის გამო ძველი ყოფითი ტრადიციების ერთგული და დამცველია, მაგრამ დრამატურგი სწორედ მას გვიხატავს, როგორც ახალ ადამიანს, რომელიც შეგნებულად უარყოფს მოძველებულ შეხედულებებს ქალის უფლება–ღირსებებზე, სიყვარულსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, ადათ–წესებზე, ტრადიციებზე. მურად სარაძის ვაჟი – შოთა ომში გაიწვიეს და შინ თხუთმეტი დღის შერთული ცოლი

დატოვა. ომი დამთავრდა, ათი წელი გავიდა, მაგრამ შოთა არ ჩანს. ქალი ღირსეულად ინახავს ქმრის ხსოვნას. ზრდის შვილს და შვილივით ემსახურება მამამთილს. სამაგიეროდ, ყველაფერ ამას შესწირა თავისი ყმაწვილქალობა. სევრეთის მსხვერპლს არავინ უწევს ანგარიშს, მხოლოდ მამამთილი მურადი აღმოჩნდა ადამიანური მოწოდების სიმაღლეზე და ეტყვის რძალს: „წადი შვილო, შენი ბედი მონახე!“ თუმცა ეს დაგვიანებით უთხრა, მაგრამ მაინც თვითკრიტიკულად ამხელს მურადი თავის თავს.

სანამ სოფელში არ დაიწყეს ლაპარაკი – სევრეთი მეზობელ შუქრის უყვარსო, მანამ არავინ იფიქრა, რაოდენ აუნაზღაურებელ მსხვერპლს სწირავდა იგი მამამთილის ოჯახს და პირველმა მაინც ხანდაზმულმა მურად სარაძემ თქვა, რომ ადამიანს გულიც აქვს – „ადამიანს მარტო სიტყვით და ქცევით ნუ შევამოწმებთ, ხანდახან გულშიც ჩავიხედოთო“. მეორე შვილის, სევრეთის მაზლის საყვედურზე რძლის მიმართ, მურადი პასუხობს: „დიდი ხანია, ჩვენთვის გაუგებარია სევრეთის გული და ფიქრი. ცოდვას შვილო, ცოდვა. ის ქალია (პაუზა). ერთხელ ერთი ზღაპარიც მითხრა, ქალი ვაზად იქცა, ხეზე გავიდა და თავისი ბედი იტირაო. მაშინ ყურიც არ მივეცი. ახლა გავიგე, შვილო... ახალგაზრდა ქალია... მას ცხოვრება ეძახის, ის კი ზის აქ, ჩემს სახლში და უიმედო იმედს ელის. რატომ ვხუჭავთ ამაზე თვალს, რატომ, რესო, შენ ხომ უფრო ახალგაზრდა ხარ, ამ დროის შვილო, შენ მაინც რატომ ვერ მიხვდი; დროზე რომ გეთქვა, ჯობდა, მაშინ, სევრეთიც მონახავდა გზას... და მისი დადარდიანებული, მივიწყებული გული აღარ დაგვწყევლიდა ჩვენ. ჰო, წყევლა იყო ის წელანდელი მისი ჩივილი... მივცეთ საშუალება, რომ იგემოს ცხოვრება“ (ხალვაში, 1961:87).

მურად სარაძე გაღვიძებული აჭარის სახეა, რომელსაც მტერმა სამი საუკუნის მანძილზე მისთვის უცხო ტრადიციები მოახვია თავს – ქალი ჩადრში გახვია, სიყვარული გააუფასურა, ქალისა და მამაკაცის უფლებების თანაფარდობა დაარღვია, მაგრამ ამით მტრებმა ვერ მოკლეს ქართული სული აჭარელ კაცში. სამართლიანად შენიშნავს ალექსანდრე მხარგრძელი: „მურად

სარამე მაგალითია იმისა, თუ რა უნდა ვისწავლოთ უფროსი თაობის გამოცდილი და ჭირ-ვარამგამოვლილი ადამიანებისგან” (ხალვაში, 1961:77).

პიესაში საინტერესო ასპექტებით არის წარმოდგენილი სიყვარულის საიდუმლო. შუქრის მართლა უყვარს სერვეთი. მათ ერთმანეთი ადრეც უყვარდათ, მაგრამ შემდეგ სევრეთმა შოთა აირჩია და მას გაჰყვა ცოლად. შოთას დაღუპვიდან განვლილ დროში შუქრემ ფრთხილად, უთქმელად ატარა მისი სიყვარული გულში და არ შეირთო ცოლი, არ გახდა ბედნიერი, რადგან სევრეთი არ ეგულებოდა ბედნიერად. თავისი გრძნობები მან გულწრფელად გაანდო სოფლის ფოსტალიონს ჩახმას, და ეკითხება: „რა ჰქვია მას!” ჩახმა გულდასმით მოუსმენს შუქრის ამ აღსარებას და უპასუხებს: „ალბათ, მაგას უძახაინ სიყვარულს”.

დრამატურგი ღიად ტოვებს პასუხს ერთ-ერთ საინტერესო კითხვაზე – მას შემდეგ, რაც ოჯახმა მიიღო სარწმუნო ცნობა შოთას დაღუპვის შესახებ, სერვეთი ეწევა თუ არა პირად ბედნიერებას? მართალია, სევრეთი, თავის მხრივ, გულგრილი არ არის შუქრის მიმართ, მაგრამ ომით მოტანილ უბედურებას ვერაფერი ვერ გადაფარავს. ომი, ქალაქებისა და სოფლების გარდა, ანგრევს ადამიანის პირად ცხოვრებასაც. პიესაც ასე მთავრდება. მაყურებელი სცენიდან უკანასკნელ რეპლიკად მურად სარამის ამ სიტყვებს ისმენს: „არა, მე არ ვიტყვებ, ოღონდ ჩემი შვილის სიკვდილი უკანასკნელი სიკვდილი იყოს ომში (სულს ძლივს მოითქვამს და მწუხარებისგან ხმა დაუდაბლდება) დამიწყევლიხარ, ომო! (მირს დაიხრება, შოთას ნაქონ ბოღჩას მკერდზე მიიხუტებს) თბილია ისევ... შენი ჭირიმე, შვილო” (ხალვაში, 1961:81).

ფრიდონ ხალვაშის პიესები იწერებოდა არა მხოლოდ სცენაზე გასაცოცხლებლად, იგი უპირველესად მკითხველისათვის იქმნებოდა. ეს თავისებურება გამორჩეულად ახასიათებს მის ყველა პიესას. დრამატურგი ამას აღწევს იმით, რომ მკითხველს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის პერსონაჟებისადა მოქმედების ადგილის შესახებ, პორტრეტებისა და ადგილების ზედმიწევნით დახატვით ერთიან სურათს გვაძლევს, რაც ფაქტის, მოვლენის უკეთ აღქმაში გვეხმარება. ამას კი მკითხველი ბუნებრივად იღებს და

ხალასი ენით დაწერილს აღიქვამს როგორც რეალურს. ამაში მდგომარეობს ფრიდონ ხალვაშის, როგორც გამორჩეული შემოქმედის ხიბლი და სწორედ ამან განაპირობა მის მიმართ გაჩენილი სახალხო სიყვარული. რამდენიმე მაგალითიც კმარა ნათქვამის დადასტურებად. ასე, მაგალითად: „სელიმ ხიმშიაშვილი – აჭარა–ახალციხის მმართველი თურქთა ბატონობის დროს, მომადლო ტანის, მხარბეჭიანი, ოდნავ ჭადრა შერეული, 52 წლისა. ნაზიმი – მისი ვაჟი, 25 წლისა, საშუალო ტანის, მარჯვე, ჭკვიანი გამომეტყველებით. თოფანი – ახალციხის ფაშის, შერიფის აგენტი, მხდალი და გულუბრყვილო. იბრაჰიმ ფეჰლეგან ბაბა–ფაშა – თურქეთის აღმოსავლეთის სერასკირი. ხიხანზე ლაშქრობაში მონაწილე ჯარის სარდალი. დაბალი, ჯმუხი, მოწითალო თმაწვერით, 50 წლისა (ხალვაში, 1959:7).

პიესის „ვაზის ტირილი“ ერთ–ერთ სურათში გამოგონებაზე მომუშავე მეცნიერის სამუშაო გარემო შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „შუქრის სახლის წინა ოთახი, სახელოსნოს დამსგავსებია. უკანა ორი ფანჯრიდან მოჩანს ხეები, ეზო, სადაც ჩვენებური შუაზამთრის თოვლის მძიმე და ფართო–ფართო ფანტელები ცვივა. ოთახში რამდენიმე სკამია და ორი მაგიდა: ერთი მაღალი, მეორე – დაბალი. მაღალზე წიგნები და მთლ სიბრტყეზე ქაღალდებია გაშლილი. იქვე აწყვია სახაზავები, ფანქრები და კალმისტარი. დაბალ მაგიდაზე ბევრნაირი ლითონის ხელსაწყოები და პატარა მანქანისნაირი ხუხულაც მოსჩანს. იქვე ზის შუქრი, იგი დაბეჯითებით ჩაჰკირკიტებს მავთულთა ბადეს, რაღაცას ქლიბავს და ცდილობს მოარგოს ამ უცნაურ მანქანას“ (ხალვაში, 1961:55). ამის მსგავსადაა გადაწყვეტილი პიესის „გადარჩენილი უკვდავება“ მიზანსცენები და ყოველივე ეს აფართოებს მკითხველის წარმოდგენას პიესაში მიმდინარე მოვლენებზე.

ფრიდონ ხალვაშის პიესების მხატვრულ ღირებულებას ზრდის ისიც, რომ დრმატურგი არ ერიდება პერსონაჟების მეტყველებაში სახეებით აზროვნებას, ფიგურალურ გამოთქმებს, ხატოვან ფორმებს. მაგალითად, ერეკლე მეფის მიმართ დიდი სიყვარულისა და ერთგვარი ავისმომასწავებელი წინათგრძნობის გამოსახატავად სელიმი ამბობს: „ამ ბოლო დროს ისე ამეჩხუბა

სიზმრები, რომ მეშინია, ვაითუ ვეღარ ვნახო ერეკლე მეფე” (ხალვაში, 1961:). პიესა „ვაზის ტირილში” ფოსტალიონი ჩახმა მურად სარაძის ოჯახიდან სევრეთის წასვლის გამო ამბობს: „ისე მწყინს, რომ ჰა და, სული წირეხივით მეგრეხება” (ხალვაში, 1961:76).

დრამატურგი ზომიერად იყენებს პერსონაჟთა მეტყველებაში დიალექტურ ფორმებს, ინტონაციებს, მეტყველების სტილს. მაგალითად ჩახმა („ვაზის ტირილი”) ამბობს: „მაპატიე, რომ ამდენი წელიწადია შოთას წერილი ვერ მოგიტანე. რაღა ფოშტალიონი ვარ მე? აფერი”(ხალვაში, 1961:78).

თითოეული პიესის ფორმა და შინაარსი, პერსონაჟთა მეტყველი სახეები, გამორჩეული ხელწერა, დიალექტიზმების ოსტატური გამოყენება ერთიან ქსოვილს ქმნის და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ავტორის ოსტატობაში, ხშირად ჩვეულებრივი ისტორიები ხარისხის მაღალ რეესტრში აიყვანოს და მკითხველი თუ მაყურებელი საოცარი მუხტით აავსოს.

III თავი

ფრიდონ ხალვაშის მემუარული პროზის რამდენიმე ასპექტი და მხატვრული თავისებურებები

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება მრავალჟანრულია. ამჯერად მისი შემოქმედების გამორჩეულ ლიტერატურულ იშვიათობას, მემუარული ჟანრის ნიმუშს „ომრს“ შევხებით.

მემუარისტიკალიტერატურისისმნიშვნელოვანისფეროა, რომელიცსაშუალებასგვამღვსმთელისისრულითგავიცნოთშემოქმედი, მისიცხოვრებისმნიშვნელოვანიდეტალებიდახშირშემთხვევაშიმისინაწარმოებებისარსშიცჩავწვდეთ.

ამიტომაცდაიკავამანმეცხრამეტესაუკუნიდანდღემდექართულილიტერატურულცხოვრებაშიმნიშვნელოვანიადგილიდაამჟანრისყოველიახალინაწარმოებისგამოცემაახალფურცელსშლისლიტერატურისშესწავლისსაქმეში.

„ომრი“ პირველად 2007 წელს გამოიცა, მეორე და ბოლო გამოცემა 2010 წლითაა დათარიღებული. თუმცა, არაა ცნობილი და არც ლიტერატურულ ნიმუშს ატყვია რამე კვალი იმისა, რომ იკითხებოდეს, რამდენ ხანს წერდა, როდის დაიწყო მასზე ფიქრი რეალურად, (ისე, პოეტ ემზარ კვიციანიშვილისთვის გამოცემამდე 3 წლით ადრე უთქვამს, ჩემი ცხოვრების წიგნის დაწერას ვაპირებო) როდის დაიწყო მუშაობა. ერთი რამ ნათლად ჩანს ნაწარმოებში, რომ მეხსიერების უწყვეტი ხაზის კვალი მწერლის უპირატესობა და დიდი ფუფუნებაა.

როდესაც ავტორის წინასიტყვაობას ეცნობი, შეუძლებელია არ გაგახსენდეს დ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ შექმნის მთავარი მიზანი, რომელსაც თავად გვაწვდის : „ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნება, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებულნი“ (კლდიაშვილი, 2013:154).

ფრიდონ ხალვაში კი თავისი თავგადასავლის ფურცელზე გადატანის მიზნით შემდეგნაირად აღგვიწერს: „ჩემო მკითხველო, ცხოვრებაში ჩემს მიერ ნახულ-განცდილთაგან ზოგიერთის გაზიარება თუ შენთვის ცოტატი მაინც ღირებული აღმოჩნდება, იქნებ იგი მომავლის ჩვენებურ კაცსაც რამედ გამოადგეს. აი, ამის იმედით ვწერდი..“ (ხალვაში, 2010:1).

„ომრი“ 390-გვერდიანი წიგნია და ემზარ კვიტაიშვილის მინაწერით მთავრდება. დართული აქვს ავტორის ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების ამსახველი უნიკალური ფოტოები, დიდი პოეტებისა და სხვა ცნობილი ადამიანების გვერდით შეჩერებული წამები, რომლებიც შემოქმედის მდიდარ ცხოვრებას კიდევ უფრო გვიდასტურებს. პოეტ ემზარ კვიტაიშვილის თანდართული რეცენზია მოკლე, მაგრამ საოცრად ტევადი და მრავლისმთქმელია. მისი მთავარი კრიტიკული გზავნილი მკითხველისადმი იმ კონცეპტების ხაზგასმაა, რომლებითაც ფ. ხალვაშის შემოქმედებაცა და ცხოვრებაც თავს იწონებს ამ მემუარებში. „მემუარებით ქართული მწერლობა არც ისე მდიდარია და, ამდენად, ძალზე გამიხარდა, როცა სამიოდე წლის წინ ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ფრიდონ ხალვაშმა მითხრა, გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრების წიგნი დავწერო და სათაურიც შერჩეული მაქვს -- „ომრი“ _ აჭარაში შემორჩენილი ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავს იმ შინაარსს, რაც ჩაფიქრებულ წიგნს ექნებაო“ (ხალვაში, 2010:379).

არის თუ არა ჩაფიქრებული წიგნის შინაარსი სათაურის ადეკვატური, ანუ, როგორც ავტორმა იწინასწარმეტყველა, გამოხატა თუ არა ამ სიტყვამ _ ომრმა_ ჩაფიქრებული და უკვე დაწერილი წიგნის შინაარსი?! -- ამ კითხვას კითხვებით გავცეთ პასუხი და დავიწყოთ იმით, თუ რა სემანტიკური მნიშვნელობა იტევს ცხოვრების წიგნს, 80 წელს გადაცილებული მწერლის სათქმელის, ერთ სიტყვაში მოქცეული საქართველოს, აჭარის, მწერლის მშობლიური სოფლის, ისტორიის მტკივნეული შედეგების, მწერლის მოგზაურობების, ამა თუ იმ ლექსის დაბადების ისტორიებს, და იმ უამრავი

ადამიანის ცხოვრების გზაზე გამოჩენისა და გაქრობის ამსახველ ლინგვისტურ კადრებში და ვიზუალურ სანახებში დალაგებულ ნარატივებს?!

ავტორმა თავიდანვე სცადა მკითხველის განწყობის სრული მობილიზება იმით, რომ წინასიტყვეობაშივე განმარტებისთვის დაიმოწმა ქართული ენის აჭარული დიალექტის შესანისნავი მკვლევარი შუქრი ნიჟარაძე: „ომრი -- სიცოცხლე. ერთი კაცის ცხოვრება. ადამიანის სიცოცხლის მთელი ხანგრძლივობა. წუთისოფელი. ღვაწლი. ამაგი. „ოი, რა ტყვილაი გაიარა ოზდაათი წლის ომრმა“: (გაზ. „საქართველო“ 1916, N248): „მე ჩემი ომრი მოვჭამე, აწმისიქით, თქვენ თავზე იფიქრეთ, ბაღნებო!“ (ნიკო მარი-ქან.გრამ.ომური)“.

დღეს ლიტერატურის თეორიტიკოსები, კრიტიკოსები და მკვლევრები სათაურის პრობლემატიკას საინტერესო და მრავალკუთხოვან ჭრილში განიხილავენ. თამარ ტალიაშვილი სტატიამი „სათაურის ფუნქცია, სტატუსი, ინტერპრეტაცია“ აღნიშნავს, რომ „სათაურიმნიშვნელოვანიკომპონენტანებისმიერიდაგანსაკუთრებითმემოქმედებითიტექსტისაღქმისპროცესში.

ამიტომ,სწორადკითხვისჩვევისჩამოყალიბებისათვისდიდიმნიშვნელობააქვსსათაურისპოეტიკისცოდნას.“(<https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21/>)

ქართველიმკვლევარირეზოყარალაშვილიაყალიბებსიმსაერთოკრიტიკრიუმებს, რომელსაცსათაურიუნდააკმაყოფილებდეს. ესენია:

„სათაურიარუნდაიყოსდამოუკიდებელიდათავისთავადიმნიშვნელობისმქონელექსიკურიერთეული,

რომელიცგარედანაქვსმიკრულიმხატვრულტექსტს,

არამედნაწარმოებისორგანულდაგანუყოფელნაწილსუნდაშეადგენდეს;

სათაურიუნდასთავაზობდესმკითხველსტექსტისაღქმისკუთხესდაპირველხანებშიმინცუნდაწარმართავდესკითხვისპროცესს.

იგიუნდაშეიცავდესგარკვეულინფორმაციას,

რომელიცავტორისთვისსასურველიმიმართულელებითაამოქმედებსმკითხველისწარმოსახვას;

სათაურიუნდაიყოსშთამბეჭდავი. ადვილადდასამახსოვრებელი, იგიუნდაიწვევდესმკითხველისინტერესსდაგარკვეულსაკვებსუნდასთავაზობ დესმისფანტაზიას.“

სათაურის ეფექტისა და დანიშნულების, როლის თუ ადეკვატურობის თემა არანაკლებმნიშვნელოვანია მემუარებში, თუმცა მეცნიერები ამ საკითხს დიდ ყურადღებას არ აქცევენ და არც თავად ავტორები. თუ გადავხედავთ ამ ტიპის ცნობილ და ნაკლებადცნობილ ნიმუშებს, აღმოვაჩინოთ, რომ სათაური, ძირითადად შინაარსობრივ მხარეს აქცევს ამ ჩარჩოში, ხოლო იდეური სათაური მემუარებში, ერთგვარი იშვიათობაა.

მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, თუ რა უპირატესობა ან ნაკლი გააჩნია მემუარებს ეპიკური ჟანრის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით, ამაზე ზოგადად და კერძოდ „ომრის“ შესახებ ქვემოთ განვიხილავთ. მანამდე მემუარების ცნებისა და მისი აღსანიშნი ვარიაციების მიმოხილვის მეშვეობით, ფრიდონ ხალვაშის ამ წიგნის, როგორც მემუარული ლიტერატურის, ლეგიტიმიზაციაც ცალსახა გახდება.

მემუარები (ფრანგ. memoire, ლათ. memoria -მოგონება) — ეპიკურიჟანრისკუბლიცისტურიწარმოები. იმპირთაჩანაწერები, რომელნიცწარსულამბავთამონაწილენითუთვითმხილველნიიყვნენთხრობისფორმითადასახულიმასალისმოწოდებითუახლოვდება დღიურს.

ლიტერატურულიჟანრი, რომელშიცავტორიიხსენებსდაგადმოსცემსრეალურადმომხდარმოვლენებს, მსჯელობსობიექტურად, იძლევაზუსტთარიღებს, მოვლენებსადამასშიმონაწილეადამიანებისმკაფიოდახასიათებებს. მემუარებისლიტერატურულიმნიშვნელობაპირველადგამოიკვეთა XVIII ს-შიგანმანათლებლებისეპოქაში, საკუთრივ, ადამიანისადამისიცხოვრებისგარემოებებისადმიინტერესისგამღიერებისგავლენით, მაგრამ მისი განსაკუთრებულიაღმავლობა XX ს. უკავშირდება.“

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=24784>

ჩვენში მემუარული ლიტერატურა XIX საუკუნეში დამკვიდრდა. ამდროიდან მოგვეპოვებაამჟანრის საუკეთესო ნიმუშები. მკითხველი ამჟანრის ლიტერატურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს და ეს ინტერესი არაერთგვაროვანია.

მემუარულიჟანრისამზავიცნობილია: ავტორიაღწერსფაქტებს, გადმოსცემსმოვლენებს, გასცქერისწარსულს, მსჯელობსუშუალოდ. ისაუცილებლადსუბიექტურია – როგორცფაქტებისშერჩევის, ისემათიგაშუქება-შეფასებისდროს.

მემუარებიშეუცვლელიწყაროაგარდასულდროთარეალიებისშესაცნობად – რაგემოვნება, ზნე-ჩვეულებები, ღირებულებებიჰქონდათიმდროს, რომელსაცავტორიიხსენებს.

საკითხავია, უნდა შევიტანოთ თუ არა ეჭვი ფ. ხალვაშის გულწრფელობაში, ის ბევრ ფაქტს თუ ბევრადამიანისსახელს, უბრალოდ, არგავიმხელს.საბჭოთაეპოქისშვილია და მისი პიროვნული ღირსებებიდან გამომდინარე, რეჟიმის „მსხვერპლ“ თუ ერთგულ პიროვნებებს მოერიდება ან დაინდობს.

ცხოვრებაშიუამრავირამხდება — დღისგანმავლობაშიდაგროვილიშთა-ბეჭდილებებისდახარისხებაცკიარარისმარტივიდაიოლი. წარმოიდგინეთ, მთელიცხოვრებიდანრასგამოყოფსადამიანი, რასმიაქცევსყურადღებასდაროგორაგებსამაზემხატვრულწარმოებებსისე, რომესსაინტერესოიყოსარამხოლოდმისთვის, არამედმკითხველისთვისაც. ფ. ხალვაშის „ომრი“ არამხოლოდერთიოჯახისისტორიაა, არამედმთელითაობისსაქართველოსისტორიისიმონაკვეთიააღწერილი, როცასაბჭოეთისიდეოლოგიაუპირისპირდებოდაყოველგვარეროვნულსდასაერთოდსააზროვნოპროცესსიმითომ, რომარცერთიდეოლოგიასარაწყობსდახელსარამლევსმოაზროვნეადამიანთანდაპირისპირება.

გაივლისდროდამისმიეროსტატურადდაწერილიმემუარებისგაცნობით ზოგიცნობისწადილსდაიკმაყოფილებს, ზოგიცძველიდროისამბებსდრმადჩასწვდება დაშეისწავლის.

მემუარებისაუცილებელინიშანია:ფაქტებზედაყრდნობადამათიციოცხალი,
დამაჯერებელიაღწერა. ამავედროს,
მემუარისტიმხოლოდთავისგამოცდილებასკიარგვაცნობს,
არამედთავისგანცდებს, ფიქრებს,
გრძნობებსადადამოკიდებულებასაცგვიზიარებს.არუნდადაგვავიწყდეს,
რომმემუარებშიაღწერილმოვლენებს,
ფაქტებსადაადამიანებსჩვენმთხრობელისთვალთ ვხედავთ.

ფ. ხალვაშის მემუარების სათაურის - „ომრის“ განმარტებები და მისი
ინტერპრეტაციები ცხადყოფს, რომ იგი თავსდება ზემოხსენებული ნაშრომის
სათაურის ფუნქციის განსაზღვრის მოდელში: „სათაურისინტერპრეტაცია,
საშუალებასიძლევაგამოავლინოსავტორისჩანაფიქრიდამიზანდასახულობა.
კითხვისპროცესშისათაურიაღიქმება, როგორცნაწარმოებისთემა,
მხოლოდტექსტისსიღრმისეულიგააზრებისშემდეგისივსებაკონცეპტუალური
ნიშვნელობით, რომელიცასახავსაზრისინტერპრეტაციას. ამდროს,
სრულიადბუნებრივია,
რომკითხვისდასრულებისშემდეგკითხველიუბრუნდებასათაურს.ამდროსხდე
ბასათაურსადატექსტსშორისშინაგანიურთიერთმიმართებისგამყარება,
შესაძლოაესურთიერთმიმართებაიყოსასოციაციურიდამოხდესმისიახალიმნიშ
ვნელობითდატვირთვა.“ „ომრი“ სხვაა ლექსიკური განმარტებით, იგი
ღრმავდება სემანტიკურ ასპექტში და კიდევ უფრო ღრმა და
ინტერსემანტიკური ხდება წიგნის დასრულების შემდეგ.

მემუარული ლიტერატურისთვის ეს საკითხი საკმაოდ რთული და
სახიფათოა, რადგან
სათაურმაშეიძლებადააკნინოსტექსტისშინაარსიდანნიშვნელობადა, პირიქით,
კარგადმოფიქრებულმასათაურმაშეიძლებამოლოდინიგაუცრუოსმკითხველს.
ესმაშინ, როცასათაურიაღემატებატექსტსთავისიეფექტურობით.
სწორედამიტომ,
მნიშვნელოვანიინფორმაციულიბალანსისარსებობასათაურსადატექსტსშორის,
რაც „ომრში“იდეალურად შეერწყა ერთმანეთს.

„ომრი“ სტილური თავისებურებების სიმრავლითაც გამორჩეულია. დავიწყოთ იმით, რომ ნაწარმოები იწყება 2005 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული დღიურით, სადაც წერს, რომ წვიმიან დღეს, თავის მშობლიურ, მამისეულ სოფელსა და სახლში ფიქრი „აძალებს“ გაჰყვებს და ომრი მოიარონ, ანუ, მისი ცხოვრება „დაათვალიერონ“ 80-ზე მეტი წლის ხანგრძლივობის გზაზე. ბოლოს ფიქრს მოურიგდა და ფიზიკურად კი არ გაყვა, კალმით მოგზაურობაზე შეთანხმდნენ. ეს დღიურები მთელი მონათხრობის მანძილზე უამრავჯერ ჩაერთვება წიგნში, რაც ერთგვარი სტილური ხერხია და რასაც, შეიძლება ეწოდოს წარსულისა და აწმყოს დამაკავშირებელი ძაფი, რომლის კვანძებიც მწერალის თანამოკლამედ აქცევს მკითხველს - ეს არის ილუზია, რომ შენთან ერთად, აქვე იწერება წარსულის მნიშვნელოვანი გამოცდილებანი. მწერალი დასაწყისშივე წერს, რომ რასაც წერს, არც მემუარია, არც ავტობიოგრაფია, არც რომანი. „ეს, უბრალოდ, საკუთარ ომრთან საუბარია“.

წიგნის დასაწყისში განცხადებული გაფრთხილება მკითხველისა, რომ არცერთ მათგანს არ მიეკუთვნება მისი საუბარი ომრთან, წიგნის დასრულებისას არ შეცვალა და უნდა ვიფიქროთ, რომ ისე დაშორდა საკუთარ ქმნილებას სამუდამოდ, რომ ასე სჯეროდა მას.

რას უნდა ვხედავდეთ იმ ვერბალურ აქტში, რასაც ავტორი ამბობს?! ის უარყოფითი ნაწილაკებით საზღვრულ რომანს, მემუარს თუ ავტობიოგრაფიას --- არც, არც, არც, - ეს გამეორება კატეგორიულობას უსვამს ხაზს და გაფიქრებინებს, რომ არის მის „ომრში“ რაღაც მნიშვნელოვანი, რის გამოც არცერთი არ მიესადაგა ამ ტიპის ნაწარმოებებიდან. ან პირიქით, არის ისეთი მნიშვნელოვანი პასაჟი, რის გამოც სამივე ჩამოთვლილზე მეტია.

ვინაიდან სტილი ცალკე მდგარი, ნიშანი ან სახე არ არის, ამიტომ მისი გამოკვეთისა და საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ნარატივი ამ ნაწარმოებისა. თუმცა, რაც ანალიზის გარეშეც

ცხადია, მისისტლილხაზგასმითთავშეკავებულია, იჩენს ზომიერებას, თითქოს, ხაზსუსვამსმისწრაფებას, თავიდანაიცილოსსიყალბე.

ნარატივი განიმარტება, როგორც სამყაროსაღქმისისტორიულ-კულტურულიინტერპრეტაციაგარკვეულიპოზიციიდან, თხრობამხატვრულნაწარმოებში.თხრობა, ამბავი, ისტორია, რომელიცმოგვითხრობს, ვისრაროდისშემთხვარაგარემოებებსადავითარებაში. ტრადიციულიგაგებით, ნარატივიგანისაზღვრებაროგორცტექსტი, რომელიცაღწერსხდომილებებისგანსაზღვრულთანმიმდევრობას (ამშემთხვევაშიესიგივეა, რაცისტორია, მოთხრობა, მონათხრობი, თხრობა). ამერიკელიენათმეცნიერიდასოციოლოგიშიფრინინარატივისგანსაზღვრავს, რომლისმეშვეობითაცჩვენვახდენთგანვლილიგამოცდილებისრეკონსტრუქცია სადარეპრეზენტაციას - როგორცსაკუთარი თავისთვის, ისესხვებისთვის“[Schiffrin 2006: 321].

მხატვრულიდროისშემსწავლელთეორიებშიერთ-ერთსაკვანძოტერმინსწარმოადგენსე.წ. “მხატვრულიქრონოტოპი”, რომელიცმ. ბახტინმაშემოიტანანარატივიმხატვრულადათვისებულიდროით-სივრცითიმიმართებების (სად? როდის/რამდენხანში?) აღსანიშნადდასაფუძვლადდაუდოჟანრულისახეებისგამოყოფას (Бахтин, 1975, 234-407). ლიტერატურულ-მხატვრულ ქრონოტიპშიდროდასივრცეწარმოგვიდგებაროგორცერთი “გააზრებულიდაკონკრეტულიმთლიანობა” 19 («слияние пространственных и временных примет в осмысленном и конкретном целом»

„ომრის“ ნარატივის მონაკვეთებიც მოიცავს ნარატიულიკომუნიკაციისმეორედამესამედონეს, ანუთხრობელისმიერსიუჟეტისგადმოცემასდაპერსონაჟთამეტყველებას.

თუმცა, სადაოა სიუჟეტური ხაზი, სიუჟეტის გადმოცემის მთლიანობის არსებობისა და ასევე, არარსებობის საკითხიც პირობითია.

სიუჟეტური ხაზის მთლიანობის მცდელობას სათაური ადასტურებს. ერთი კაცის ცხოვრებას ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა დიალექტური სიტყვისა „ომრი“ და ჩანაფიქრის, რომელსაც მკითხველს მიზანმიმართულად აცნობს.

რაც შეეხება პერსონაჟის მეტყველებას, როგორც ანდრო ჭილა განმარტავს, „ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში ორი ენაა: ა) პერსონაჟის, რომელიც შეიძლება მეტყველებდეს გამართული სალიტერატურო ენით, ან მის მეტყველებას, ზოგჯერ დიალექტიზმის, პროფესიონალიზმისა და ხან არქაიზმის იერი დაჰკრავდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ის. მისი ვინაობა და სადაურობა მეტყველებაში იჩენს თავს. ბ) მწერლისა, რომელიც ყოველთვის უნდა მეტყველებდეს ერთიანი, ეროვნული ლიტერატურული ენით“ (ჭილაია, 1971:323).

ფ. ხალვაშის მემურული წიგნის ენა ა. ჭილაიას ლეგიტიმურ განმარტებას აბსოლუტურად ეწინააღმდეგება და ამ ორი კომპონენტის ასიმილაციის ნიმუშს იძლევა. მწერლის ნარატივი, როგორც უკვე ითქვა, სალიტერატურო ენით უნდა გადმოიცეს და, თუ მოისურვებს, პერსონაჟი, თუნდაც დიალექტური ქრონოტიპი, ასევე, სალიტერატურო ენით ასაუბროს. ეს ერთი მხრივ, არ შექმნის ნარატიული ერთიანობის დისკურსს. თუმცა, პერსონაჟის სრული იდენტურობის წარმოსაჩენად, უმჯობესია, პიროვნების შესაბამისი პროფესიული, სოციალური თუ დიალექტური ფორმებით მეტყველებდეს.

ფ. ხალვაში პერსონაჟების იდენტიფიკაციისას, ადეკვატურად ურჩევს აჭარული დიალექტის ლექსიკურ თუ ლინგვისტურ თავისებურებებს. (მისი მოგონებების ძირითადი პერსონაჟი ავტორის სოფლის მკვიდრნი, ან ამ კუთხის წარმომადგენლები არიან).

რაც შეეხება მწერლის ენას, ფ. ხალვაში რომ კარგი ლიტერატორი, ფილოლოგი და რიტორი იყო, ეს ცნობილია სხვა ნაწარმოებებიდან და მისი გამოსვლებიდან, მაგრამ იგი „ომრის“ წერისას მწერლის ენად აჭარულ

დიალექტს იყენებს: „თავიდან მომამშპო გებრა, მოკლულ ჩიტივით, მომუჭა და ზიზღით ღობეს ესროლა“ (ხალვაში, 2010:12), „სიმინდის სატეხელში წავიდნენ და შინ ბაღნები დაგვტოვეს. მე, ხუთი წლის და ფატყუმე, ორი წლით უფროსი“ (ფრ. ხალვაში, 2010:13), „სადამოხანს, ბაბაი, გადილობრებული დაბრუნდა კანტორიდან” (ხალვაში, 2010:14) სამივე შემთხვევაში ნარატორი ფრიდონ ხალვაშია, თუმცა აჭარული დიალექტური ლექსიკისა და ლინგვისტური ნიშნების მოხდენილი გამოყენებით ცდილობს ბავშვობის დროინდელი მოვლენების მიტანას მკითხველამდე. ბაბაი ეტყოდა: ჭოვ, შენ იცი, რა სოისა არიან ესენი? რამდენი მოჭიტინე ყუჟან სოფელში“ (ხალვაში, 2010:15).

ციტატა კი ცხადყოფს, რომ აჭარულ დიალექტზე მოსაუბრე ბაბაია, იგივე მამაა. სივრცის, დროისა და ყოფის სიცხადისათვის უკანასკნელი მაგალითი ნარატიულ ოსტატობადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, როდესაც 80 წელს გადაცილებული მწერალი ამ სტრიქონებს წერდა, ეს დიალექტური ფორმები ისევე ხანდაზმული იყო, როგორც ფაქტები და იმდროინდელი რეალობა. თუმცა, მისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

მწერლის მოცილეობა პერსონაჟების ენისა, შეიძლება ჩათვლილიყო მისივე პერსონაჟების ავტორთან იდენტიფიცირების სურვილის ან მცდელობის ფაქტად, და ეს გამართლებული სტილიც იქნებოდა, მაგრამ ამ მოსაზრების ანულირებას სხვა ფაქტები ახდენენ იმავე ნაწარმოებში.

მთლიან სიუჟეტურ ნარატივში გამოჩენილ ზოგიერთი პერსონაჟის ირგვლივ საუბრისას, ან პერსონაჟებთან დაკავშირებული ფაქტების ან მოვლენების აღწერისას თუ თხრობისას, მწერალი ინარჩუნებს მწერლის სალიტერატურო სამეტყველო ენის სტილს. მაგ.: „ცხმორისში, ანუ ხიდზე, დიახ, ომამდეც ვხედავდი იმ ერთ კოკოტაურელ გოგონას. იგი პურის მალაზიაში მუშაობდა. მაშინდელი სავაჭრო ტექნიკუმდამთავრებული, პირველი აქაური ქალიშვილი, იშვიათი სიფაქიზით, კულტურულობით, საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდა“ (ხალვაში, 2010:39).

ფ. ხალვაშის მემუარული ფაბულა, სიუჟეტური ჩარჩოს სრულყოფილება და საინტერესოობა მწრილის სუბიექტური ასახვით არ არის მხოლოდ განპირობებული, მასში უდიდესი როლი ითამაშა ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილების მრავალფეროვნებამ. ანუ, თავად ფაქტები, ცალკე აღებული, ვერბალური გაცოცხლებისა და ხორცშესხმის გარეშეც საინტერესოა. წიგნს ბოლოდართული ფოტოსიუჟეტები ტექსტების გარეშეც ცალკე აღებული ნოველებია. ფრიდონ ხალვაში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად, ივანე თარბა, გიორგი ლეონიძე, მუხრან მაჭავარიანი, ამერიკელი მწერლების გარემოცვა. თუმცა მწერლის ემოციებით და მხატვრული მინიმალიზმის ჩარჩოში მოქცეული მწერლის ომრი დიდ სარგებელს მოუტანს მკითხველსაც და სხვადასხვა მიმართულების მკვლევარებსაც.

ქართულსაზოგადოებრივ-

კულტურულდასალიტერატუროსივრცეშიდიდიგამოხმაურებამოჰყვარდონხა ლვაშისცხოვრებისწიგნს - „ომრი“, სადაცუშუალოდაამოთხრობილიპოეტისადასაზოგადომოღვაწისშინაარსიანი, მღელვარედაქარტებილებითაღსავსეცხოვრება. მემუარისტიუშუალოდაღწერს, განიცდისდაგულდასმითუკვირდებაეპოქალურმოვლენებს, ტრაგიკულდასახალისოამბებს.

„ომრი“ - სიცოცხლე, ერთიკაცისცხოვრება. ადამიანისსიცოცხლისმთელიხანგრძლივობა. წუთისოფელი -ღვაწლი, ამაგი“-ასეგანმარტავსფრიდონხალვაშითავისცხოვრებისწიგნისსათაურს, რითაცმასახალისიცოცხლეშესძინადალიტერატურულენაშიდაუმკვიდრაადგილი

ძალზესაინტერესოდაშინაარსიანიაფრიდონხალვაშის „ომრი“, მაგრამესმხოლოდმისი „ომრი“ როდია, იგიქართველიხალხისყოფაცაა, აჭარისმკვიდრთაჯავრიდატკივილია, რომლებშიცისტორიულიავბედობითდაღდასმულდადღემდეჩვენამდემოღწეულმ ოვლენებზეასაუბარი.

ფრიდონხალვაშისავტობიოგრაფიულირომანიერთსადაიმავედროსორიმათავ
არიმიმართულელებითარისსაინტერესო. პირველი –

წიგნისავტორისთვალთახედვითგანსჯილ–
განალიზებულისაქვეყნოპრობლემებითადამეორე,
იმცხოვრებისეულიგზისუნიშვნელოვანესიმომენტებისგახსენებით,
რომელიცგანვლომწერალმა.

ფრიდონხალვაშისმოგონებათაწიგნშიარაერთგზისხაზგასმულიაისგარემ
ოება,
რომისტორიულიავბედობისგამოთურქეთშიიმცხოვრებიქართველობისეროვნული
ცნობიერებისდამრთველდადედასამშობლოსგანგამაუცხოებელუმთავრესძალ
ადამქვეყნისხელისუფლებაპირველყოვლისამაჰმადიანურრელიგიასიყენებდა.
მიუხედავად, ამგვარიმცდელობისა,
გამაჰმადიანებულიქართველობაეროვნულწიაღსარმოწყვეტილდათავისისტორ
იულისამშობლოსთვისზურგიარასოდესშეუქცევია.

მწერლისმოგონებებიდანგანსაკუთრებითთამბეჭდავიისფაქტი,
რომთავადმაჰმადიანუროჯახშიდაბადებულიკაცი,
ისლამურრელიგიურმცნებებსადადათ–წესებზეაღზრდილიპიროვნება,
მთელიოჯახიდაშთამომავლობადღესუკვემართლმორწმუნექრისტიანულიცხოვრ
ებითცხოვრობს, აღნიშნულიმოვლენისშესახებისეთიგულახდილობითსაუბრობს,
რომარამართოწარსულის ტრაგიკულ ინფორმაციასგვაწვდის,
არამედამპრობლემისსაბოლოოდგადაწყვეტისიმედსგვამღევს.

მოგონებებშიხაზგასმულიაისფაქტი, რომდედა–
სამშობლოსთანდაბრუნებისშემდეგაჭარაშიმოსახლეობისმასობრივმაგაქრისტიან
ებამხალხიარამართოწინაპართასარწმუნოებასდაუბრუნა,
არამედმაჰმადიანურირელიგიურიფაქტორებისშემდეგადსახეცვლილიცხოვრების
გაქართულებისადაეროვნულიადათ–წესებისაღდგენისპროცესსშეუწყობელი.

ფრიდონხალვაშისწიგნში,
სარწმუნოებრივიპრობლემააჭარისმოსახლეობაშიისტორიულადიმდენადმნიშვნე
ლოვანროლსასრულებდა,

რომმაჰმადიანობისგანგანდგომადგაქრისტიანებაუფროსითაობისწარმომადგენე
ლთაცნობიერებშიგაგაურებასთანანუგაქართველებასთანყოდაკავშირებული.
თავადმწერალიყოაღნიშნულიმოვლენისმომსწრედამხილველი.

(ხოჯასთანკონფლიქტიმედრესედანგაქცევისგამო.)

დიდიმღვთვარებიდასევედითადახატულითურქეთშიმცხოვრებქართვე
ლებთანშეხვედრისეპიზოდები:

„თურქეთელქართველებთანშეხვედრებმაჩემიცხოვრებაძირფესვიანადმეცვალა.

თითქოსმომავალისაქართველოდავინახე, რაღაცდიდიმედები,
დიდიფიქრებიჩამისახლდაგულში და სულში”(ხალვაში, 2010:182),ისაღამო,
სტამბულში, ორისაქართველოსშეხვედრისსაღამოდიქცა.

ამაღვლებელიპასაჟებიდასაინტერესოდაკვირვებითფრიდონხალვაშიპირ
იქითასაქართველოშიდარჩენილთანამემამულეთაუკიდევანოდარდზედაგვაფიქ
რებს. ერთიასეთიგულდარდიანი, სამშობლოსსიყვარულითგულანთებულიკაცი,
ახმედმელაშვილიყო, რომელშიც –

„მთელიმუსლიმანურისაქართველოსტკივილიმერწყმულიყო” (ხალვაში,
2010:174),კაცი, რომელმაცსადაცაკრძალესსაქართველო, იქიქართველა...”

ესისახმედმელაშვილია,
რომლისაქტიურიძალისხმევისშედეგადთურქეთშიპირველიქართულიჟურნალის
– „ჩვენებურების” გამოცემაგახდამესაძლებელი.

შეუძლებელიააუღვლებლადწაიკითხოეპიზოდი,
სადაცაღწერილიამწერლისშეხვედრა „კურცხალგამშრალ,
თვალისუბებგამოგვალულ”

უცნობმამიდასთან.ასიებიბითურქეთელიქართველების –
მთელიჩვენებურებისსათქმელსაღმთქვამს: – „ეი, ჭოვ... ახლავრთიმითხარი,
რაფრათაამემლექეთი, ყველაფერიმითხარი.“ (ლექსი „მემლექეთი”)

უადრესადაქტუალურიამბავიქართველიქალისა,
მთელიშეგნებულიცხოვრებაუცხოობაშირომგაუტარებია, კიდევდაოჯახებულა,
შვილებიცალუზრდიადაოთხმოცწელსგადაცილებული,
საბოლოოგანსასვენებელსმშობელმიწაშიეძებს: – „ესძალიანდეიხსომე:

რაცხამფრათწამიყვანეთ, აქარდამტიოთ, მოვკვდებიდაიქბაბან-
ნენესმიწაშიჩამფალით. აჰა, ამასგეხვეწებიბიმარტვაი, სხვაააფერს”(ხალვაში,
2010:190),ასიე-ბიბისბედი,
რომელიცმრავალმაქართველმაგაიზიარაკიდევერთხელშეგვახსენებს,
რომიგიჩვენიმარადიულიწინაპარია,
რომელიცჩამქრალილაბირინთებიდანთავსგვახსენებსდამემოგვძახისსაქართველ
ოაღსდგება! ქრისტეაღსდგება! ამინ!

„გამოჩენილთაგვერდითარიანისეთებიც,
რომლებიცმხოლოდმწერლისთვისარიანახლობელნი,
მაგრამიმდენადშთამბეჭდავადიხატებამათისახეები,
რომმკითხველივეღარივიწყებს...

მშობელიდედისადამწვანეთვალებანაბიესპორტრეტები....”

მოგონებებისწიგნშიმემუარისტისაკუთარილექსებისშექმნისისტორიებსგვი
ყვება, თუროგორშეიქმნაყველასათვისცნობილი –„მემლექეთი” ,
“მეარვიქნებიშენისტუმარი”....

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ომრი“ გარდა ჟანრობრივი
მრავალფეროვნებისა, (ტექსტში გარდა თხრობითი ნაწილისა ავტორი
ოსტატურად იყენებს ე.წ. „სამყურებს“, სამტაეპიან ლექსებს, რომლებიც მწერლის
მხატვრული ხელწერის საინტერესო ფორმად იქცა. ამ ლექსებს ისე ოსტატურად
ჩაურთავს თხრობაში ავტორი, რომ მემუარისტულ პროზას განსაკუთრებულ
მხატვრულ ღირებულებას სძენს), ისტორიული შეპირისპირების საინტერესო
ესპერიმენტს გვთავაზობს, როცა წარსული და დღევანდელიობა თითქოს
გაერთიანებულა და მსგავსი ისტორიული ექსკურსი უფრო ნათლად წარმოაჩენს
თავად მწერლის პოზოციას.

„ომრმა“ თავიდანვე დიდი ყურადღება მიიპყრო და არაერთი პუბლიკაცია
იქნა გამოცემული მის შესახებ. სწორედ ამ ინტერესმა განაპირობა, რომ მის
შესახებ გამოქვეყნებული წერილები ერთ წიგნად შეიკრიბა სათაურით „მე ისევ იქ
ვარ, საიდანაც ვიწყები“, ეს გახლავთ ინტერპრეტაციები ფრიდონ ხალვაშის
წიგნისა „ომრი“, კრებულში შესული თითქმის ყველა წერილი ფრიდონ ხალვაშის

სიცოცხლეში დაიწერა და გამოქვეყნდა. მწერლამა ეს წერილები შეკრიბა და არქივში შეინახა. ამგვარად, ფაქტობრივად, წიგნიც შეადგინა, წიგნი თავისი წიგნის შესახებ. მასში მრავალი საინტერესო მოსზრება გამოითქვა, ჩვენ გვსურს რამდენიმე საინტერესო შეფასება წარმოგიდგინოთ: მუხრან მაჭავარიანი „ომრს“ ასეთ შეფასებას აძლევს: „ბოლო, - რამდენიმე წელია, ამნაირი ადამიანური წიგნი, როგორც ფრიდონ ხალვაშის „ომრია“, მე არ წამიკითხავს.

წიგნი იკითხება გაუნელებელი ინტერესით.

დაწერილია მიმზიდველი ენით.

პირადი ცხოვრება, ქვეყნის ცხოვრება მოთხრობილია უზადო გულწრფელობით.

წიგნში მრავლად შეხვდებით ცნობილ ქართველ და არაქართველ მწერალთა სახეებს: შიგა და შიგ დახასიათებულია ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე;

რაც მთავარია, ავტორი ყოველი მათგანის მიმართ იჩენს ჭეშმარიტად ქრისტიანულ გულითადაობას;

მთელი წიგნის მანძილზე ვერსად წააწყდებით სუბიექტურობის ნატამალსაც კი.

ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე გამოთქმულია (შესაძლოა, სადავო), მაგრამ ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი.

ერთი სიტყვით, ფრიდონ ხალვაშის „ომრი“, ჩემი აზრით, ზედმიწევნით ობიექტური, უაღრესად ეროვნული და საკმაოდ გონივრული თხზულება გახლავთ (მაჭავარიანი, 2012:5)

თამაზ ჩხენკელი წერილში „დაბრუნება“ ასეთ შეფასებას გვთავაზობს: „ამ წიგნის აზრია მეტამორფოზა, რაც გარდაქმნას ნიშნავს, თუმცა, უფრო ღრმა აზრით, ეს არის „დაბრუნება“, დაბრუნება წინაპართა ათასწლოვანი რელიგიის წიაღში. რა არის 250, ან თუნდაც 300 წლის ამოვარდნა ქრისტიანობის ორიათასი წლის მდინარებიდან?

ეს წიგნი უნდა წაიკითხოს ყველა ქართველმა - მაჰმადიანმა და არამაჰმადიანმა, ქრისტიანმა და არაქრისტიანმა. ეს წიგნი მიგვახვედრებს, სად

არის ჩვენი სისუსტე და სად არის ჩვენი სიძლიერე, მიგვახვერდებს იმას, რომ კაცმა ყველაფერი შეიძლება დაძლიოს, თუ მას ძლიერი თვითცნობიერება ახლავს“ (ჩხენკელი, 2012: 7).

რევაზ მიშველამე წერილში „მამულიშვილის ომრი“ ასეთ შეფასებას გვთავაზობს: „კვითხულობ და ფურცელ-ფურცელ სიამაყე მემატება, რომ ფრიდონის სახით, ასე ძვირფასი მეგობარი მყავს და საქართველოს ასეთი გუმბურვალე პატრიოტი ტბელს აბუსერიძეთა და მემედ აბაშიძეთა პირდაპირი შთამომავალი. მათი სისხლი და ხორცი.

რა საინტერესო, რა დრამატული ყოფილა ფრიდონ ხალვაშის ცხოვრება. ეს მარტო ფრიდონის „ომრი“ კი არ არის, საქართველოს ყოფაა და ქართველი მწერლის სვეა, ობიექტურად, შეულამაზებლად დანახული და უაღრესად შთამბეჭდავად, სისხლსავსედ დახატული“ (მიშველამე, 2012:19).

პოეტისგარდაცვალებისშემდეგიდღისსინათლემისმადლიურებმა, სათაურით „გუშინ“, იხილეს, რითაცჩვენსწინაშეწარსდგაადამიანურიბუნებით, სისუსტითადაამავედროსხასიათისსიმტკიცითგამორჩეულიპიროვნება, თავისქვეყანაზედათავისკუთხეზეუზომოდშეყვარებული, თავისიხალხისათვისთავდაუზოგავიმებრძოლიდაამავედროსნაზი, პოეტურისულისმქონეადამიანი, რომელსაცხშირადწარსულისგახსენებაცარუყვარსამიტომაცამბობს „იქიმდენიუფერულირამეა. ჩემითავიარმომწონს. ჩემითავიარმიყვარსო.“(ხალვაში, 2013:163) -მაგრამესცხოვრებაა, წინააღმდეგობებითადასიმნელეებითსავსე, ერთდროულადსიკეთისადაბოროტებისმატარებელი.

იმითაცასაინტერესოწინამდებარეკრებული, რომმასშითვალნათლივჩანსფრიდონხალვაშისპიროვნებისსრულყოფისგზა. თუკიდასაწყისშიიგიმოკრძალებულია, გზისდასასრულსმრავალჭირნახულ, ბუმბერაზ, ქვეყნისათვისთავდადებულპიროვნებადგვესახება. თავიდანვეთვალშისაცემიაერთიმწერლისეულიშეფასება „ჩემიქალაქებისდირებულებადიდიარაა, მაგრამისინიჩემიქალაქებიარის.

მინდაამქალაქებსკარგადმიხედონ. მეარვეყოფილვარყალბიდაცულლუტი.
მიყვარსადამიანიდამინდაიგიიყოსისეთი, როგორიცემიყვარს.
ზოგჯერდროცარგყოფნისთითქოს, რომსაკუთარიშეცდომებიასწორი.
მიდიხარწინდასჩადიხარახალშეცდომებს. მაგრამაკეთებუკეთესრამესმეტს,
ვიდრეუარესს.“ (ხალვაში, 2013:139)

არისსაკითხები,
რომელთაცფრიდონხალვაშიყოველთვისგანსაკუთრებულისიფაქიზითადასიყვარ
ულითწამოაჩენს. ერთ-ერთიმათგანითურქეთისქართველობისთემაა.
„ესმთლიანადჩემითემაა, ჩემისტიქია.
ქართველიინტელიგენტიდღემდენაკლებადგრძნობდათავისმოწყვეტილმძმებს -
თურქეთშიმცხოვრებთანამემამულეებს“ (ხალვაში, 2013:57),ამიტომაცშეხვედებით
(ისევეროგორცსხვანაწერებში)

ამდღიურებშიმრავლადმოგონებებსსაზღვარსმიღმადარჩენილქართველებზე.
„ესუნდაორგანულადიგრძნოთ. მეარშემიძლიამაზეარვილაპარაკო.“(ხალვაში,
2013:71)წერსიგიდამართლაცმუდმივადუბრუნდებაამსაკითხსდაახალიპლასტები
თწარმოაჩნსმას.

მწერალიბარაქიანადიყენებსპირწმინდააჭარულიდიალექტისფორმებს,
მაგრამესარავითარუხერხულობასარიწვევს,
სწორედესდიალექტურისიტყვებიწარმოაჩენენპერსონაჟებსთავიანთიფსიქოლოგი
ითადავიზუალით.

„მიყვარსსიცოცხლე. მადლობაუფალს!
„იცოცხლედღევშენიკერძისიცოცხლე,
მერესხვადღემონათდებადაიქნებადღეთასიარული“ (ხალვაში,
2012:157),მაგრამიქვეგრძნობდასიკვდილისმოახლოებასაც.

ამიტომაცარაერთხელჩაუწერია „სიკვდილისარმეშინია.
ერთრამეზეგულიმწყდება. ვერდავინახავ,
როგორმომექცევინამაშინცოცხლები“,ანდა
„როგორგაფერმკრთალდებიანესსტრიქონებიმერე, სიკვდილისმერე“ (ხალვაში,
2013:235), მაგრამესშიშიუსაფუძვლოა,

რადგან ფრ. ხალვაშმა თავისი კუთვნილის იტყვათქვა,
რომელიც არასოდეს გაფერმკრთალდება.

დღიურის ბოლო ჩანაწერი

2010

წლის საიუბილეოს აღმოსაშემდეგ აგაკეთებული.

ესუნდა ყოფილიყო დღესასწაული, მაგრამ სამწუხაროდ დიდ ტრაგედია და დაიქცა.

„მუხრანი გათავდა.

სუნთქავს? მხოლოდ ამას ვკითხულობდის ადღაც კუთხეში მიმჯდარი.

ესიყო უბედურის აღამო. საიუბილეოს ამგლოვიაროდიქცა.“

ეს შემოქმედის ბოლო ჩანაწერია, ამის შემდეგ დიდ ხანს აღარ უცხოვრია,

მაგრამ მხოლოდ ფიზიკურად,

რადგან გარდაცვალების შემდეგ მანახალიცხოვრება დაიწყო,

მისი შემოქმედების აღამოღვაწეობის შეფასებებში.

IV თავი

ქალი ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში

ქართულ მწერლობაში ქალის კულტი ღვთისმშობლის არსის გააზრებიდან ჩაისახა. პიროვნული თვითმყოფადობა, სულიერი ზეამაღლებულობა, ოჯახური კერის შენარჩუნება, სტუმართმოყვარეობა, ტრადიციების დაცვა, ქალური კლდეამოსილება და მოკრძალება - ეს ის არასრული ჩამონათვალია, რომლის მატარებელიცაა ქართველი ქალი და რომელთა გამოხატვა არაერთხელ უცდიათ მოკალმეებს.

არაერთ მწერალს შეუხამს ხოტბა ქართველი ქალისთვის, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი კუთხის მწერალთა შომოქმედებაში მისი გამორჩეული წარმოჩინება, ვინაიდან სწორედ აჭარელმა „ნენემ“ შეძლო შეენარჩუნებინა ეროვნული სული, მომხდურთა სისასტიკის მიუხედავად გადაერჩინა ძირძველი ქართული კუთხე და დღემდე მოეტანა იგი.

ღიაცი - ნენე, როგორ ტკბილხმოვნად უწოდებენ აჭარაში დედას, ქალს, ყოველივე კეთილის დასაბამს, ის მყარი საძირკველია, რომელმაც ამ ტკივილიან

კუთხეში, საიდანაც დაიქყო ქართველთა მოქცევა, შემოინახა საუკუნეებით მოტანილი რწმენა, რომელიც მომხვდურმა სამასი წლის განმავლობაში ძალით წაართვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ ამოძირკვა ფესვები, რომელიც ღრმად გამჯდარა ყოველი ქართველის გენში. და თუ არა სისხლის ყვილი, სხვა რა ძალა აიძულებდა აჭარელ ქალს, ყოველდღიური რიტუალის ჩატარებას, - კეცზე დაკრულ მჭადზე ჯვრის გამოსახვას. ერთი შეხედვით თითქოს ეს გაუთავისებელი, მექანიკური ქმედება ძვალ-რბილში გამჯდარი, თაობიდან - თაობას გადაცემული გენეტიკური კოდია - მისი ძირძველი ქართველობის გამომხატველი.

ფრიდონ ხალვაში ის შემოქმედია, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობა მშობლიურ კუთხეს უძღვნა. იგი აჭარიდან ხედავდა სრულიად საქართველოს და ცდილობდა ჯერ კიდევ მოუშუშებელი იარები, თანამედროვეობით წარმოჩენილი პრობლემები მოეგვარებინა, უნდოდა მშობელ კუთხეს მალამოდ დადებოდა და ტკივილი დაეამებინა. ამიტომაც სუნთქავს მთელი მისი შემოქმედება, პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა, მემუარისტიკა, აქაური ჰაერით, გადმოგვცემს აქაურთა გულისტკივილს და აჭარელი კაცის სახეს გვიხატავს მთელი მისი დიდსულოვნებითა და კოლორიტულობით. მწერალი სხვათა გვერდით ძალზე საინტერესოდ, ფაქიზად, თითქოს ერთი კალმის მოსმითა და ერთი ამოსუნთქვით გვიხატავს აჭარელი ქალის სახეს, მისი ღვაწლსა და ამაგს.

ქალი ხომ თითოეული ჩვენგანის არსებაში დედის სახებით შემოდის. ფრიდონ ხალვაშის ნაწერებში იგრძნობა მწერლის ფაქიზი, სათნო და სანდომიანი დამოკიდებულება დედის, ნენეს მიმართ. შემოქმედის მიერ დედაზე საუბრისას, რაღაც თბილი და მადლიანი იღვრება მკითხველის გულში, ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიხმობ რამდენიმე ამონარიდს:

„მომეჩვენა, მზე მუხის ტოტებს კი არა, ცისკენ სალოცავად აწვდილ ჩემი ნენეს ხელებს ეჭირათ.“

„ნენე, ჩემი, ჩემი დედიკო, ყველაზე სანდო, ყველაზე ერთგული პატრონი ჩემი...“ (ხალვაში, 2010:169)

დედა - „აჭარელი ნენე” - საქართველოს უსაშველო სიყვარული, რომ ასწავლა მწერალს, მშრომელი, მოფუსფუსე, მოსიყვარულე დედა და მეუღლეა. მჭადს ისე არ დააკრავდა, ზედ ჯვარი, რომ არ გამოესახა, რაც თავისთავად ღვთისმშობელთან, ღმერთთან სიახლოვეს ამხელს.

„მჭადებს აკრავდა ჩემი ნენე, ჯვარდაკრულს, ადრეც ისეთს, რომ მითქვამს - თუ დროს ლექსი ჩემი ვერ ვკადრე, ლექსებად დავდებ დედაჩემის გამომცხვარ მჭადებს...” (ხალვაში, 2010:172).

ცოტა მოგვიანებით კი, დედის გარდაცვალებით გულნატკენი მწერალი დაწერს:

„სექვზე იწვა, საბანში ჩამქრალ-გამქრალი, მხოლოდ თვალები მახსოვს, ნაღვლიანები, მაგრამ ულამაზესად განათებული, რომ შემომცქეროდნენ...” (ხალვაში, 2010:170)

ასე აღესრულა დღენიადაგ გარჯით დამაშვრალი ქართველი ქალი, აჭარის ტრაგიკული ისტორიით სამუდამოდ დაღდასმული ის ადამიანი, რომელსაც იმიერ ქვეყანაში იდუმალ გზაზე დამდგარს იმხანად „მუსლიმანური ლოცვის მეტი სხვა მცველ-მშველელი არავინ და არაფერი ეგულებოდა. ნენე რომ გაჩნდა, ქვეყნად მაჰმადი დახვდა. დედა ქართული სიტყვით მიმართავდა მაჰმადს. ქართულ ლოცვას მარტო ქრისტე გაიგონებდა... ქართულად სიტყვის მთქმელი ხალხის უფალი ისმენდა ალბათ დედაჩემის კვნესიან მუდარას, სხვა არავინ, სხვა არავინ!” (ხალვაში, 2010:170), ამ პატარა ამონარიდში მწერალმა მისთვის სახასიათო ოსტატობით შეძლო ეჩვენებინა არა მარტო აჭარელი ქალის, არამედ მთელი კუთხის ტრაგედია, რომელმაც საუკუნეებით მოგლიჯა ეს კუთხე სამშობლოს ერთიან სხეულს.

მწერლის მშობლიური კუთხის კიდევ ერთ ტრაგედიას საზღვარსგაღმა დარჩენილ მოძმეთა ტკივილია, რომლებიც გაჰყურებენ მავთულხლართს მიღმა დარჩენილ მშობლიურ მხარეს და მონატრების უზომო ტკივილი კლავთ. ეს გრძნობა ფრიდონ ხალვაშისათვის ოჯახურ ტრაგედიაზე გადის, ეს მისი სულის ტკივილია. ამიტომაც ერთი შეხედვით ამოიცნო თურქეთში ქუჩაში მიმავალ უცხო ქალში უცნობი მამიდა. მეტად ამაღელვებლად აღგვიწერს

„კუცხალგამშრალი“, „თვალის უბეებგამოგვალული“, წელში მოხრილი უცნობი მამიდას, ბიბის, პორტრეტს. ეს ისტორიაა ქართველი ქალისა, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება უცხოობაში გაუტარებია, დაოჯახებულა, შვილები დაუზრდია, მაგრამ მშობლიური კუთხე არ დაუვიწყნია და საბოლოო განსასვენებელს მშობელ მიწაში ეძებს.

ასიე ბიბის მწერალი თურქეთელი ქართველების - მთელი ჩვენებურების სათქმელს ათქმევინებს: - „ეი, ჭოვ... ახლა ერთი მითხარი რაფრათაა მემლექეთი, ყველაფერი მითხარი“... (ხალვაში, 2010:190) ეს ერთი სიტყვა „მემლექეთი“ რამდენად ტევადი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მთელი ტრაგედია გამოეხატა, ულამაზეს პოეტურ სტრიქონებად ექცია და უცხო ქვეყანაში დარჩენილთა მონატრება მოეტანა ჩვენამდე:

„მითხარ როგორაა მემლექეთი,

ჩემი სანატრელი საქართველო,

რამე იმნაირი გამაგონე,

გული დაკოდილი გავამრთელო..” (ხალვაში, 2010:203)

მწერლის შემოქმედების, მისი ცხოვრების ულამაზეს პოემად ქცეულა გულის სწორი - თუნთული - ერთგული, ღირსეული მეუღლე, თანამგზავრი, რომელიც თავისი დიდსულოვნებით მკითხველში პატივისცემას იწვევს.

ნოველა „თუნთული“ სწორედ ამ ერთგულ თანამგზავრს უძღვნა მწერალმა, მასში მთელი თავისი გრძნობა და ოსტატობა ჩადო. პროზაულად თქმული ლექსად იკითხება და ულამაზეს რითმებად აღიქმება.

„ჯერ კიდევ ომამდე, 40-ის მიწურულს, შემოდგომის, გაზაფხულივით ცქრიალა დილით, ხიდზე, ერთი წინწკალა გოგო გამოდიოდა. ჩითის დიდყვავილებიანი კაბა მთელ ხეობას მოანათებდა. ის მოუხდა ხიდს, ხიდი შვენოდა მას. მარტო იყო. გაღმეთიდან მომავალს განაბული გამოღმეთი უყურებდა... გამოღმა მეც ვიდექი... ხიდზე თუნთული მოდიოდა.” (ხალვაში, 2010:39)- ხიდიდან გადმოსულმა მთელი მისი ცხოვრება შეავსო და მთელ მის წიგნსაც უერთგულა, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების საყრდენ ძალად იქცა.

ფრიდონ ხალვაშის ცხოვრების თანამგზავრ ღირსეულ ქალებს შორის მწერალმა თავის მოგონებებსა თუ შემოქმედებაში კიდევ არა ერთი დიდებული ქალის სახე დაგვიხატა. ყმაწვილური აღტაცებით იხატება მწვანეთვალეობა ნებიეს პორტრეტი, მოპარულად რომ უღიმის უცხო კაცს, რომელთანაც საშუამთო განდაგანა უცეკვია მწვანე ტბასთან: „ერთმა მისმა გაღიმებამ რაც დამმართა, ის რომ იცოდეთ... შავი, ორ გრძელ ნაწნავდაბწნილი თმა ხან წინ გადმოეზომებოდა, ხან ნაწნავს უკან გადაიგდებდა. შავ წარბებქვეშ დიდრონი, სწორედ აი იმ ტბისფერი თვალეები უგიზგიზებდა. გულმა წამძლია. ვედარ შევაყენე თავი და გავშალე მკლავები, გავწიე ნებიესკენ. მომისამა ნებიემაც და თითქოს ტბაც აგვევა, თავისი პაწაწინა ზვირთები შემოგვათამაშა”(ხალვაში, 2010:117).

საინტერესოა უმიანის პორტრეტი, მშრომელი, ამაგდარი, ოჯახს, ქმარ-შვილს გადაყოლილი აჭარელი ქალი, რომელსაც თავდია ვერ გაუვლია, ბოლოს კი მის სულში ამოხეთქავს წლების მანძილზე დაგროვილი ბოღმა „იცი, გასკდა გული, რა მჭირს ისეთი, რომ პირი ვარიდო, დაკოჭილ-შეხვეული ვიარ ოქვეყანაზე”(ხალვაში, 1996:405)- უმიანი იმდროინდელი აჭარელი ქალის სატკივარს ამხელს და გულისტკივილს იწვევს, ჩადრის, ქალის ამ ღირსებაშემლახველი რელიგიური ატრიბუტის წინაშე მწერალმა ამ პერსონაჟის დახატვით შეუფარავად გაილაშქრა, რითაც მავნთა წყენაც კი დაიმსახურა.

ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია იმ პორტრეტებისა, რომლებსაც ავტორი ჩვეული ოსტატობით, ერთი ამოსუნთქვით გვიხატავს და რომლებშიც თავისი მშობლიური კუთხის სიყვარულს აქსოვს. ეს კი მწერლის შემოქმედების ერთიან ქსოვილს განსაკუთრებულ ჟღერადობას სძენს და მკითხველს საოცარი ემოციით ავსებს. ეს ფრ. ხალვაშისთვის ყველაზე სათუთი, მგრძნობიარე, საყვარელი, თბილი და ამავედროულად ტკივილიანი თემაც გახლავთ.

V თავი

ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკა

ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკა შინაარსით მრავალფეროვანია, ფორმით სადა და დახვეწილი, მიახლოებული და შერწყმული ხალხის სასაუბრო სტილთან. მწერლის სიტყვა ხალხის გულისთქმას გამოხატავს. ამიტომ გასაგებია, რომ ფრ.ხალვაშის აუდიტორია მთელი საქართველოა. ფრ. ხალვაშის პუბლისტიკა საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა თავისი თემატიკით, ესთეტიკური პრინციპებით, მამულიშვილური პოზიციითა და მამა-პაპური, ისტორიული აღმსარებლობითი მრწამსით. ფრ. ხალვაშის სახელი დედასაქართველოს გულისწიალში დაბრუნებული, აღორძინებული და განახლებული აჭარის სიმბოლოა ქართულ მწერლობაში. წერილში „სიტყვა აჭარისადმი“ მწერალიც საგანგებოდ აღნიშნავს თავისი სიტყვის ამ თავისებურებას და წერს: „არა მარტო დღეს, არამედ ყოველთვის, აჭარავ, სიტყვა ჩემი გულისა შენ გეკუთვნოდა და ამიტომ სიტყვა იგი საქართველოსი იყო“ (ხალვაში, 1985:4).

ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობის როგორც სხვა სფეროს ისე, ისე პუბლიცისტიკის მთავარი თემა ეროვნული მოტივებია. მისი აზროვნება და ფიქრთა სამყარო თავს დასტრიალებს დედასაქართველოს სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობას. ფრიდონ ხალვაშმა თავისი შემოქმედებით

სავსებით გაამართლა აჭარის წიაღიდან ამოზრდილი მამულიშვილის მისია და, პირველ რიგში, ეს გამოვლინდა ენისადმი დამოკიდებულებაში. მან შემოქმედებითად განავითარა მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ენობრივი პოზიცია ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში და ქართული ენა ქართველისათვის უმთავრეს სარწმუნოებად, უდიდეს მასწავლებლად გამოაცხადა. წერილში „დედაენა“ ჩემი მასწავლებელი და მეგზური” იგი წერს: „ცხოვრების სიმწიფეში შესულნი ხშირად ვახსენებთ ჩვენს საუკეთესო მასწავლებლებს. მეც შემიძლია მათი მოგონება, დასახელება, მაგრამ ყველაზე პირველი ჩემი დიდი მასწავლებელი და მეგზური წიგნი „დედაენა“ იყო. მადლობა შენ და უკვდავება შენ, ენავ მშობელო!” (ხალვაში, 1985:4).

1971 წელს გამოქვეყნებულ წერილში „გადარჩენილი სიტყვა“ ფრიდონ ხალვაში მშობლიურ ქართულ ენას აჭარის გადარჩენისათვის ბრძოლის საუკეთესო იარაღს უწოდებს, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში ქართული ენით მყარ ეროვნულ პოზიციებზე მდგარ სწორუპოვარი მებრძოლის ნიმუშად მემედ აბაშიძეს წარმოადგენს.

„სიტყვა სისხლივით იღვრებოდა, ხოლო სისხლი სიტყვასავით ელვარებდა, ახალფეხადგმული აქაური მესიტყვენი მტერთან სასიკვდილო შეჯახებას უფრთხოდნენ. როცა ოციანი წლების მიჯნაზე კვლავ დაისვა აჭარის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, მემედ აბაშიძე დადგა ტრიბუნაზე, როგორც ეშაფოტზე და ახალგამოცხადებულ გადამთიელებს თავგანწირვით უთხრა: „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ ვიცით სტუმართმასპინძლობა, მაგრამ მოსული სტუმარი ბოლოს თავის სახლში უნდა დაბრუნდესო“ (ხალვაში, 1985:11).

ფრიდონ ხალვაში თავის პუბლიცისტიკასა და ესეებში ხშირად იხსენებს მემედ აბაშიძის სახელს. 1984 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს მოქალაქე“ მან პირველად დასვა მემედ აბაშიძის, როგორც მწერლის, შესწავლის საკითხი. იგი იგონებს მეოცე საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ისტორიულ ვითარებას აჭარაში და წერს, რომ აჭარისა და მთლიანად საქართველოსთვის „იმ ისტორიულ ქარტეხილების, ერთა გრანდიოზული არეულობის დროს, ამ უძველეს ქართულ მხარეს თავის წიაღში დაბადებული, თავისი მღელვარე

ბედისწერის თანამოაზრე, თავისი ჭირისა და ვაების გამგები, მართალ ეროვნულ პოზიციაზე მდგომი და შპრსმჭვრეტელი გამძლოლი გმირი სჭირდებოდა. სწორედ ასეთად მოევლინა მას მემედ აბაშიძე, გაუტეხელი ნების, მაღალი რაინდული სულის, ღრმა განატლების მქონე და ჭემმარიტად ნიჭმომადლებული მამულიშვილი, კაცური კაცი, სულიერი და ფიზიკური ძალოვნებით გამორჩეული, თავის მშობელ კუთხესავით წამებული, მაგრამ მამულივით გაუტეხელი, იმედიანი, თავისი უკვდავი ერის სიყვარულით, მისდამი ერთგულებით გულანთებული - მემედ აბაშიძე!” (ხალვაში, 1985:73) და აქვე შენიშნავს მწერალი, რომ მიუხედავად ამისა, მემედ აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას კარგად არ იცნობენ საქართველოში. ზოგიერთს მოეჩვენება, ალბათ, რომ ეს კაცი უფრო მოღვაწე, მეომარი, ტრიბუნი, რაინდი ყოფილა და არა ლიტერატორი, მწერალიო! ამიტომაც იგი, როგორც უკვე ვთქვი, მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში აყენებს საკითხს მწერლობისა და ლიტერატურის მკვლევართა წინაშე „რათა მოვძებნოთ, სათანადო ორგანოთა არქივებში მივაკვლიოთ მემედ აბაშიძის სამწერლო შემოქმედების ნიმუშებს, ხელნაწერებს, შევისწავლოთ, შევკრიბოთ ისინი და ღირსეულად გადმოვცეთ. ამას მოითხოვს დრო. ამას გვავალებს ეროვნული სინდისი და თავმოყვარეობა. და აი, მაშინ, ჩვენ თვალწინ გამოჩნდება მრავალმხრივი, მრავალჟანროვანი მწერლ-ლიტერატორის, მწერალ-მოღვაწის საინტერესო სახე” (ხალვაში, 2000:514).

თავის პრინციპული ხასიათის მოსაზრებებს ფრიდონ ხალვაში ამთავრებს დასკვნით: „მე მგონია, მემედ აბაშიძის, როგორც ლიტერატორის, უმთავრესი და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი დამსახურება ისაა, რომ სამსაუკუნოვანი დესპოტური მპყრობელობისა და უცხო ენის ბატონობის შემდეგ, მან პირველმა ამ მხარეში, მივიწყებული, დამცირებული და დაჩაგრული მშობლიური ქართული სიტყვა კვლავ გამოადვიდა, გაამხნევა, აამუშავა და კვლავ მხატვრული აზროვნების სამსახურში ჩააყენა” (ხალვაში, 1985:14).

ფრიდონ ხალვაში სპეციალურ წერილს უძღვნის ჰაიდარ აბაშიძეს. წერილში „სიტყვა ჰაიდარ აბაშიძეზე“ კარგადაა დაჭერილი ჰაიდარ აბაშიძის დიდსულოვანი კაცობრიობის „იშვიათი უნარი, რასაც ბატონი ჰაიდარი განსაკუთრებული ძალით ავლენდა მემედ აბაშიძის მიმართ დამოკიდებულებაში. მათ ასაკებს შორის განსხვავება ოცი წელიწადი იყო. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჰაიდარ აბაშიძეს ეთქვა: „მემედი იმხელა პიროვნება იყო, მე მასთან ვერ მივალ“ (ხალვაში, 2000:515).

იმავე წერილში ფრიდონ ხალვაში ამახვილებს ყურადღებას ჰაიდარ აბაშიძის პუბლიცისტური სიტყვის ზემოქმედების ძალაზე და წერს: „სიტყვით, გულწრფელობით, ტკივილით და სიამაყით აღსავსეა ჰაიდარის მუდამ მოკრძალებული, მაგრამ გულის წიარიდან ამოსული მხურვალე სიტყვები. ბევრი რამ ჩვენი ბედკრული წარსულისა და არსი ეროვნულობისა მისგან ვისწავლე, წმინდა კაცი იყო, ერთგული, უღალატო, ხალასი, გულუხვი, მოსიყვარულე, საქართველოსათვის თავგანწირული და როგორც დიდი მემედი ბრძანებდა, თანამოდარდე და თანამდგომი იყო მუდამ“ (ხალვაში, 2000:515).

ფრიდონ ხალვაში, იმავე წერილში, სანიმუშოდ მიიჩნევს ჰაიდარ აბაშიძის ერთგულებას აჭარისადმი, სადაც 1937 წლის შემდეგ არ უცხოვრია, მაგრამ, - შენიშნავს ფრიდონ ხალვაში - „სადაც არ უნდა ყოფილიყო ჰაიდარი, თავის მშობელ მხარესთან, აჭარასთან იყო. სიცოცხლის ბოლო დღემდე უდიდესი გატაცებით და სიწრფელით, გამოცდილებით, მართალი გულით გვეხმარებოდა, მხარს გვიჭერდა, ჩვენი ეროვნული გამოღვიძებით, დედაენისადმი ჩვენი სამსახურით, ჩვენი და გამოჩენით, თავისი ახალი აჭარით ამაყობდა, ბედნიერობდა. მე მინახავს და არც დამავიწყდება, როგორი პატივით ელოდებოდნენ ჰაიდარ აბაშიძეს გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ირაკლი აბაშიძე (ხალვაში, 2000:516).

მწერალს ცხოვრება და მოღვაწეობა იმ ეპოქაში მოუწია, როცა საბჭოთა იმპერიაში განმსაზღვრელი მოსკოვის ფაქტორი გახლდათ. ამიტომაც მწერლის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსკოვში გატარებულ წლებსა

და რუს თანამოკალმეებთან მეგობრობას. ამ იდეით არის განმსჭვალული ფრიდონ ხალვაშის წერილი „მოსკოვი ჩემიც იყო“: „ჩემი ახალგაზრდობის ორი ბედნიერი წელიწადი მოსკოვში გამიტარებია – ლიტინსტიტუტში. მაშინ და შემდეგ იქ, რუსულად თარგმნილი პოეტური და პროზაული თერთმეტი წიგნი გამოიცა. ეს პირადად ჩემი სახელისთვის კი არა, ეს ჩემი აჭარის გამოჩენისა და ამალეების ნიშანიც იყო, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ქართული ეროვნული კულტურის ავტორიტეტს. ჩემი ლექსები, პროზა უთარგმნიათ მეჭიროვს, კონსტანტინე სიმონოვს, ევტუშენკოს, სოლოუხინს, მიხეილ ლვოვს, ლიფშიცს, პერედრეევს, დუდინს, მარინა ტარასოვას, ლუკონინს, ლევიტანსკის, სინელნიკოვს. ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ. თითქმის ყოველი მათგანი და სხვა გამოჩენილი რუსი მწერალი ბევრჯერ მსტუმრებია აჭარაში, ჩემს სახლში. მეც ხშირად ჩავდიოდი საბჭოეთის მაშინდელ დედაქალაქში. ცხოვრებისა და შემოქმედების თითქმის ნახევარი მოსკოვთან მქონდა კავშირი. ასე, რომ მოსკოვი ჩემიც იყო” (ი. ბიბილეიშვილი „ჭოროხის ხვაშიადი“, გაზ.„აჭარა“, 29 იანვარი, 2003 წ.).

მიუხედავად თავისი განწყობისა მწერალს არ დაუკარგავს ობიექტური რეალობის შეგრძნება და რუსეთის მხრიდან საქართველოს წინაშე წარმოქმნილ პრობლემებზეც საუბრობს. წერილში „აჭარელი კაცის ფიქრები აფხაზეთში დაბრუნებაზე” („ლიტ. საქართველო“, 25 ივლისი. 2003 წ.). ფართო თვალსაზრისით ახედებს მკითხველს დღევანდელი საქართველოს მთავარ პრობლემებში: პირველი, ურთიერთობა რუსეთთან და მეორე, დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემების მოგვარებისადმი.

პირველთან დაკავშირებით პუბლიცისტი ხაზგასმით იმეორებს თავის წერილებში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას: „აჭარა რომ დედსაქართველოსთან ერთად არსებობს დღეს, ამაში... გადამწყვეტი როლი, ისტორიულად, რუსეთმა შეასრულა. ჰოდა, აჭარელი თუ დღეს თავის მშობლიურ ხალხთან სამუდამო ყოფნისთვის დიდ ჩრდილოელს ემადლიერება და, ამასთან, თავისი ქვეყნის ურთიერთობის გაჯანსაღებაზე გამუდმებით მეცადინეობს, განა ეს მისასალმებელი არაა?” („ლიტ. საქართველო“, 25 ივლისი. 2003 წ.).

მეორე საკითხთან დაკავშირებით კი წერს: „ვინ არ იცის, რომ აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების გასაღები დღეს რუსეთის ხელშია. რამდენიც უნდა იძახო ნტო, ამერიკა, იმავე ნატომ და ამერიკამ იციან, რომ ეს ასეა. ჰოდა, ყველაფერ ამას ფხიზელი თვალით შეხედვა სჭირდება“... („ლიტ. საქართველო“, 25 ივლისი. 2003 წ.).

„აჭარელი კაცის ფიქრები აფხაზეთში დაბრუნებაზე“ ემყარება პოლიტიკურ კონცეფციას აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, რომელიც ნდობის აღდგენის ფაქტორზეა დამყარებული და მთლიანად იწონებს მას. „ჩვენ ვფიქრობთ, – წერს ფრიდონ ხალვაში, – ეკონომიკურ ბლოკადის არტახების თანდათანობით შეჩონჩვალეა–შეხსნას და, პარალელურად, ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებას უნდა ახლდეს სინანულის, პატიების, შერიგების, თანხმობის ორმხრივი სურვილი. მხოლოდ ასეთ ატმოსფეროშია შესაძლებელი მივაგნოთ საერთო ენას. საერთაშორისო სასამართლოებში ერთმანეთზე ბრალდებების წაყენება და სხვისი, ანუ გადამთიელთა ხელით ურთიერთშურისძიების მცდელობა ვერავითარ სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ამ გზით შეიძლება მთლად დავღუპოთ ის მცირედიც, ჯერ კიდევ რომ ბჟუტავს ორი მოძმე ხალხის სახვალეო იმედებში“ („ლიტ. საქართველო“, 25 ივლისი. 2003 წ.).

როგორც უკვე ვთქვით, ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეროვნულ პრობლემატიკას, აჭარის ისტორიული წარსულიდან მომდინარე ტკივილიან ფიქრებს. ამ პრობლემებს შორის განსაკუთრებული სიმწვავეთ სარწმუნოებრივი თემა გამოირჩევა. ეს ურთულესი და უსათუთესი თემაა, რასაც ფრთხილად მოპყრობა სჭირდება. პუბლიცისტიც სიფრთხილით ეკიდება მას და მკითხველს დინჯი და დახვეწილი ტონით შეახსენებს ისტორიას. წერილში „რწმენა არსებულისა თუ რწმენა არარსებულისა“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 22 იანვარი, 1986 წ.) ის წერს: „ძველ ტაძართა შენებაში წინაპარმა მთელი თავისი სული, გენია და ეროვნული სიყვარული ჩადო. მაგალითად, სხალთის ტაძარს მარტო სამლოცველოდ როდი აშენებდა. იგი ეროვნულ–საგანმანათლებლო კერაც იყო. იქ ითარგმნებოდა და

იწერებოდა წიგნი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ საერო, ე.ი. სამეცნიერო, მხატვრული, პედაგოგიური.

მეთოთხმეტე საუკუნემ, სხვა უკვდავ ქართულ სილიაღეთა შორის, აჭარიდან ისტორიას მისცა ისეთი მრავალმხრივი და მწერალი, როგორც ტბელ აბუსერისძეა. მისი იყო სხალთა, მისი იყო ხიხანი, ტბელი სასულიერო მოღვაწეც იყო, მაგრამ იგი ქრისტიანობის პროპაგანდაში კი არ ხარჯავდა მთელ ნიჭს, – ერის კულტურული ამაღლებისათვის იღვწოდა”(ხალვაში, 2000:550). შემდეგ პუბლიცისტი თანამედროვე ისტორიულ რეალობას ეხება და აღნიშნავს, რომ „მემედ აბაშიძე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს რედაქტორობდა“. იგულისხმება, რომ იყო სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველო. მემედი თავისი დროის პროგრესული პიროვნება იყო და იცოდა, რას აკეთებდა. ქართულ ენაზე აღნიშნული გაზეთის ბეჭდვასთან ერთად იგი ცდილობდა მორწმუნე მუსლიმანი თანამემამულეებისათვის „ყურანიც“ ჩვენს ენაზე გამოეცა, მაგრამ ეს როგორ გახდაო, წარმოიდგინეთ, ამისთვისაც კი, მემედს ისლამური სამყაროს მაშინდელი ლიდერები და მათი აგენტები ამიერკავკასიაში წყევლა–კრულვით, შეჩვენებით, მუქარით სიცოცხლეს უმწარებდნენ”(ხალვაში, 2000:553).

შექმნილ ვითარებაში ფრიდონ ხალვაში, ყველა რელიგიაზე მალლა აყენებს მშობლიურ ქართულ ენას და ეს მისი დამსახურებაა. ის წერს: – „მე ყოველთვის იმით მომწონს თავი, რომ თუ წარსულში სხვა ბევრი რამ წამართვეს, ყველაზე დიდი სიმდიდრე, ეროვნულობის ნიშანი და ერთადერთი ჩემი რელიგია – ენა ქართული არ დამიკარგავს”(ხალვაში, 2000:560).

ენისა და სარწმუნოების, ენისა და ეროვნების ურთიერთდამოკიდებულებას და ენის უზენაესობას ყოველმხრივ იცავს ფრიდონ ხალვაში წერილში „ჩემო აჭარავ“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 23 დეკემბერი, 1988 წ.). მასში პუბლიცისტი მკითხველს წარმოუდგენს ტრაგიკული სამსაუკუნოვანი ისტორიის დეტალებს, რომელშიც ვლინდება აჭარის მკვიდრთა თავდადება, ეროვნული მრწამსისადმი ერთგულება და თავგანწირვა. წერილში ნათქვამია: „ თხუთმეტ საუკუნეს

წმინდა ერთგულებით ატარებდი ქრისტიანობის მაღალ დროშას და სხვა მომიჯნავე უგანათლებულეს, უძველეს ქართულ მხარეებთან ერთად წინ მიუძღოდი ჩვენს ცივილიზაციას.

ვინაც შეძლო და მოასწრო, აიყარა მამა-პაპათა ცრემლით მორწყული ალაგებიდან, რომ რწმენა წმინდა მოძღვრებისა, რაც მისი ეროვნული მრწამსის სიმაგრედ იქცა, შეენარჩუნებინა, სხვა ქართულ კუთხეებში გადაიხვეწა.

ნახევარზე მეტი მოსახლეობა მაშინდელი აჭარისა ასე წავიდა, ხოლო ვინც დარჩა, ძალით, წამებით აზიარეს უცხო, დამპყრობელ რელიგიას...

დედა ენა კი ვერა და ვერ წაგართვეს. ქართული ენა არ დათმე. როცა ყველა სალოცავი წაგირყვნეს, ენა ქართული, შენს სულში ღრმად ჩაფესვილი და შენი გულის ცეცხლივით აყვავებული, ეროვნული რწმენის ტაძრად იქცა. ამიტომ ვამბობთ დღეს: ჩვენთვის საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის რელიგია ქართული ენაა. ამაში ისიცაა ნაგულისხმევი, რომ ქართულად მოლაპარაკე, ყველგან, რომელ რელიგიასაც უნდა მისდევდეს, ქართველია მაინც” (ხალვაში, 2000:552).

აღნიშნულ წერილს, მკვლევარი იური ბიბილეიშვილი, მონოგრაფიაში „ჭოროხის ხვაშიადი” ასე აფასებს: „ცნობილია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ორი რელიგია ერთ ხალხში მას ორად ხლეჩს, ამახინჯებს ხალხის ეროვნულ მრწამსს და ხელს უშლის ერის კონსოლიდაციას. ამ მოსაზრების ხელაღებით უარყოფა, ალბათ, არ იქნება სწორი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართველის სულიერი სამყარო რამდენადმე განსხვავებული და ამაღლებულია რელიგიურ შეხედულებებს შორის განსხვავებულობაზე, ამის უარყოფაც არ შეიძლება. მაგალითად, ორასი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიაში გაძლიერებული რუსიფიკატორული პოლიტიკის მძვინვარების ვითარებაში ერთმორწმუნე რუსეთმა ვერ გაარუსა საქართველო, ვერ შეუცვალა ეროვნული ორიენტაცია. ქართველის ეროვნული ცნობიერება გამძლე აღმოჩნდა რელიგიურად განსხვავებულ სამყაროშიც. მხედველობაში გვაქვს სამუსლიმანო საქართველოს შეგნებული მოსახლეობა. იაკობ გოგებაშვილი აღტაცებული იყო აჭარელთა ეროვნული ცნობიერების სიმტკიცით და წერდა: „მართალია, აჭარლებმაც

შეიცვალეს სარწმუნოება, მაგრამ ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად და დახეთ, რა ვაჟკაცობით, გამძლეობით და მხნეობით არიან შემკულნი” (გოგებაშვილი, 1990:10).

ფრიდონ ხალვაში აღნიშნულ თემაზე აქვეყნებს წერილს სახელწოდებით „ორი პეშვი მიწა” (გაზ. „აჭარა”, 16 თებერვალი, 1991 წ.), მასში ქართველთა სულიერი ერთობის სიმტკიცეა დადასტურებული. წერილში ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით თურქეთიდან ჩვენებური ესტუმრა აჭარას – ბათუმს. მეორე დღეს ხიხამირში გაემგზავრა თანმხლებთან ერთად. ხიხამირში ერთ ოჯახს ესტუმრა... ბუხართან ჩვენებურად სუფრა იდგა. ზოგიერთმა იქაურმა თურქულადაც მოსინჯა გამოლაპარაკება, რომ ლეოსათვის (საქართველოში ჩამოსვლისთანავე რატომღაც მოუთხოვია ამ სახელით მომმართვეთო) გაეადვილებინათ საუბარი, მაგრამ მეზობელი ქვეყნის მინისტრმაუკმაყოფილოდ გააქნია თავი, – აქ ჩემი მშობლიური ქართული სიტყვის გასაგონად მოვსულვარ, ძალიან გთხოვთ, მარტო ქართული გამაგონეთო.

„იალონზე წამომდგარიყო, ერთობ შფოთავდა.

წარბები შეისრისა, ოდნავ მორცხვად ჩაიღიმლა და ხვამიადი გაგვიმხილა.

– ბაბამ სიკვდილის წინ დამიბარა, თუ იმფერი კაცი გახდი, რომ გურჯისტანში

(საქართველოში) წასვლა შეძელი, იქ ჩემს სოფელში, მამაჩემის საფლავი ნახე, ერთი პეშვი მიწა ახვეტე, ჩამომიტანე და საფლავზე მომაცარეო.

– ჰოდა, რაფერნა ვქნათ ახლა? რაცხაფერ მომეხმაროთნა, მომამეზინოთნა დედის (ბაბუას) საფლავი, რომ ერთი–ორი ჭაჭვი მიწა წევლონა და...

მეზობლების დახმარებით სტუმარმა ეს სურვილი შეისრულა. ერთ ცელოფნის პარკში ცალკე შეახვია კიდეც ორი პეშვი მიწა... მომავალში საკუთარ საფლავზე მოასაყრელად” (ხალვაში, 2000:466).

ასეთი განწყობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველი მწერლის ღრმა გულისტკივილი უნდა გამოეწვია ბროშურას „აჭარა”, რომელიც

თურქეთის ქალაქ იზნიქში გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე თურქეთში მცხოვრებ აჭარელთა სახელით. „ამ ვაიბროშურაში, – წერს ფრიდონ ხალვაში, – ერთგან ვკითხულობთ: „ჩვენ, ეროვნებით თურქეთის რესპუბლიკის აჭარლები, თავს ვალდებულად ვთვლით გავითავისოთ აჭარის ყველა პრობლემა“. დიდი მადლობა – ჩვენებურებო, – უპასუხებს ფრიდონ ხალვაში, – ასეთი თანადგომისა და თანაგრძნობისათვის, მაგრამ „ეროვნებით თურქეთის რესპუბლიკის აჭარლები“ რა გამოთქმაა, სად იპოვეთ, ვინ გიკარნახათ, ვინ აგირიათ გზა–კვალი?

განა ისტორიაში გაგონილა ასეთი ხალხი? სირცხვილია, ძვირფასო ჩვენებურებო, დიდი სირცხვილი!

რატომ გამოვაგონებინოთ ჩვენზე დასარქმევად ამნაირი უისტორიო, უწარსულო სახელწოდება ჩვენი ეროვნული ჩამომავლობისათვის, როცა ვართ შემადგენელი ნაწილი მთელ მსოფლიოში ცნობილი ხალხისა, როგორცაა ქართველი ხალხი. იმ თოთხმეტ ანბანში, რაც დღეს მსოფლიოში მოქმედებს და იხმარება, ერთ–ერთი ქართულია. მარტო ესეც კმარა ჩვენი ენის, ჩვენი კულტურის გამორჩეულად დამოუკიდებლობის ნიშნად”.

შემდეგ მწერალი ერთხელ კიდევ მიუბრუნდება სარწმუნოების საკითხს და შენიშნავს: „მუსლიმანობა, როგორც თქვენს კრებულში წერია, აჭარამ 1627 წლის შემდეგ მიიღო. კეთილი და პატიოსანი, მანამდე, ათას ორასი წლის განმავლობაში, რომელი რელიგიისანი იყავით? ამაზე რატომ ერთი სიტყვაც არ გაიმეტეს კრებულის ავტორებმა? სიმართლე თუა, სიმართლე იყოს ბოლომდე”.

ქრისტიანობისადმი ფრიდონ ხალვაშის დამოკიდებულება დაგვირგვინდა იმით, რომ სიონის საკათედრო ტაძარში 2001 წელს ის დაუბრუნდა მამაპაპისეულ რჯულს და ქრისტიანულად მოინათლა, ნათლია კი უწმინდესი გახლდათ.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ფრიდონ ხალვაშის დაბრუნება ქრისტეს ნათელში ისტორიულ მოვლენად შეაფასა, ხოლო თვითონ მწერალი ასე ამბობს:

„რაც შეეხება ჩემს ნათლობას, ჩემი სურვილით შედგა სამი წლის წინ, სიონის ეკლესიაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით. არც არავისი მრცხვენია და მებათრება იმიტომ, რომ ქრისტიანული რელიგია იყო ქართული მწერლობის დედა. ქართული სიტყვა ქრისტიანობამ გადაარჩინა. ამას წინათ, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოში გაიმართა პრაქტიკული კონფერენცია. იქ წარვსდექი მოხსენებით „სულიერება და სიტყვიერება“. რელიგია მაშინ იქცევა ეროვნულ რელიგიად, როცა წირვა და ლოცვა მშობლიურ ენაზეა. ანთიმოზ ივერიელმაც პირველად რუმინელებს ალოცვინა რუმინულ ენაზე.

ჩვენ, აჭარლებმა, უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს ეს, ნელ-ნელა ყველამ უნდა დავიბრუნოთ წინაპართა სარწმუნოება” (გაზ. „აჭარა“ 5.07.2003).

ფრიდონ ხალვაში ლიტერატურული ესეების აღიარებული ოსტატია. ქართული მწერლობის კლასიკოსის თუ თანამედროვე მოღვაწის შესახებ მის მიერ წარმოთქმული ზეპირი სიტყვა, წერილი და ა. შ. გამოირჩევა საკითხის ღრმა ცოდნისა და მხატვრულ ღირებულებათა შეფასების მაღალი გემოვნებით. ამ შეფასებებში ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული ის ამაგი და დამსახურება, რაც ნიჭიერ მწერალს ხალხის ეროვნული ცნობიერების სამსახურში მიუძღვის. მკითხველი სიამოვნებით კითხულობს ფრიდონ ხალვაშის წერილებს აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, მემედ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, ბესო ჟღენტის, გიორგი სალუქვაძის, ნაზიმ ჰიქმეთის და სხვათა შესახებ. ამ რკალში მოთავსებულ წერილებს ავტორმა „პოეზიის ძახილი“ უწოდა და ერთად შეკრული გამოაქვეყნა წიგნში „სიტყვა და საქმე“ .

წერილში „პოეტის დიდი სიცოცხლე“ ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე შემოქმედება და ორიგინალური პირადი ცხოვრების საგულისხმო დეტალებია გახმიანებული. „ვაჟა-ფშაველა დღესაც თრთოლვით დააბიჯებს ახალი საქართველოს თბილ მიწაზე. არაა ისეთი სახლი მამულში, რომ შინ ვაჟა არ

შევიდეს, არაა ისეთი გული პატიოსანი ქართველისა, რომელშიც მან ბავშვობიდანვე ადგილი არ იპოვოს.

ფშაურ ჩოხაში გამოწყობილმა, ნაბდისქუდიანმა, ხანჯლიანმა, მკერდგაღელილმა, უბრალო გლეხკაცმა ამაყად გადააბიჯა კავკასიონის მაღალ გრებილებს და ვრცელი რუსეთის ველები მოაიარა, მან გაბედულად დაუკაკუნა ევროპის კარებს, კიდეც შეაღო იგი, გადაიარა კარპატები, გაცურა ოკეანე. მას ყველგან გულდიად ხვდებიან, ბინას ამღევენ და სიყვარულით აჯილდოებენ.

ჩარგალი იყო მისთვის მსოფლიო, ახლა მსოფლიო გახდა მისთვის ჩარგალი” (ხალვაში, 1985:57).

ორიგინალურად არის გააზრებული აკაკის შემოქმედება წერილში „აკაკის გული”. მწერალი სწორად შენიშნავს, „იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ძალიან ძნელია დღეს რაიმე განსხვავებული, საკუთარი აზრი გამოითქვას აკაკიზე, მაგრამ იგი, დიდი მგოსანი, ხომ ბუნებასავით უხვი და მრავალფეროვანია” (ხალვაში, 1985:107). სწორედ ამ მრავალფეროვნებაში მიაგნო პუბლიცისტმა აჭარის თემას. აჭარას განსაკუთრებული გულმხურვალებით უყვარს აკაკი და აჭარაც განსაკუთრებული გულმხურვალებით უყვარდა აკაკის.

„აჭარის განთავისუფლებას, - წერს ფრიდონ ხალვაში, - პირველთაგანი მიესალმა და უსაზღვრო სიხარულით შეხვდა იგი...

დღევანდელი აჭარის მკვიდრი რომ ბნელ წარსულში გადაიხედავს, მარტოობისა თუ უსამშობლოობის სულწაბურებულ გულში გამომწყვდეულ მუჰაჯირ თანამემამულეებს წარმოიდგენს, რომლებსაც ობლობაში, მართლაც, სისხლის ცრემლები უღვრიათ, და რომელთაც აჰა, რამდენი ხანია ენატრებათ სამშობლო მხარე - საქართველო.

მკითხველში ეროვნული ცნობიერებს განმტკიცების, ეროვნული სულისკვეთების აღზრდის შორსგამიზნული თვალსაზრისით არის დაწერილი ფრიდონ ხალვაშის წერილი „გალაკტიონის შუქი”. 1982 წელს, როცა ჯერ კიდევ გაბატონებული იყო კომუნისტური იდეოლოგია „ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის ფორმირების შესახებ”, როცა ჯერ კიდევ არ იყო

დათრგუნული ის ძალები, რომლებიც ეროვნულ ენებს ეჭვის ქვეშ აყენებდა, როცა ის-ის იყო მხოლოდ ძალას იკრებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა, ფრიდონ ხალვაში სწორედ ქართული ენის უკვდავებისა და ამ დიდ ეროვნულ საქმეში გალაკტიონის დამსახურებაზე ხმამაღლა აცხადებდა: „ალბათ შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონის ლექსმა უკვდავების სული შთაბერა ქართულ სიტყვას. მან განაახლა და გაამდიდრა ქართული ენა და აითვისა მისი ახალი წიაღისეული სიმდიდრენი. როცა გალაკტიონის პოეზიას ეცნობი, რწმუნდები, რომ ეს ენა, რომლითაც პოეტური ხელოვნების ასეთი ძეგლი აიგო, უკვდავების ენაა.

ქართულ ენას გალაკტიონმა დიდი ავტორიტეტი მოუპოვა, მისი გამოუღეველი რეზერვები აამოძრავა, მისი სილამაზე, მისი მუსიკალობა, მისი გამომსახველობითი დაუშრეტელობა ახალი სიმაღლით გახსნა და მისი მშვენიერება ყველას აგრძნობინა, ამიტომ გალაკტიონის პოეზიამ ქართულ ენას, შოთას, საბას, ილიას, ვაჟას, აკაკის ენას სამარადისო სიცოცხლის ახალი უნარი შემატა, საოცარი დამოკიდებულება მოუპოვა და მომავალს ჟამთა ქარიშხლებში გაძლების რწმენა შთაბერა.

დიდი ბედნიერებაა აზროვნებდე, მეტყველებდე და წერდე იმ ენაზე, რომელ ენაზეც ჩვენს დროში ჯადოსნურ, მომხიბვლელ და უკვდავ შედეგებს ქმნიდა დიდი გალაკტიონი” (ხალვაში, 1985:58).

ფრიდონ ხალვაშმა, როგორც მოღვაწემ, დიდი სამსახური გაუწია ქართულ კულტურას გალაკტიონის გამოსვლების ფირზე აღბეჭდვით. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „ხშირად გაიგონებთ ახლაც, გალაკტიონი ვერ კითხულობდა თავის ლექსსო. სწორედ ბათუმში, ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენ მოწმენი ვიყავით გალაკტიონის არტისტულ-ორატორული სწორუპოვრობისა. ჩვენ ბედნიერება გვერგო იმ სადამოს გალაკტიონისათვის სიტყვა გვეთხოვა. ჩვენ სამაადისოდ დაგვრჩა იმის ბედნიერი გრძნობა, რომ ვმონაწილეობდით იმ სადამოს ფირზე გალაკტიონის ხმის ჩაწერაში. ეს დაუოკებელი. კოსმიური ხმები დიდი პოეტისა, ჩვენ რომ მაშინ შევინახეთ აჭარის რადიოს საშუალებით დღეს საქართველოს უკვდავ საგანძურებს შემატებია (ხალვაში, 1985:60).

როგორც წესი, ფრიდონ ხალვაში თავის პუბლიცისტურ წერილებსა და ესეებში, აჭარასთან მიმართებაში განიხილავს დიდი ეროვნული მოღვაწეების სიტყვას და საქმეს. გამონაკლისი არც გალაკტიონი შეიძლება იყოს, მით უმეტეს, რომ გალაკტიონმა შექმნა უნიკალური ლექსების კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. ამასთან დაკავშირებით ფრიდონ ხალვაში წერს: „მე მინდა ვთქვა, რომ გალაკტიონი ჩვენთვის, აჭარისთვის განსაკუთრებით ახლობელი და შინაურია. ასევე ახლობელი იყო გალაკტიონისთვის ჩვენი ბათუმი, მთელი უძველესი და უმშვენიერესი მხარე“ (ხალვაში, 1985:60).

ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკას ახალი ჟანრი შეემატა „ჩანაწერებიდან ამოწერილები“ სახით („ლიტერატურული საქართველო“ 7–13 აპრილი, 2000 წ.) ეს არის ცხოვრებისა და შემოქმედების პროცესში მწერლის ფიქრების, განცდის მინიატურული გადმოცემები. მას ერთი თემატიკა არა აქვს, თითქმის ყველაფერს მოიცავს – ეროვნულ საკითხებს, ბუნების სიყვარულს, პოლიტიკას, ზნეობას, შტრიხებს მწერლის ავტოპორტრეტისათვის, მხატვრული აზროვნების თავისებურებებს, დეტალებს დიდი მწერლის ცხოვრებიდან და ა.შ.

მხატვრული შემოქმედების ბუნებაზე ჩაფიქრებულ მწერალს ჩაუწერია: „დიდი მწერალი პატარა ღმერთია, ისიც თავის ადამს და ევას ქმნის. თავის მიერ გამოგონილი, შექმნილი სიცოცხლეებით დასახლებულ სამყაროებს თავის ნებაზე მორთავს“ (ხალვაში, 2013:141).

ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკა გამოირჩევა ავტორის მრავალმხრივი და ღრმა ერუდიციით, ფართო თვალსაწიერით და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარით. არ დარჩენილა იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი სფერო, რომელშიც მწერალს თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას, იქნება ეს ქვეყნის ისტორიული წარსული, ლიტერატურა, თეატრი, მხატვრული თარგმანი, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა და სხვა.

VI თავი

ეროვნული ცნობიერების საკითხი აჭარაში ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების მიხედვით

უდიდესი და უძველესი ქართული მწერლობის სულს, მის მრწამსს, ყოველთვის პატრიოტული თემატიკა წარმოადგენდა.

სწორედ ამ მაღალმა საკაცობრიო გრძნობამ გამოატარა ქართველი ხალხი უმძიმესსა და ურთულეს ისტორიულ გზაზე, სწორედ მან წარმართა სული და ცხოვრება აჭარელი ქართველობისა - სრულიად საქართველოს ღვიძლზე-ღვიძლი და უდრეკი შვილებისა.

„აჭარა - ისტორიულად მრავალი ტკივილით აღბეჭდილი ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე - მთავარი სამზერი და გადმოსახედია, საიდანაც, დანარჩენი საქართველოს და მთელი სამყაროს ცოდვა-მადლიანი ბედი უნდა იკვლიოს მწერალმა. ეს პროცესი კი მით უფრო საინტერესოდ, ღრმად და კეთილშობილად მოჩანს, როცა მწერალი ფრ.ხალვაშია. სამშობლოს ჭირის და ლხინის მოზიარე, ავ-კარგიან თემებს მახვილი თვალით და მწერლის უტყუარი გუმანით მოყურადე; მოქალაქეობრივი პატიოსნების და ღრმა მხატვრული განცდის მწერალი. ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების შთაგონება მშობლიური აჭარის ოქროს ლაჟვარდშია შობილი. აჭარის ნისლიანი და შეუვალი მთებიდან მოედინება მისი ნაწერები. იგი მოკრძალებითა და გაოცებით უვლის გარს ხიხანის ძველი ციხის ქონგურებს, მღელვარებით შეჰყურებს ლაზიკის ისტორიული სანახებიდან დაწყებულ შორეთს, ჰქმნის ბუნების იდილიურ სურათებს. ასე ივსება მისი სიტყვა სიკეთით, სიყვარულით, სასოებით თავისუფალი აჭარის მომავალზე ოცნებით, რასაც განუმორებლივ თან ახლავს ღრმა სევდა ჭოროხგაღმა დაკარგული მშობლიური მხარის გამო” (ხალვაში, 1976:5).

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების მთავარი თემა სამშობლოა, რომლისადმი სიყვარულსა და ერთგულებას, მისი უკეთესი მერმისისადმი ზრუნვას მწერალი ხედავს არა მარტო სამშობლო კუთხის - მრავალტანჯული

აჭარის წარსულის სახელოვანი ფურცლების გაცოცხლებასა, წინაპართა საგმირო საქმეებსა და თავგანწირვაში, არამედ გარდასულ დღეთა გვერდით დღევანდელი დღისა და თანამედროვე ცხოვრების ისე დახატვაში, რათა უფრო ცხოველისმყოფელად შეგვეძლოს ვადიდოთ მშობელი ქვეყანა, ერი, ხალხი.

ყოველივე ამას კი მწერალი აღწევს წარსულისა და თანამედროვეობის პატრიოტული კუთხის შეპირისპირებით, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების თემატიკისა და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციისათვის.

ფრიდონ ხალვაშის პატრიოტული პროზა, ბედის ირონიით თუ სხვა ისტორიული უკუღმართობით საზღვარს მიღმა დღემდე დარჩენილ მოძმეებს, მათ ყოფას, მათ ძეგლებს და მშობლიური ენისადმი მათ ერთგულებას, თავდადებას უმღერის.

აჭარას, მის ბედუკუღმართ წარსულს, მის გმირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ - ფრიდონ ხალვაში არასოდეს არ ივიწყებს. საქართველოს ძველი, მშვენიერი მხარის აჭარის წარსული და დღევანდელია, მისი სოფლის ყოფა, სიხარული და სევდა, წარსულის გადმონაშთებთან შეურიგებლობა, უცხოეთში გადახიზნულ ნათესავთა სიშორავის სიმწვავე, - აი ის მთავარი, რაც ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებას ასაზრდოებს.

ფრიდონ ხალვაშის სიყვარული აჭარისადმი ეს იგივე საქართველოს სიყვარულია. კიდევ მეტი, შემოქმედს აჭარა მიტომ უყვარს ასე თავდავიწყებით, ასე ფანატიკურად, რომ იგი მუდამ ერთგული იყო თავისი დედის - საქართველოსი და მარტოდმარტო, დაპყრობილი, და-ძმებს მოცილებული არასოდეს კარგავდა მასთან კვლავ დაბრუნების იმედს, არ კარგავდა მხნეობას, არ ნებდებოდა მტერს და უცხოობაშიც, უამრავი სიცოცხლისა და სისხლის ფასად შეინარჩუნა ქართველობა და დედაენა.

ეროვნული პრობლემატიკა საქართველოში, ტრადიციულად, ქრისტიანობას უკავშირდება. ილია მართალი ამასთან დაკავშირებით წერადა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს

ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან”.

პირველი მხატვრული ძეგლი, რომელიც დროს გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია, არის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება” - განმსჭვალული ქრისტიანობისადმი თავდადებისა და ერთგულების სულისკვეთებით. ამის შემდეგ განვლილი და დღემდე მოტანილი ქართული ცივილიზაცია ქრისტიანული მრწამსით არის ნასაზრდოები. მისი მხატვრული გააზრების, განცდებისა და შეფასებისათვის არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებით შრომა დახარჯულა, მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა დვანლი პოეტის, პროზაიკოსისა და დრამატურგის, ფრიდონ ხალვაშისა.

სარწმუნოების თემა ფრიდონ ხალვაშისათვის მხოლოდ ლიტერატურის თემა არ არის. სარწმუნოებათან დამოკიდებულებაში ფრიდონ ხალვაშის მთავარი ორიენტირი ეროვნული ღირებულებანია. წერილში „კარის შეღება პროზაში” ფრიდონ ხალვაში წერს: „ქრისტე არ ყოფილა ქართველი, მაგრამ ქართულად ამეტყველებული ქრისტიანობა ჩვენს ეროვნულ რელიგიად იქცა. ჩვენი მწერლობაც ამ რელიგიიდან ამოიზარდა (ხალვაში, 2000:529). „ომრის” ავტორის მიხედვით, „მთელი ათასხუთასი წელიწადი” ქრისტიანული აჭარა ღირსეულად მონაწილეობდა საერთო ეროვნული კულტურის მშენებლობაში, მაგრამ „მახვილმა ყიამეთურმა მოწოლამ მოგვაბრუნა არჩეული გზიდან სხვა გზისკენ. იმ გზამ კი საკუთარ ხალხს კინაღამ მოგვკლიჯა”. პირველ რიგში ენას და სარწმუნოებას შეუტია, ქართველ კაცს ქართულ ენაზე ლოცვის უფლება მოუსპო:

„მან ლოცვა-ნამაზი ჩემს ენაზე არ მათქმევინა.

რაც ნათელი მაქვ, უთენებელ სულ ათელინა”.

1878 წელს აღსდგა ისტორიული სამართლიანობა. აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს. მას შემდეგ განვლილი 130 წლის მანძილზე აღორძინების გზით მიდის აჭარა, მაგრამ ფრიდონ ხალვაშის მწერლური გული და გეში სიმშვიდეს ვერ პოულობს. ეს გულისტკივილი კარგადაა გამოხატული ახმედ მელაშვილთან დიალოგში („ომრი”).

„ფრიდონ ხალვაში: მართალია, მე ქართულ საქართველოში ვარ, შენ - თურქულ საქართველოში ხარ, მაგრამ ორივე ერთნაირი უბედურებით დაბნეულები, ნელ-ნელა ვფხიზლდებით, შინ ვბრუნდებით. მე მარტო ჩემს თავს ვერ ჩავთვლი დაბრუნებულად, მთელი ჩემი კუთხის ერთად უნდა დავბრუნდე. კუთხე კი, ჯერ ნამდვილი სულიერი დაბრუნებისთვის მზად ვერაა.

ახმედი: (ღრმა ფიქრის მერე) - მუსლიმანი ქართველები და ქრისტიანი ქართველები, იქ საქართველოში, ერთმანეთთან კარგად ვერ ხართ?

ფრიდონ ხალვაში: როგორ თუ ვერ ვართ. ძალიან დიდებულად ვართ!

ახმედი: აბა ორი ჰუქუმეთი (მთავრობა) რათ გინდებიან - ერთი თბილისში, ერთიც - ბათუმში?” (ხალვაში, 2010:188).

„ამ შეკითხვამ ჩამაფიქრა” წერს ფრიდონ ხალვაში და პასუხს მკითხველს მიანდობს (ალბათ).

ფრიდონ ხალვაშის მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა თავისი თემატიკით, ესთეტიკური პრინციპებით, მამულიშვილური და მამა-პაპური, ისტორიული აღმსარებლობითი მრწამსით.

ფრიდონ ხალვაში ქრისტიანული მრწამსის შემოქმედია. მისი პოეტური ქმნილებებისა და რომანების პერსონაჟები ქრისტიანული მრწამსით ცხოვრობენ. ამის საუკეთესო ნიმუშად გვესახება ფრიდონ ხალვაშის რომანები „ჩემი და შენი”, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა”.

„ჩემი და შენი” საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იწერებოდა და პირველ რიგში, მაშინდელ ჭირ-ვარამს დასტრიალებდა თავს მწერლის ფიქრი და განცდა, რომელიც მემკვიდრეა წარსულის ეროვნული ტრადიციისა. სწორედ ეროვნული ტრადიციების მიხედვით მოქმედებს და აზროვნებს ხალილი. ეს ტრადიციები პირველ რიგში, ქრისტიანული ტრადიციებია, რომელიც ყოველთვის ასაზრდოებდა ქართველი მამულიშვილის ცნობიერებას. ეს ძალა მწერლის წარმოდგენით უკვდავია. საბჭოთა ხელისუფლება მის უფლებელყოფას ესწრაფოდა, რაც ისეთივე დანაშაული იყო, როგორც

ქრისტიანული ტაძრების დაშლა-დარბევა მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში. რომანის გმირი კი ჯიუტად იცავს ქრისტიანულ ტრადიციებს და თავმოწონებით აცხადებს: „პირველი ეკლესია პირველმა ქრისტიანებმა სწორედ აჭარაში ააგეს“. ქრისტიანული მრწამსის პოზიციებიდან აფასებს ხალხი თავის ურთიერთობებს ადამიანებთან. ამ მხრივ მრავლისმთქმელია ეპიზოდები ურთიერთობისა ბასკ გოგონასთან, „ბასკი გოგო წასვლას რომ მოიწადინებდა, კვლავ გადამწერდა პირჯვარს. მეგონა, შიგნიდან ვნათდებოდი, იმნაირი იყო ის გულმადლიანი ბასკი გოგო. ტკივილი დამავიწყდა. იყო სუფთა, ღრმა, უებარი მისი ციური ალერსი. მეგონა, ოდესღაც წართმეული ქრისტეს რწმენაში აღმადგინა, ჩემს უძველეს ტაოკლარჯეთში დანგრეული ტაძრები კვლავაც აღმიშენა, ყველა დაკარგული ერისშვილი დამიბრუნა“ (ხალვაში, 1996:229).

ქრისტიანული მოტივების სიუხვით გამოირჩევა ფრიდონ ხალვაშის რომანი „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“. რომანის მთავარი გმირი შუქრი შავაძე ეროვნული ცნობიერებით გამსჭვალული პოეტი და მწიგნობარი მოღვაწეა. იგი ისტორიული ცნობიერებით აზროვნებს, ყველაფერში ზოგადქართულის კვალსა და ნიშანს ეძებს და პოულობს. მისი სიყვებია: „აჭარაში ზემოთის სოფელში, ახლაც ბლომად იპოვება უძველესი ვერცხლის ქართული, ქრისტიანული ნაკეთობები, სამკაულები და საოჯახო ჭურჭლის სახმარი ნივთები“ (ხალვაში, 2000:197).

სევდისა და სინანულის გრძნობით ხატავს მწერალი სარწმუნოებაშეცვლილი მესხისა და აჭარელი მეგობრების ლოცვის ეპიზოდს: „დგას ორი ქართველი - მესხი და აჭარელი შოთას, ტბელის და სხვა უკვდავთა ახლობელთა მიწათ შვილნი, ნათესვნი იმ სულმნათთა ოპიზარის, ხანძთის, სხალთის, ტბეთის, შატბერდის აღმამენებელნი, პირველქმნილ მშობლიურ მადლიან სიტყვათა პირველნი მთქმელნი, მოუდრეკელნი, მაგრამ ულმობელი, გაუთავებელი, უსაშველო დაწოლით მაინც გაბზარულ-გატეხილნი. სულში, პირში, ხახაში დამპყრობლის რელიგიაჩაჩრილნი... დგას ორი ძველი

ქართველი და თავის მშობლიურ სალოცავზე ზურგშექცეული იმუხლება”(ხალვაში, 2000:177-178).

ფრიდონ ხალვაში მშობლიური რუდუნებით დასტრიალებს თავს მისი ხალხის სულის მოძრაობის ისტორიას და ერთგან შენიშნავს: „გამუსლიმანებულმა ჩვენებურებმა ჯვარი მაინც დაივიწყა: ხეს ხვეწავს, ძაფით ქსოვს თუ ჭადს აკრავს ყოველთვის ნახატ-ნახაზებში, სტიქიურად ჩახლართულ ფიგურებში შემაჯამებელი, გამაერთიანებელი, ცენტრალური მაინც ჯვარია” (ხალვაში, 2000:125).

ეროვნული ცნობიერების საკითხის განსაზღვრის საინტერესო მცდელობას გვთავაზობს ფრიდონ ხალვაში „ომრში”, სადაც ასახულია ოსმალეთის იმპერიის ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარის მდგომარეობა საბჭოთა რეჟიმის ფონზე.

ავტორის ბავშვობისდროინდელი მოგონებებიდან აშკარად ჩანს, თუ რა უარყოფითად იმოქმედა ძირძველ ქართველთა ეროვნულ ფსიქიკაზე იმპერიულმა პოლიტიკამ, რომელიც ძირითადად რელიგიის ძალდატანებით შეცვლაში გამოიხატა: კერძოდ, „ქართველი ვარო, - ამის თქმა ცოდვად ითვლებოდა” (ხალვაში, 2010:33). „გაქართველება” და „გაგიაურება” სინონიმურ სიტყვებად იქცა; როდესაც მწერალმა მოწაფეობის ადრეულ წლებში, ხოჯასთან უსიამოვნო შემთხვევის გამო, თავი დაანება მედრესეში სიარულს, სოფლის ერთი დიდინენენესგან საყვედური მიიღო. ვიმოწმებთ ნაწყვეტს:

„- რა ქენ ნევ, ნევ, გაგიაურდი? გაქართველდი?! შენ მაი არნა ქნა. ჰო, ნევ, ჰო...

არადა, გაგიაურება, როლის სინონიმადაც, ჩვენდა საუბედუროდ, „გაქართველებაც” იქცა, მართლა მეწადა” (ხალვაში, 2010:10).

ზემოთქმულთან მჭიდრო კავშირშია ფრიდონ ხალვაშის დაკვირვება კუთხის მეტყველებაში დადასტურებულ სიტყვებზე: „გადამ(ი)ქართულდა” და „ნაქართლი”:

„გადამიქართულდა” - ამ სიტყვით გამოხატავენ იქაური ჩვენები გადავიწყებას” (ხალვაში, 2010:178).

„გადამქართულდა, ესე იგი - გადამავიწყდა, გადამელია, გადამეკარგა ჩემს ქართველობასვითო” (ხალვაში, 2010:44).

„მამაჩემი, ხანდახან ამა თუ იმ... ისტორიულ ადგილს „ნაქართლს” ეძახოდა. ნაქართლი! ესე იგი, ქართველობის ნამყოფი, ქართველი ნამოსახლარი ადგილიო” (ხალვაში, 2010:44).

- ისინი, - ქართველები... ჩვენ, ჩვენ ვინა ვართ, ბაბი? - შევკითხვივარ.
- ვინ ვართ? რა ვიცი, ვინ ვართ, - მუსლიმანები!

კითხვაზე: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვართ ქართველები თუ არა?” მწერალი პასუხად იღებს:

- ვიყავით ქართველები, მარა მემრე მუსლიმანები გავხდით “(ხალვაში,2010:45).

წარმოდგენილი მასალა აშკარად მეტყველებს, როგორი ღრმა კვალი დატოვა თურქ დამპყრობელთა მცდელობამ, რელიგიის ძალით ეროვნება წაერთმიათ დაპყრობილი კუთხის მოსახლეობისათვის. „დღესაც ვერ გამოსულა აჭარა მთლიანად იმ უბედურებიდან, რამაც მას თავისი თავის ცნობის გრძნობა და ეროვნულობის მოთხოვნილება წაართვა” (ხალვაში, 2010:44).

„ქართულ მუსლიმურ ოჯახში აღზრდილი” და „ნება-სურვილით ქართულ მართლმადიდებლობაში დაბრუნებული” მწერალი შენიშნავს, რომ საქართველოს სიყვარული მუსლიმანმა ნენემ ასწავლა, რომელიც ქართული სიტყვით მიმართავდა ღმერთს, ამიტომ „მის ლოცვას მარტო ქრისტე თუ გაიგონებდა” (ხალვაში, 2010:170). მოყვანილი ამონარიდი მოწმობს, რომ მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობისა, მუსლიმანობამ ისე მაინც ვერ გაიდგა ფესვი აჭარაში, რომ დედაენობრივი და ენობრივ-ეთნიკური იდენტობა წაეშალა.

სწორედ ენამ გადაარჩინა იძულებით გამუსლიმანებული ქართველი და შეუწარჩუნა ფსიქოლოგიური ერთობა ქრისტიან საქართველოსთან.

აქვე, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ მწერლის მოგონება: როდესაც თურქეთის საქართველოდან მომავალმა პოეტებმა წყაროსთან შეისვენეს, მათ საუბარს ყური მოჰკრა პატარა ჩვენებურმა და იქვე მაღლა, ყანაში მომუშავე დედას გასძახა: „ნევ, ისე გავს (ისე ჩანს), ჩვენებურა ლაპარიკობენო“; ქალმა თავსაბურავი შეისწორა და მორიდებით მიიპატიჟა პოეტები: „მობრძანდით პაწახან, ჩვენც თქვენი ვართო“ (ხალვაში, 2010:198).

1978 წელს, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება-შემოერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ფრიდონ ხალვაშმა გამოსცა ლექსების კრებული სათაურით: „ასი მზე დედის გულისა“, რომელშიც დროთა უკუღმართობით დაშლილი, მაგრამ „ქართული ენით შეკრული“ სამშობლოს სახე წარმოადგინა. ქართულ სიტყვას მონატრებული ჩვენებურის სევდიანი და მოლოდინიანი განცდაა გამოხატული მის ლექსში: „მითხარ როგორაა მემლექეთი“....

ქართულმა სკოლამ, ქართულ კლასიკურ მწერლობასთან ზიარებამ სასიკეთო გავლენა იქონია ახალი თაობის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებაზე. როგორც მწერალი იხსენებს, რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, აჭარის სკოლების უფროსკლასელებმა სოფელ-სოფელ დაიწყეს ჩაწერა-შეგროვება, თუ ადგილობრივ სამეტყველო ცოცხალ დიალექტში ვეფხისტყაოსნური რომელი სიტყვები იყო შემორჩენილი. დადგინდა, რომ „ყველა კუთხესთან შედარებით, რუსთაველის მიერ გამოყენებული სიტყვები (ახლანდელ მეტყველებაში) ყველაზე მეტი აჭარულში აღმოჩნდა“ (ხალვაში, 2010:69), ცნობილი ფაქტია, რომ რამდენიმე საუკუნით საერთოქართველურს მოწყვეტილმა აჭარულმა დიალექტმა თურქულენოვან გარემოცვაში დააკონსერვა და თითქმის უცვლელად შეინახა ადრინდელი პერიოდის ენობრივი ვითარება, თუმცა ამავე დროს, თავიდან ვერ აიცილა თურქული ლექსიკური ნასესხობანი, რაზეც ავტობიოგრაფიული რომანის სახელწოდების წარმომავლობაც მეტყველებს(ნიჟარაძე, 1957:156).

ეროვნული მწერლობის ცოცხალ კლასიკოსებთან ურთიერთობამ და დედათბილისთან სიახლოვემ „კიდევ უფრო შეაყვარა“ პოეტს თავისი „დარდიანი კუთხე“, შთააგონა, „აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვით“

როგორ ემსახურა ერის გამაერთიანებელი იდეალებისათვის”. მისი პოზიცია გამოხატულია ახალდაარსებულ გაზეთ „მთიელების” შეფასებაში: „ეს გაზეთი... ძალიან თანადროული (აქტუალური) უნდა იყოს. მან უნდა ჩვენებურთ უფრო ნათლად, სიყვარულით, უფრო მშობლიურად... მოუთხროს და აუხსნას, თუ რა მადლი და ხიბლი ძევს ჩვენს წინაპრულ რწმენაში, რომლის ძეგლიც სხალთაა და რომელმაც შეინახა ქართველი ეროვნულობა - ჩვენი კაცობის ბაჯაღლო ბეჭედი” (ხალვაში, 2010:225).

ფრიდონ ხალვაში საგანგებოდ მსჯელობს მშობლიური კუთხის სიყვარულზე, როგორც ზოგადეროვნული ცნობიერების საფუძველზე, ერის მთლიანობის დაურღვევლობის ფუნდამენტზე, კერძოდ, ავტორის აზრით, მშობლიური სოფლის თუ კუთხის (ამ შემთხვევაში - აჭარის) სიყვარული სრულიად საქართველოს სიყვარულად ზოგადდება. „შენი კუთხური, ერთი ჭაჭვი (პეშვი) სიკეთე ეროვნულში ალაღად თუ ჩაუმატე, სამშობლო თავისი ხალხის მთლიანობის მადლით მაგრდება, მაღლდება, ლამაზდება. შენც შენი კუთხიდან შემატებული ცრემლით და ერთგულებით მემლექეთის ბატონ-პატრონი ხარ” (ხალვაში, 2010:31).

მზარდი ეროვნული თვითობის ამსახველია აჭარაში „მოულოდნელად” გაჩაღებული სახელების გამოცვლა, „ანუ უკეთ, რომ ვთქვათ, სახელების დაბრუნება-აღდგენა”, რასაც კვალდაკვალ მოსდევს მამულ/მამია ვარშანიძის მრავლისმთქმელი პოეტური სტრიქონი: „ჩემი სახელი სამას წელიწადს ტყვედ ჰყავდათ თურქებს...”

მოსკოვში ყოფნისას თურქი პოეტის - ნაზიმ ჰიქმეთის შეკითხვაზე, რატომ იცვლით სახელებს აჭარაშიო? ბ-ნ ფრიდონს უპასუხია: - კი არ ვიცვლით, სახელებს ვიბრუნებთო, რითაც გამოხატა სწორი საზოგადოებრივი პოზიცია ძირეული ქართული და ქრისტიანული მრწამსის ამსახველი სახელების აღდგენის საკითხში.

ამაღლებული ქართველური სულისკვეთების გამომხატველია ქვეყნის ერთიანობის განცდა, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მწერალს მოსვენებას არ აძლევს სადღაც ამოკითხული სიტყვები აჭარა-

მესხეთის ერისთავის, სელიმ ხიმშიაშვილისა, სიკვდილის წინ რომ უთხრა ჯალათს: „ჩემს სხეულს, რომ ჩემი თავი მოაცილოთ, ეს ძნელი არაა, მაგრამ საქართველოს სხეულს აჭარა არასოდეს მოსცილდებაო! (ფრ.ხალვაში, 2010: 90). ფრიდონ ხალვაში ასევე არ ივიწყებს პოეტ გიორგი ლეონიძის სევდანარევ სიტყვებს თურქეთის საზღვრებში დარჩენილ „გაღმეთზე“, ათასჭირგამოვლილ ტაო-კლარჯეთზე: „ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...“ (ხალვაში, 2010:142). საზოგადოებისთვის ცნობილი ფაქტია, რომ გოგლა თავს ძველ იმერხეველად თვლიდა.

თურქი მესხების შესახებ მსჯელობისას ფრიდონ ხალვაში მიდის იმ დასკვნამდე, რომ საკუთარი ქვეყნის წარსულისა და ისტორიის არცოდნა მიზეზი ხდება ქვეყნის ეროვნული ტრაგედიისა: „მუსლიმ ქართველს, სამწუხაროდ, ქრისტიანი მოძმე ხშირად თათარს ეძახის... მდაბიოთა ამ საბედისწერო მიმართვამ (როცა უწიგნურნი რელიგიას, ე.ი. ისლამს, შეცდომით, ეროვნებადაც თვლიან) ტრაგიკული ცოდვა გამოიწვია (ხალვაში, 2010:240).

ფრიდონ ხალვაშის პოეტურმა, პროზაულმა და პუბლიცისტურმა იდეებმა პრაქტიკული განხორციელება ჰპოვეს ავტორის პირად ცხოვრებაში. 1999 წელს ფრიდონ ხალვაში დაუბრუნდა ისტორიულ სარწმუნოებას და ქრისტიანულად მოინათლა. ნათლიები გახლავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და ცნობილი მწერალი თამაზ წივწივაძე. უწმინდესმა და უნეტარესმა ფრიდონ ხალვაშის დაბრუნება ქრისტეს ნათელში ისტორიულ მოვლენად შეაფასა, რომელმაც მწერალს, 1999 წელს, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაბრუნების გამო, „აჭარის ტკივილი და სიხარული უწოდა“. ხოლო თავად ფრიდონ ხალვაში აცხადებს „სამშობლოს სიყვარულში ბევრი ვთქვი, ბევრიც დამრჩა სათქმელი, რომელსაც მომავალი თაობები შეავსებენ.

75 წლის სიონში მოვინათლე. ნათლია უწმინდესი და უნეტარესი ილია II იყო. ეს იყო ჩემი მეორედ მოსვლა, მეორედ დაბადება. მას შემდეგ თავს უკეთესად ვგრძნობ. ბევრი რამ სიღრმისეულად დავინახე, მეტად განვიცადე,

ვფიქრობ, რომ სამშობლო და მრწამსი ყველაფერზე წინ დგას. მრწამსი ქრისტიანობისა.”

ასეთია ფრიდონ ხალვაშის ეროვნული მრწამსი. მრწამსი შემოქმედისა, რომელიც აჭარიდან ეთაყვანება მთელ საქართველოს. მისი მხატვრული სიტყვის ყოველი დეტალი სწორედ ეროვნული სულისკვეთებითაა განმსჭვალული და მისი გმირის სიტყვები „რას მიქვიან მუსლიმანი თუ ქრისტიანი, თუ სულით ქართველი ხარ ესეიგი ქართველი ხარ“ (ხალვაში, 2010:189), სწორედ ქართველობაა მისთვის საფუძველთ საფუძველი, მაგრამ მშობლიური კუთხის სამსწლოვანი ტკივილის ნელ-ნელა დაამება და ძირძველი რელიგიისაკენ შემობრუნება ქვეყნის ძლიერების საფუძველად მიაჩნია. ამას პირადი მაგალითითაც ამყარებს მწერალი და სწორედ აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვის მზრუნველ მოამაგედ გვევლინება.

ზოგადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის მიზნად დავისახეთ გვეკვლია ფრიდონ ხალვაშის პროზის ძირითადი ასპექტები. ვინაიდან ფრიდონ ხალვაში ორ სხვადასხვა პოლიტიკურ ფორმაციაში ცხოვრობდა საინტერესო იყო, რამდენად გამოვლინდა მის პროზაში ის ძირითადი ტენდენციები, რაც მშობლიური კუთხის პრობლემატიკას შეეხება. მნიშვნელოვანი იყო გამოკვეთილიყო ის ძირითადი ასპექტები, რომლის მიხედვითაც განხორციელებოდა კვლევა. ამის საფუძველზე იქნა გამოყოფილი

შესაბამისი თავები და ქვეთავები, რითაც სისტემაში იქნა მოყვანილი ნაშრომის თანმიმდევრობა. ცალკეული საკითხების გამოწვლილვითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა თითოეულ მათგანთან მიმართებაში გაგვეკეთებინა შესაბამისი დასკვნები, რაც საბოლოო დებულებებამდე მიგვიყვანდა. განხილვის შედეგად შესაძლებელი გახდა ერთგვარად შეგვეჯერებინა ჩვენი მოსაზრებები, ჩამოგვეყალიბებინა ფრიდონ ხალვაშის პროზისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებანი.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ფრიდონ ხალვაშის პროზის თემატიკა, რომელიც მრავალფეროვანი და საინტერესოა. მის მხატვრულ ნააზრევში ვხვდებით როგორც ზოგადქართულ, ასევე აჭარის ისტორიული წარსულის ამსახველ მოვლენებს, რომელთაც ამრავალფეროვნებს პერსონაჟთა განსაკუთრებული ხასიათები და შეხედულებები. აქტუალურია მწერლის თანამედროვე ცხოვრების გამოწვევები და მათი როგორც მხატვრული, ასევე პუბლიცისტური გააზრება.

შესავალ ნაწილში შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა მწერლის შემოქმედების ის ძირითადი მიმართულებები, რამაც განაპირობა საკვლევი თემატიკით დაინტერესება. აქვე გამოვკვეთეთ თემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი მიზნები. განხორციელებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრიდონ ხალვაშის ყოველთვის ცხოვრების შუაგულშია. ფეხს უბამს საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, არჩევს აქტუალურ და საჭირბოროტო თემებს, რითაც მკითხველის სულამდე დაჰყავს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა-გარდატეხათა კეთილისმყოფელი გავლენა.

ფრიდონ ხალვაშის, როგორც მწერლის დებიუტი დიდი სამამულო ომის წლებს დაემთხვა. საქართველოს მრავალტანჯული კუთხის - აჭარის პირმშო მწერლის შემოქმედება, რომელსაც იმთავითვე თავისი ქვეყნის გმირული ტრადიციები და სოციალისტური მშენებლობის თემატიკა ასაზრდოებდა, მებრძოლი პატრიოტიზმის პოზიციებზე დადგა.

ფრიდონ ხალვაშის, როგორც მწერლის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მისი ნაწერები ეპოქის ატრიბუტია და თავისი მართალი სიტყვით უპირველესად ემსახურება თავისი დროის პრობლემებს.

შემოქმედს მომადლებული აქვს კოლორიტის გამახვილებული გრძნობა და მოვლენების მძაფრად განცდის უნარი. მისი შემოქმედება თავისი შინაარსით, პათოსით, იდეით არასოდეს არ ყოფილა ვიწრო და პირადული ან ელიტური. მისი შემოქმედება ოსტატურად გადმოგვცემს მშობლიური მხარის, აჭარელი ქართველობის სულიერ მისწრაფებასა და ლტოლვას, ფიქრებსა და ზრახვებს, მიზანსა და ოცნებას, ცხოველმყოფელად გამოხატავს ჭეშმარიტი ქართველების სამშობლოსადმი სიყვარულს, მათ დიდ მამულიშვილობას, მაღალ პატრიოტიზმს. ფრიდონ ხალვაშმა კარგად იცის საქართველოს ისტორია და არაერთხელ მისწვდა ჩვენი წარსულის სისხლიან ფურცლებს. წარსულის გახსენება მწერალს სევდიანი მოგონებების აღსაძვრელად კი არ სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ, არამედ ამ თემატიკის ნაწერებში ჩანს მისი აქტიური პოზიცია იმათ მიმართ, ვინც აჭარას საუკუნეთა განმავლობაში გაუგონარი მეხთატეხა მოუვლინა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გავამახვილეთ ყურადღება ფრიდონ ხალვაშის პროზის ძირითად ასპექტებზე. მას მოუწია ორ სხვადასხვა ფორმაციაში ეცხოვრა და ემოღვაწევა, მაგრამ მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, მისთვის უმთავრესი მაინც მშობლიური კუთხიდან დანახული მთლიანი ქვეყანა იყო. მის პროზაში მთელი სიმწვავით იქნა წარმოჩენილი ის ტკივილი, რაც მის კუთხეს, მის ქვეყანას აწუხებდა. ფორმაციების შეცვლამ ღირებულებათა გადაფასება გამოიწვია, მაგრამ მისთვის მთავარი ღირებულება უცვლელი დარჩა. უკვე ჭარმაგი მწერალი თავის ნაწერებში სხვაგვარ აქცენტებსაც გვთავაზობს, საკუთარი ცხოვრების შეფასებასაც გვაწვდის, ამ მხირვ გამორჩეულია მისი მემუარული პროზა, რომელშიც მწერალი არც თამამ ლიტერატურულ ექსპერიმენტებს ერიდება. ყოველივე ამან კი მოგვცასაფუძველი გვემსჯელა და თანამედროვე მეთოდოლოგიით გვეკვლია ფრიდონ ხალვაშის პროზა.

ნაშრომის შედეგად მივიჩნევთ იმას, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება ყურადღების მიღმა რჩებოდა. მიუხედავად ცალკეული წერილებისა და პუბლიკაციებისა, მისი ნააზრევი არ ყოფილა სისტემატიზებულად შესწავლილი. რა თქმა უნდა წინამდებარე ნაშრომით ჩვენ ვერ წავუყენებთ სრულყოფილების პრეტენზიას, მაგრამ იგი იქნება ფრიდონ ხალვაშის პროზის სისტემატიზირებულად შესწავლის პრეცედენტი, რაც მის შემდგომ კვლევას დაუდებს საფუძველს.

მასალათა თავდაპირველი შეგროვებისა და მათი ანალიზის ისტორიულმა მეთოდმა საშუალება მოგვცა შეგვესწავლა წარსული მოვლენები და გავვეკეთებინა მათი ობიექტური შეფასება. შედარებითმა მეთოდმა ისტორიულ მეთოდთან კავშირში სხვადასხვა მასალათა ურთიერთშედარების საშუალებამოგვცა. დაკვირვების მეთოდის გამოყენებამ მასალათა მოპოვების საშუალება მოგვცა და ამ მიმართებაში გამოვიყენეთ ე.წ. აღწერილობითი კვლევა. ამ ყველაფერს დავაფუძნეთ შეფასებითი კვლევა სისტემური ანალიზით, რამაც საბოლოო ერთიან შედეგებამდე მიგვიყვანა. კვლევა განხორციელდა ფრიდონ ხალვაშის მხატვრული პროზის, დრამატურგიისა და მემუარისტული პროზის ანალიზის საფუძველზე. შესწავლილი და გამოყენებული იქნა ლიტერატურის კრიტიკოსთა და მწერლის თანამედროვეთა მიერ გამოქვეყნებული წერილები და პუბლიკაციები. თეორიული ნაშრომების შესწავლამ საფუძველი მოგვცა გამოგვეტანა ძირითადი დასკვნები.

ფრიდონ ხალვაშის რომანების „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ და „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“ ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს რომანები იმ ეროვნული ტკივილითაა განმსჭვალული, რასაც აჭარის მოსახლეობა სამასწლიანი ბატონობის გამო განიცდიდა. ეს რომანები გარკვეულწილად გახდა დედასამშობლოსთან განცალკევებით, მომხვედურის რელიგიით გამოწვეული ტკივილის დაამების წარმატებული ცდა.

ცალკე ვიკვლიეთ მწერლის დრამატურგია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში. პიესები „ხიხანის ძახილი“, „გადარჩენილი უკვდავება“ და „ვაზის ტირილი“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს

ავტორის მხატვრულ ოსტატობაში. ორივე მათგანში შენარჩუნებულია მწერლის შემოქმედების მაგისტრალური ხაზი და საქართველოს, აჭარის ისტორიისა და გმირების გახსენებით, პერსონაჟთა მეტყველი სახეების ჩვენებით შეძლო მკითხველში საოცარი პატრიოტული მუხტის გაღვივება.

ცალკე მსჯელობის საგნად ვაქციეთ ფრიდონ ხალვაშის მემუარული პროზა და მხატვრული ხერხების გამოყენება. ამ მიმართებით შევისწავლეთ „ომრი“ და „გუმინ“, რომლებზეც საუბრისას დავასკვნით, რომ, „ომრი“ ანუ ერთი კაცის ცხოვრების გზა მწერლისთვის სახასიათო ოსტატობითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი არ იფარგლება რომელიმე ერთი მიმართულებით და სხვადასხვა შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს, რითაც მკითხველისთვის საინტერესოს ხდის მასში მოთხრობილ ისტორიებს. ეს წიგნი გამოირჩევა მხატვრული ხერხების მრავალფეროვნებითაც. დიალექტიზმების ოსტატური გამოყენება, თხრობის განსაკუთრებული მანერა, პოეზიისა და პროზის ჰარმონიული შერწყმა მხოლოდ ავტორის ცხოვრების გზას კი არა ქვეყნის ისტორიას გვიშლის თვალწინ.

ცალკე გამოვყავით ქალის, ნენეს სახე ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში. მწერლის ნაწერებში იგრძნობა მწერლის ფაქიზი, სათნო და სანდომიანი დამოკიდებულება დედის, ქალის მიმართ, რომელთანაც საოცარი სითბოთი იკვეთება თურქეთში მცხოვრები მამიდასა და მისი ცხოვრების მეგზურის თუნთულის სახე. ამ პორტრეტებს ავტორი ჩვეული ოსტატობით, ერთი ამოსუნთქვით გვიხატავს და მასში მშობლიური კუთხის სიყვარულს აქსოვს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ფრიდონ ხალვაშისთვის ყველაზე სათუთი, მგრძნობიარე, საყვარელი, თბილი და ამავედროულად ტკივილიანი თემა გახლავთ.

ფრიდონ ხალვაშის პროზის შესწავლისას ცალკე გამოვყავით მისი პუბლიცისტური ნააზრევი, ვინაიდან მისი აუდიტორია სრულიად საქართველოა. ანალიზმა ცხადყო, რომ მწერლის პუბლიცისტიკა თავისი თემატიკით, ესთეტიკური პრინციპებითა და მამულიშვილური პოზიციით საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა. პუბლიცისტიკასა და ესეისტიკაში იგი უბრუნდება მხატვრული

შემოქმედებისათვის სახასიათო თემატიკას და ისევ და ისევ ამახვილებს ყურადღებას ეროვნულ, სარწმუნოებრივ, სახელმწიფოებრივ თუ ენის საკითხებზე. პუბლიცისტური ნააზრევით გამოირჩევა ავტორის მრავალმხრივი და ღრმა ერუდიციით, ფართო თვალსაწიერითა და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ინტერესი აჭარაში ეროვნული ცნობიერების საკითხსაც შეეხო. ანალიზმა ცხადყო, რომ ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების მთავარი თემა სამშობლოა, აჭარის მომავლისათვის ზრუნვაა, რომელსაც წარსული ისტორიის გაცოცხლებასა და თანამედროვეობის ობიექტურ ანალიზში ხედავს. იგი საკუთარ მრწამსს საქართველოს ერთიანობასა და ძლიერებაში ხედავს, აჭარიდან ეთაყვანება სრულიად საქართველოს. მისი მხატვრული სიტყვის ყოველი დეტალი ეროვნული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და სამასწლოვანი ტკივილის დაამება მიაჩნია ქვეყნის ძლიერების საფუძვლად.

ჩვენი აზრით, მოსალოდნელი შედეგები, რომლებსაც საკითხის კვლევის მოკრძალებული მცდელობიდან მოველოდით, მიღწეულია. მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომი მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს ერთიან ქართულ ლიტერატურულ პროცესში ამ კუთხის მოკალმეთა როლისა და ადგილის საკითხის შესწავლაში, იგი ფრიდონ ხალვაშის მხატვრული ნააზრევის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ნაბიჯია და გარკვეულ როლს შეასრულებს მწერლის ადგილისა და როლის განსაზღვრაში როგორც უახლესი პერიოდის აჭარის, ასევე ზოგადად ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში.

ფრიდონ ხალვაშის, როგორც მწერლის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მისი ნაწერები ეპოქის ატრიბუტია და თავისი მართალი სიტყვით უპირველესად ემსახურება თავისი დროის პრობლემებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბაქრაძე 1990:** ბაქრაძე აკაკი. „მწერლობის მოთვინიერება“. რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“. თბილისი.
2. **ბახტინი 1979:** ბახტინი მიხეილ. სიტყვიერი ესთეტიკა“. მოსკოვი.
3. **ბიბილეიშვილი 2012:** ბიბილეიშვილი გიორგი (იური). „ჭოროხის ხვაშიადი“ (ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება). გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი.
4. **ბიბილეიშვილი 2003:** ბიბილეიშვილი იური. „სული უკვდავი“. წიგნი I. გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი.
5. **ბიბილეიშვილი 2005:** ბიბილეიშვილი იური. „სული უკვდავი“. წიგნი II. გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი.
6. **გოგებაშვილი 1990:** გოგებაშვილი იაკობ. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი II. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.

7. **კლდიაშვილი 2013:** კლდიაშვილი დავით. ჩემი რჩეული. ტომი II. გამომცემლობა „პალიტრა L“.
8. **მურვანიძე 1988:** მურვანიძე ნინო. ფრიდონ ხალვაშის პოეზია. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
9. **ნიჟარაძე 1957:** ნიჟარაძე შოთა. „ზემოაჭარულის თავისებურებანი“. შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. „აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა“. ბათუმი.
10. **ფუტკარაძე 2016:** ფუტკარაძე შუშანა. „ჩვენებურების ქართული“. წიგნი მეორე. (ისტორიული ტაო-კლარჯეთის და მუჰაჯირთა ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი). გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი.
11. **ჭილაია 1971:** „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. **ხალვაში 2000:** ხალვაში ფრიდონ. რომანები. ტ. II. გამომცემლობა „საქართველო“. თბილისი.
13. **ხალვაში 2000:** ხალვაში ფრიდონ. რომანი, მოთხრობები, მოგონებები და წერილები, ჩანაწერებიდან ამოწერილები. ტ. III. გამომცემლობა „საქართველო“. თბილისი.
14. **ხალვაში 2000:** ხალვაში ფრიდონ. რჩეული. „გამომცემლობა აჭარა“. ბათუმი.
15. **ხალვაში 1976:** ხალვაში ფრიდონ. ერთტომეული. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
16. **ხალვაში 1972:** ხალვაში ფრიდონ. მამულიშვილობა. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
17. **ხალვაში 1985:** ხალვაში ფრიდონ. ჩემი სანატრელი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
18. **ხალვაში 2010:** ხალვაში ფრიდონ. „ომრი“. გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი.

19. **ხალვაში 1973:** ხალვაში ფრიდონ. „ბიძაშვილი“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი.
20. **ხალვაში 1996:** ხალვაში ფრიდონ. „დარდი“. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
21. **ხალვაში 1959:** ხალვაში ფრიდონ. „ხიხანის ძახილი“ (ისტორიული დრამა ოთხ მოქმედებად). სახელმწიფო გამომცემლობა „სახელგამი“. ბათუმი.
22. **ხალვაში 2013:** ხალვაში ფრიდონ. „გუმინ“ (ჩანაწერები). გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი.
23. **ხალვაში 2005:** ხალვაში ფრიდონ. აქედან იქამდე. „გამომცემლობა აჭარა“. ბათუმი.
24. **ხალვაში 1985:** ხალვაში ფრიდონ. ჩემი სანატრელი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
25. **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** „აჭარა“. V საუკუნე-1877. ტომი II. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი. 2009
26. **„მე ისევ იქ ვარ, საიდანაც ვიწყები“.** ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი 2012.
27. **„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“.** გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941წ.წ.). ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მწიგნობარი“. თბილისი 2016.

პერიოდული გამოცემები

1. **გაზეთი „საბჭოთა აჭარა“.** 1986 წ. ფრ. ხალვაში. „რწმენა რწმენისა“.
2. **გაზეთი. „იმედი“.** 11 ნოემბერი. 2005. აბულაძე თ. „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი?“
3. **საზოგადოებრივი ჟურნალი „ომეგა“.** 2002. დეკემბერი. N1 „ღმერთმა არ ქნას...“

4. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 2005. 20 მაისი. ფრ. ხალვაში - „შესანიშნავი დრამატურგი“.
5. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 1996. 6 იანვარი. ქაფიანიძე ზ. „დიდი წიგნი დიდ მამულიშვილზე“ (ფრ. ხალვაშის წიგნი „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“).
6. გაზეთი „აჭარა“. 2006. 19 მაისი.
7. გაზეთი „აჭარა“. 2006. 12 მაისი.
8. გაზეთი „აჭარა“. 2005. 8 დეკემბერი.
9. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006. N5.
10. „მწერლის გაზეთი“. 2003. N7.
11. გაზეთი „აჭარა“. 2010წ. 29-30 აპრილი. 46.
12. გაზეთი „აჭარა“. 2009წ. 31 იანვარი. „მწერლის ვარსკვლავური საათი“- ანა დონდუა.
13. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1978წ. 22 დეკემბერი.
14. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1979წ. 24 იანვარი.
15. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1979წ. 23 აგვისტო.
16. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1985წ. 28 მაისი.
17. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1988წ. 21 მაისი.
18. ჟურნალი „ჭოროხი“. 1970. N5. გვ. 63-71. შ.ქურიძე „მამულით შთაგონებული“.
19. ჟურნალი „ქართული მწერლობა“. 2010. N4. ფრ. ხალვაში „რატომ დავტოვეთ კრემლის დარბაზი“.
20. ჟურნალი „ქართული მწერლობა“. 2010წ. აპრილი.
21. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. 1959წ. N2.

გამოყენებული მასალები ინტერნეტიდან

1. <https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21/>
2. ფრანგ. memoire, ლათ. memoria -მოგონება

3. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=24784>
4. [Schiffrin 2006: 321].[Schiffrin 2006: 321].